# ელგუჯა ადეიშვილი



# გზა უფლისკენ

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო
აკადემია „ქალდეა - საქართველო“

# ელგუჯა ადეიშვილი




# გ ზ ა  უ ფ ლ ი ს კ ე ნ

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2023



საქართველოს სამოციქულო

ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია.

# ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲒᲔᲚᲘ

სახელითა მამისათა და ძისათა და

სულისა წმიდისათა

ვანისა და ბაღდათის ეპარქიის აღმშენებლობაში შეტანილი

მნიშვნელოვანი წვლილისათვის ღმერთმა დალოცოს

**ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

და მიანიჭოს მას მშვიდობა დღეგრძელობა და კეთილდღეობა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი

ილია II

# ადეიშვილების საგვარეულო -

## გერბი




## დროშა




## ბეჭედი



რედაქტორი - თამარ ფოფხაძე

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო
აკადემია „ქალდეა - საქართველოს“
ნამდვილი წევრი, მათემატიკოსი, ინჟინერი

© ელგუჯა ადეიშვილი, 2023
გამომცემლობა „უნივერსალი“, 2023

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com
ISBN 978-9941-33-538-9

## რედაქტორებისგან

წმინდა აღდგომის შემდეგ, გასაოცარი სანახავია სოლოლაკში მაცხოვრის ამაღლების ტაძარი. ცისფერი ყურძნის მტევნების ფორმის დახუნძლული ყვავილებით სავსეა ეზო. სახურავის ცენტრალურ ქვის ჯვარზე ხშირად ჩვენთან ერთად გალობს მამა შაშვი, რომელმაც ახლახანს შექმნა ოჯახი და ყოველ დილით ჩემს საყვარელ მრევლთან ერთად მასაც ვლოცავ. ამ დროს წიგნებით ხელში ცქრიალა იმერელი გაღიმებული მესალმება "ქრისტე აღდგა"-თი, მეც გულში ვიკრავ ძვირფას მეგობარს "ჭეშმარიტად აღდგა"-თი ვპასუხობ და ეს აღდგომის მახარობელი დიდი ხნის ნაცნობი, ხოლო ახლა ძვირფასი მეგობარი ბატონი ელგუჯა ადეიშვილია...

ხელთ უპყრია სასიგნალო ეგზემპლარი წიგნისა "გზა უფლისკენ'', რომლის რედაქტორობას მთავაზობს, როგორც მეგობარს და მოძღვარ-თეოლოგს. მე სიხარულით მივიღე ავტორის ეს დიდებული პატივი და ერთი სული მქონდა წიგნი გადამეშალა.

პირველ რიგში "თვალი ჭამსო'' იტყვიან იმერლები, წიგნი - ფერადი მაგარი ყდით და რაც მთავარია წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაცული წმინდა თამარ მეფის ჯვრით დამშვენებული. როგორც მისი და მთელი ეროვნული განძის საქართველოში საფრანგეთიდან ჩამომბრძანებელი ბატონი შალვა ამირანაშვილი ბრძანებდა: ეს ჯვარი ბატონ ექვთიმეს საგანძურის ყუთში არ ჩაუბრძანებია, იგი ძველ ქისაში შეხვეული სულ ხელთ ეპყრა და არ იშორებდა მთელი გზის მანძილზე...

ვიზუალით მოხიბლული გადაშლი წიგნს და გხვდება - მხცოვანი ჩვენი სულიერი საჭეთმპყრობელის პატრიარქის "დალოცვის სიგელი'', რომელიც ანიჭებს ბატონ ელგუჯას „მშვიდობას, დღეგრძელობას და კეთილდღეობას". იქვე ფერადი ულამაზესი ფოტო "ყუმურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია". ქტიტორი - ელგუჯა ადეიშვილი... ავტორმა გული აგვიხადა და თავმდაბლად შეუდგა ჩვენს მოხიბვლას. გამჩენი დაგვილოცა და დაიწყო.

ჯერ მკითხველს აცნობს, დაბადებიდან დღემდე ურთულესი ლაბირინთებით დატვირთულ გზაგრეხილებს შუმახერს რომ გაუძნელ-

დებოდა მისი გარბენა, მაგრამ იმერეთის გრილი ნიავით და საირმისა და ვანის თუ ყუმურის წყაროებით გაკრიალებულმა სხარტმა და მართალმა კაცმა ბავშვური სიჭაბუკით შეგვიყვანა ამ ლამაზ წიგნზე ამხედრებული მკითხველი და არგონავტების გაკვალულ გზაზე შეგვაცურა თავისი ცხოვრების ოკეანეში. ყველაფერი წყნარად მიდიოდა, ვიდრე ვულკანმა არ ამოხეთქა და ავტორი არ შეეჭახა მსოფლიიო პრობლემებით და ღმერთსა და სამშობლოზე შეყვარებული უდიდესი ქართველი მოაზროვნე ქალბატონის დენიზა სუმბაძის ეპოქალურ ნაშრომს -"ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან".

ეს თითქოსდა მშვენიერი ლამაზი ფიზიკურად მომცრო და საფე-რებელი წიგნი, ფართოდ აშუქებს და შექსპირის ,,ჰამლეტივით'' უსვამს კითხვას მთელ სამყაროს "ყოფნა, არყოფნის" შესახებ და ეძიებს ლოგიკურ გამოსავალს ისევ შემოქმედის - უფლის დახმა-რებით... იხილეთ გვ. 42-71. ეს ნაშრომი ყველა მოაზროვნე და პოლი-ტიკით დაინტერესებულმა და კარგი იქნება მორწმუნე ადამიანმა სამაგი-დო წიგნად აქციოს. ყოველ შემთხვევაში ბატონი ელგუჯას კრძალვით შემოთავაზებული და მნიშვნელობით უდიდესი ნაშრომი საზეპუროდ უნდა იქცეს, რათა ადამიანმა იფიქროს არა დანგრევაზე მიღწეულისა, არამედ წინსვლაზე, გამრავლებაზე და გაკეთილშობილებაზე.

დიახ, ბატონი ელგუჯა უდრტვინველად ზრუნავს, რომ ერში სწორედ პატრიოტი, კეთილშობილი, ღვთისა და ერის მადიდებელი ადამიანები შემოიკრიბოს და მან სწორი არჩევანი გააკეთა. თუ არა და ვის ძალუძს თავისი ხალხი და უფალი ყველაზე აღმატებულად და სისხლხორ-ცეულად უყვარდეს და შეეწიროს მას, თუ არა საქართველოს კათალიკოსი, უწმინდესი პატრიარქი ილია II. სწორედ მისი ბრძნული და ცხოვრების გრდემლში გამობრძმედილი აზრებით არ დამოძღვროს და არ გაგვინათოს მრავალთა ესოდენ დახშული გონება. თუნდაც ერთი სწავლება უწმინდესის გამონათქვამებიდან: "შენ გვასწავლე იესო, რომ სიყვარულშია ხსნა, რომ სიმდაბლეშია სიმაღლე, სიმარტივესა და უბრალოებაში სიდიადე''...

დიახ მდაბლად ქედს ვუხრი წიგნის ავტორს, ბატონ ელგუჯას, რომ მის ახლობლად პატივი დამდო მეც ვყოფილიყავი, სწორედ ახალ რუბ-

რიკას ჩემით იწყებს... ულრმესი მადლობა კიდევ ერთხელ ძვირფასო ქრისტესმიერო ძმაო. გილოცავ -

“უფალო ღმერთო: დაგვიფარე განსაცდელისგან,
გააძლიერე, აღადგინე სული ქართული.
განდევნე ჩვენგან ბოროტი და ავი სულები
გაამთლიანე საქართველო, შენგან დაცული“. ამინ.

მეგობრობა უფაქიზესი გრძნობაა და არ მინდა ბატონი ელგუჯასა და მისი მეგობრობის ეტალონების ურთიერთობებში ხელყოფა, ყველანი ღირსეული ადამიანები ბრძანდებიან და მათი ჩემს მიერ დახასიათება მკრეხელობად მიმაჩნია და ღვთის წინაშე თავს შევიკავებ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანზე ჩემს ძმებსა და დებზე უსასრულოდ შემიძლია ვისაუბრო.

წიგნი არ მაძლევს ნებას არ მოვეფერო ავტორისადმი მიმძღვნელთა საყვარელ პოეტებს: მაგალითად ქალბატონ მზია აკობია-ძაძამიას „არ შემიძლია შორს ვიყო თქვენგან, / ლექსად მადლობა რომ აღარ გითხრათ“, მეც ვუერთდები სამადლობელში: ამინ ქალბატონო მზია.

საოცარია ამღერებული და კალმახის, წვერას, ყუმურის ანკარა წყაროებით მოხიბლული ნატო მეფარიშვილი და უამრავი ლექსი შენზედ მოძღვნილი არ დაეტეოდა ამ ლამაზ წიგნში.

მოკლედ, რომ მეგონა ბატონი ელგუჯა ადეიშვილი ჩვენი ზემოწაკითხული წიგნის ავტორი რთული ცხოვრების ლაბირინთებიდან, უკიდეგანო ოკეანიდან ნაპირისკენ დაძრავდა მოდრეიფე გემს ბოდიში, ვერ მოგართვეს ნაპირის განცდა და ხმელეთზე ფეხის დადგმა, თურმე სადა ხარ, პირდაპირ შუა ოკეანეში ყუმურიდან შუა ზღვამდე გაშალა უსიგრძეგანესი სუფრა და საზეიმო ტრაპეზზე საქართველოსთან ერთად იწვევს კეთილშობილთა კრებულებს და აი საოცრება და აი საოცრება, საფიხნოს თავში პირადად დაბრძანდა და იწყებს თამადობას, სუფრისა და წიგნის კურთხევის შემდეგ (პატრიარქის კურთხევით) იმერული მოკრძალებულობით და ზოგად ქართული სიამაყით, საკუთარი ლექსებითა და საკუთარი გამონათქვამებით გამასპინძლებას.

პირველი უფლისა და ჭეშმარიტების სადიდებელი და საძიებელი შე-

გონებაა: რთულია, რადგან გვიან შეიგნე მადლის ყადრიო მაგრამ არ, არ შეჩერდე, ბრძანებს გაპოეტებული „თამადა“, სძლიე თავი შენი თუ შეგწევს ამის უნარი, თუ არადა გვერდზე გადექიო, სანამ ბოროტს არ დაძლევ, ხოლო თუ წრფელი გულით ილოცებ და მოინანიებ, მაშინ მოწყალე უფალი შეგიწყალებს და გაცხოვნებსო.
აფერუმ თამადა- პოეტო, ამინ.

მადლობა არ გინდა პოეტო, ჯერ წინ მთელი სადღეგრძელოებია სათქმელი. თამადა ბრძანებს:

„ძირძველზე აღარ ფიქრობენ,
შეექმნას გზები სიკეთის,
ულუკმაპუროდ მიტოვებულ ხალხს,
როგორ ეშველოს - აბა ვინ გვეტყვის ??“

პოეტმა თითქმის სადღეგრძელოს საღერღელი დაკარგა და იძახის "რაღაცა მიყვარს, რაღაცა არაო, რაღაცა მინდა, რაღაცა არაო, რაღაც მაწუხებს, რაღაცა არაო“ და ბოდიშს იხდის თამადა-პოეტი ცოტა სუფთა ჰაერზე ხომ არ უნდა გავლა, მაგრამ ქართული ტრადიციით თამადის გავლა არ შეიძლება. რა ქნას პოეტმა "ჭკვა უხმარ არსო" და ჭკუის საძიებელი აქეთ იწყებს ჭკუის დარიგებას: "ჭკუა თუ გაქვს ბედნიერი ხარ და ეცადე გამოიყენო თუ არ გაქვს, ეძებე იქნებ იპოვო, რომ ვინმემ ბეცი არ გიწოდოსო“. აქვე შეგონება: თამადა ასკვნის:

„იფიქრე უფლის ცნებაზე,
იქნებ აჯობოს ჭაობში ყოფნას
მეტი იფიქრო მორალზე".

ამ სადღეგრძელოს ყველა ერთხმად აიტაცებს და ატყდება სასმისების ჭახა-ჭუხი. იმედისა და სიცოცხლის სადღგრძელოების შესმის შემდეგ, შემოდის ნასვამი თამადის მოკლე გამონათქვამები ვინც შემორჩა ტრაპეზს ბოლომდე და ჯერ კიდევ თრობის ბურანში არ გადაეშვა, ზოგ მთვრალს თავი ყველაზე ფხიზელი ჰგონია და თამადას ახლოს გარს ეხვევიან. ბევრი გავიდა ტრაპეზიდან, უფლის სამყოფელში ზოგი პენსიაზეა და სმენა აღარ ძალუძს, შემცირდა ხალხი, რომელმაც ცოტა ხნის წინ ზეიმით აირჩიეს თამადა, ახლა აიშალნენ აღარ უსმენენ, არც წაკითხულს და წასაკითხიც ხომ ბევრმა გვერდზე გადადო. ტექნიკამ

და უაზრო ხმაურმა წალეკა ოკეანის ნაპირები, ხოლო თამადა და პოეტები ვაჟკაცების და გმირების მოსაგონარს მიირთმევენ. ვიღაცამ წამოიწყო "გათენებულა გამიშვი" და დილის ლოცვას წარმოთქვამს პოეტი თამადა: ღმერთო, დალოცე და გააძლიერე ჩემი უახლოესი ადამიანები და მათი ოჯახები... გვ. 227 სრულად.

ზოგჯერ პოეტი თვითონვე ხდება შემფასებელი. მას ტკივილები ალაპარაკებს - დაცლილი ტაბლა, ჩვენი სოფლები, გზაზე გასული ოჯახის დიასახლისები, ბებია-ბაბუებთან მიტოვებული შვილები, მოუხნავი და დაუთესელი უყად ქცეული, ეკალ-ბარდებით გადავლილი ეზოები, ერთ დროს ვაზით და ხევით სავსე. აღარ ერეკებიან ბევრ სოფელში ნახირს, არც ცხვრის ფარებითაა გადათეთრებული ჩვენი საძოვრები, იხურება სკოლები, უბნებში არ ისმის ბავშვების ჟრიამული, ღამით მოქეიფეთა იმერული სიმღერები, არეული, მაგრამ მაინც იყო გასახარელი; სოფელში კაცები კაცობდნენ, ბუხრებიდან კვამლი გვიანობამდე არ წყდებოდა, შუაღამეს არღვევდა ახალგაზრდების ყიჟინი, გვიან კინოს ან კონცერტის შემდეგ გმირებზე კამათი, შეყვარებულთა ჩუმი, უსიტყვო ალერსი და ბებიების გვიანი ვახშამი ცელქი შვილიშვილებისათვის.

აფსუს! ბატონო ელგუჯა! ჩვენ თითქმის ტოლები ვართ და ტკივილიც საერთო გვაქვს. აღარაფერს ვამბობ ოჯახებიდან უცხოეთში სხვადასხვა მიზეზებით გასულ ჩვენს შვილებზე. მართალი ხარ წიგნი კარგია, თუ მას მკითხველი ჰყავს:

"რად გინდა წიგნი ისეთი,
კითხვა თუ აღარ გინდება
ფურცლები ობს მოიკიდებს,
გადაყრაც გაგიჭირდება".

აქ გაჩერება ტრაგიკული იქნება, ჩვენ ხომ გენეტიკური ოპტიმისტები ვართ და შენ არ ჩერდები და ეხები ყველაზე ძვირფასს უფლის მიერ ნაბოძებ სიმდიდრეს, სინდის-ნამუსს. გვ.239 სრულად.

„რას ვჩქარობდი, რა მინდოდა,
დროზე მეცნო საცნობელი,
მაინც, დალოცოს უფალმა,
ხალხი გულით ახლობელი“.

პოეტი რამდენიმეჯერ უახლოვდება წიგნის ფინალს. ის ბევრჯერ წააგავს "მუსტანგს", რომელიც დიდ უფსკრულს მიადგა. იცის თუ გადახტება, გადარჩება, თუ არა მას ბადეში გაახვევენ და გახედნიან. მხედრების შეპყრობას, მას გარისკვა უჯობს. რამოდენიმეჯერ გამოექანა და უფსკრულის პირას დაამუხრუჭა, ბოლოს მაინც გადახტა და მეორე ნაპირზე სამშვიდობოზე აღმოჩნდა...

ჩემო კარგებო, თუ „მუსტანგობა" გინდათ, უნდა გარისკოთ. თუ არადა ჯაბანთა შორის შენც შეგაბამენ ეტლში და მთელი ცხოვრება მათრახის ქვეშ უნდა გაატარო. მე მუსტანგობა ავირჩიე და ელგუჯასაც იგივეს ვურჩევ. გვიან არასდროს არ არის, შენ თვითონაც ბევრს ურჩევ ჭკუაზე როცა მსჯელობ.

აფერუმ ჩემო ძმაო, ნაშრომო, ნაღვაწო, დაცემულო და ბევრჯერ გამარჯვებით აღმდგარო, შეგეწიოს შენს მიერ აგებული წმინდა გიორგის ტაძრის ძალა და მადლი. ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად!

შენი ძმა და კეთილის მოსურნე
მამა ამირან ამირანაშვილი.

## ჩემი შთაბეჭდილება,
## ბატონი ელგუჯა ადეიშვილის წიგნის შესახებ
----------

ბატონი ელგუჯა ადეიშვილის წიგნი „გზა უფლისკენ", სათაური მიგვანიშნებს წიგნის შინაარსს. ავტორის თემა არის ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიების შექმნა. თამამად შეიძლება წიგნს ენციკლოპედია ვუწოდოთ. თითოეული ავტორი ქალბატონი თუ ბატონი საქართველოში ცნობილ სახეს წარმოადგენს. აქ არიან პოეტები, მეცნიერები, პროზაიკოსები, სასულიერო პირები, ეკონომისტები, მხატვრები და სხვა. ისმება კითხვა, ვინ არის თვითონ ბატონი ელგუჯა ადეიშვილი, რომ გადაწყვიტა თავისი ნაღვაწით, უფლისკენ გზა გაიკაფოს. აქვე შემიძლია გაბედულად პასუხი გავცე ჩემივე დასმულ კითხვაზე. ბატონი ელგუჯა არის პიროვნება, რომელმაც ძალიან ბევრ ახალგაზრდას თავისი განვლილი გზა ასწავლა და სწორი მიმართულება მისცა. ის რაც თვითონ წვალებით მიაღწია, სხვას გაუადვილა, გაუკაფა გზა. ეს არის ღვთის გზა. გზა უფლისკენ არ ნიშნავს იმას, რომ დატოვო საერო ცხოვრება და ეკლესიის მსახური გახდე. უფლის გზაა სიკეთის კეთება, რაც ბატონ ელგუჯა ადეიშვილს ადვილად ხელეწიფება. საქართველოს, ბატონი ელგუჯას სახით, დიდი სულის პიროვნება ჰყავს. მისი გადადგმული ნაბიჯი მისაბაძია ნამდვილად. აკეთო სიკეთე, ესაა ღვთის გზა, ესაა უფალთან მიახლოება, ესაა ქართული სული, რამეთუ ღვთისმშობლის წილნაყარ მიწაზე სწორედ ასეთები უნდა იბადებოდნენ და იზრდებოდნენ, როგორიც ბატონი ელგუჯა ადეიშვილია. თვითონ წიგნი „გზა უფლისკენ" საინტერესოა და დარწმუნებული ვარ მკითხველი დაინტერესდება.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი).

# გულახდილობა

"პირველად":

******* თავს არ ვდებ პოეტობაზე,
არ ვამბობ, რომ მე „ლომი“ ვარ,
სახლში არ ვამხელ, რას ვჭღაბნი,
გარეშეს რაღაც ვგონივარ.

******* როს გაეცნობით ნაწვალევს,
მსურს, პირში მითხრათ სათქმელი,
არ მოგერიდოთ დაძრახვის
იქნებ ჩავაქრო სანთელი.

"მეორედ":

*** მწამს, რომ გაეცნენ ნაწვალევს,
დღემდე არ უთქვამთ სათქმელი,
არ მოერიდათ დაძრახვის,
ისევ მინთია სანთელი.

"მესამედ":

*** ველოდებოდი მკითხველის
რისხვას,
არსად შესულა სარჩელი,
ისევ გავბედე ორბიტაზე სვლა,
ექვსჯერ ვთქვი ჩემი სათქმელი.

"მეოთხედ":

*** აღარ ვაპირებ წუთშესვენებას,
მსურს შვიდჯერ ენთოს წმინდა
სანთელი,
მადლობას გიხდით მხარდაჭერისთვის,
ადიდოს ღმერთმა თქვენი გამჩენი.

# გზა უფლისკენ

გზა ავირჩიოთ უფლისკენ
ვადიდოთ ქვეყნის გამჩენი,
გვწამდეს მოძღვრება სამყაროს შექმნის
წუთისოფელში თუ ვართ დამრჩენი.
დავძლიოთ ეშმაკთან ბრძოლა
ვიყოთ მორწმუნე ღმერთისა,
სამყაროს კუთხე - კუნჭულის
მიდგომა რაკი გვეღირსა.
ყველა წმინდანმა, სწავლულთა მოდგმამ
ქვეყანას უთხრა თავის სათქმელი,
ღმერთია ჭეშმარიტება
და გახლავთ ქვეყნის გამჩენი.
ღმერთია მარადიული
ქრისტე სიკეთის დამცველი,
ჭეშმარიტების მაძიებელ ხალხს
მუდმივად ენთოს წმინდა სანთელი.


ავტორის დედის ხელით
ჩამოქნილი სანთელი

# ელგუჯა ადეიშვილი



დაიბადა 1948 წელს ვანის რაიონის სოფელ ყუმურში, მოსამსახურის ოჯახში.

1973 წელს დაამთავრა მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტი და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია. 1996 წელს დაასრულა უნივერსიტეტი „აჭარა"-ს სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

1986-1989 წლებში ირიცხებოდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზის და კონტროლის კათედრის მაძიებლად. 2000-2006 წლებში გაიარა: აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამით განხორციელებული საგადასახადო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო ტრენინგები; აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის ეგიდით ორგანიზებული და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები. 2010-2011 წლებში წარჩინებით დაასრულა თავისუფალი უნივერსიტეტის - პროფესიული განვითარების პროგრამა (CBA (Certified Business Administrator)).

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1971 წელს. მუშაობდა სპეციალობით და სხვადასხვა თანამდებობებზე - საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში, ფინანსთა სამინისტროში, საგადასახადო სამსახურში, კონტროლის სახელმწიფო კომიტეტში, კონტროლის პალატაში, საბაჟო დეპარტამენტში, ამჟამად მუშაობს ს.ს."საქართველოს რკინიგზა"-ს კონტროლის, მონიტორინგის და ინსპექტირების დეპარტამენტში.

მინიჭებული აქვს საგადასახადო სისტემის ოპერატიული სამსახურის კაპიტნის წოდება.

გახლავთ ქტიტორი მშობლიურ სოფელ ყუმურში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობისა.

2010 წლის ივნისის თვეში, ვანის საკათედრო ტაძრის გახსნასთან დაკავშირებით, საჩუქრად მიიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისაგან - „საგალობლები"-ს ალბომი, ხოლო შემდგომში საქართველოს საპატრიარქოს, ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მეუფე ანტონისაგან - „სამკერდე ნიშანი".

2010 წლის 25 ნოემბერს, ვანისა და ბაღდათის ეპარქიაში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე, ელგუჯა ადეიშვილს გადაეცა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის "დალოცვის სიგელი".

ვანის რაიონის გამგეობისა და ეპარქიის მღვდელმთავრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რაიონის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, 2016 წელს იგი არჩეული იქნა ვანის საპატიო მოქალაქედ და გადაეცა საპატიო სიგელი.

ელგუჯა ადეიშვილი არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა - საქართველოს" ნამდვილი წევრი, გაზეთ „ქალდეა"-ს სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე; 2022 წლიდან არჩეულია აგრეთვე ფაზისის საერო-სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად და პრეზიდიუმის წევრად.

პუბლიცისტური წერილები გამოქვეყნებული აქვს გაზეთ „ქალდეა"-ს სხვადასხვა ნომრებში. მას ერგო წილად იყოს პოეტი-აკადემიკოსის ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები"-ს ოცდაათტომეულის, 25-ე ტომის გამომცემლობის რედაქტორი (გამომცემლობა „უნივერსალი" 2019წ.) და „მწოლიარე ლექსების" 50-ტომეულის 33-ე ტომის მთავარი რედაქტორი.

ელგუჯა ადეიშვილს გამოცემული აქვს წიგნები გამომ-ცემლობა „უნივერსალში" - „ქართული სიწმინდეები" (2019წ.),

„ჭალასამზიარი“ (2020წ.), რედაქტორი ვაჟა ეგრისელი; „აკაციის ყვავილობა“ (2020წ.), რედაქტორი ნონა გიორგაძე; „ილია და... რკინიგზა კახეთში“ (2020წ.), რედაქტორი ანზორ ჯაფარიძე; “აისი“ (2021წ.), რედაქტორი თამარ ფოფხაძე; „ჭვარიქედიდან დანახული ჩემი სამყარო“ (2022წ.), რედაქტორი ვაჟა ეგრისელი.

ბოლო ხანს გამოცემული წიგნებისთვის „ქართული სიწმინდეები“ და „ილია და... რკინიგზა კახეთში" საქართველოს მწერალთა კავშირმა 2021 წელს ელგუჯა ადეიშვილს მიანიჭა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია და გადაეცა დიპლომი.

მის შესახებ გამოქვეყნებულია მასალები სხვადასხვა წიგნებში და გამოცემებში:

- „ვანი ოქრომრავალი ქვეყანა“ (ოთხტომეული) (მწერალი საზოგადო მოღვაწე ბადრი სვანაძე, გამომცემლობა ქუთაისი 2012 - 2015წწ.).
- ტომი N3 „ქტიტორი“ (ვანის მუნიციპალიტეტის ყუმურის წმინ- და გიორგის სახ. ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით).
- ტომი N4 მისი მშობლების შესახებ მოგონებები და სარწმუნოებრივ თემაზე ნაშრომი.
– „აღსარება“ (შემოქმედებითი თემა - აკადემიკოსი ანზორ ჯაფარიძე. გამომცემლობა „ივერიონი“ 2015წ.).
- „არ დავიწყება მოყვრისა (შემოქმედებითი და ბიოგ- რაფიული ხასიათის ნაწარმოები - თეიმურაზ ადეიშვილი, იური ადეიშვილი, გამოცემული 2019 წელს).
- ვანის მუნიციპალიტეტის პერიოდული დამოუკიდებელი გაზეთი „საჩინო“ (რედაქტორი ნატო მეფარიშვილი) (ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი მონაცემები რამდენიმე ლექსთან ერთად, 2019 წელი, სექტემბერი; ორი ახალი წიგნის -„ილია და... რკინიგზა კახეთში“ და „აკაციის ყვავილობა“ გამოცემის შესახებ, 2021 წლის აპრილი).

- ჟურნალი „ათინათი“ - წიგნი „ქართული სიწმინდეები“, რამოდენიმე ლექსი (N1 (35) და N2 (36), 2020 წელი).

- ანთოლოგია (ტომი X, 2020 წელი) - რამოდენიმე ლექსი.

ჰყავს მეუღლე - თინათინ გეგეშიძე, უმაღლესი განათლებით (ფილოლოგი); შვილები - კონსტანტინე ადეიშვილი, დაბადებული 1979 წელს, დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და შალვა ადეიშვილი, დაბადებული 1984 წელს, დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; ოთხი შვილიშვილი (თინათინი, სანდრო, გეგა, ანდრია ადეიშვილები).

# ჭეშმარიტი ქრისტიანობა გვავალებს

* * *

თუ არ მივბაძავთ მძლე ქრისტიანებს
ვეღარ დავიცავთ ქრისტეს მოძღვრებას,
დავკარგავთ ჭეშმარიტებას
ვერ ვნახავთ მადლით ავსებას.

* * *

სულიწმიდის შთაგონებით
გვიამბობს ქრისტეს მოძღვრები,
როგორ იცხოვროს უფლის მორწმუნემ
ამაღლებული ღირებულებით.

* * *

ჭეშმარიტთაგან სწავლით მკვიდრდება
ღმერთის მორწმუნის ძალა - მრევლისა,
ცხონება სულიწმიდისა,
ბილიკი - ცათა სასუფევლისა.

* * *

უგნურებით და რწმენის დაკარგვით
არ მიატოვო გზები უფლისა,
არ უნდა გერგოს მოსალოდნელი
რისხვა და ტანჯვა ჯოჯოხეთისა.

* * *

თავს მოგვეხვია მძიმე დრო
რაც საქართველოს არასდროს აკლდა,
ახლა შევედით მომდევნო ციკლში
ის აღიქმება უფლის კვლავ მოსვლად.

* * *

და ჩვენმა მტერმა იგივ სატანამ
ისევ, არსებულ ურწმუნოებით,
მალე შეფუთა სულიერება
მოგვართვა ხელში გამზადებული.

* * *

მიწიერ სიამოვნებას
ითვისებს ხალხი, რომ არ ველოდით,
დამღუპველ ნაბიჯს როცა შენიშნავ
შორსაა უკვე ბრძოლის მეთოდი.

* * *

კომუნისტური მარწუხებიდან
მალევე მოვხვდით ლიბერალიზმში,
სადაც მორალი - ზნეობა, ორმაგ
სტანდარტად ითვლება,
თვალს როცა ახელ ირწმუნებ
სატანის ხელით იხრჩვება.

* * *

გულში ჩახედვა ყველას მოუწევს
მართლმადიდებლურ პრიზმით ვაშუქოთ,
მალე გავიგოთ რა გზაზე ვდგავართ,
რა გვსურს, რა გვინდა - სად უნდა ვიყოთ.

* * *

ვუსმინოთ დიდ მასწავლებლებს
ჭეშმარიტ საქრისტიანოს,
ფონით განვსაზღვროთ სულიერება
რისი ღირსიც ვართ - იგი გვერგუნოს.

19.09.1998 წ.

**რადგან ჩემს ნაშრომს დავარქვი „გზა უფლისკენ“, ამიტომ გავკადნიერდები და მკითხველს ძველი აღქმიდან, პუბლიკაციის სახით შევახსენებ, უფლისადმი წინასწარმეტყველებებსა და შეხედულებებს**

## ფსალმუნთა განმარტება

განმარტებათა ნაკრები ფსალმუნთა წიგნზე, შედგენილი სხვადასხვა წმინდა მამისა და მოძღვრისაგან {ჰერაკლიის (ბერძნული მითოლოგია - ღვთებრივი გმირი ჰერაკლე - ზევსის და ალკმენეს ვაჟი) საბერძნეთის ჰერაკლიონი კრეტის ადმინისტრაციული ცენტრი და უდიდესი ქალაქი} უსამღვდელოესი მიტროპოლიტის, უფალ ნიკიტას[1] მიერ[2]

წინ გვიდევს[3] წმინდა ფსალმუნთა განმარტება, მაგრამ პირველად იმის წარმოჩენა გვმართებს, რაც კავშირშია ჩვენს მიზანთან, რომ ამ გზით ფსალმუნთა განმარტებამდე მივიდეთ. ძიების ღირსია შემდეგი: პირველად ის, თუ როდის და რამდენგზის გადმოიღეს ებრაულიდან ელინურ ენაზე ძველი აღთქმის საღვთო წერილი და რომელი თარგმანია მიღებული ჩვენს მიერ. მეორე ის, თუ რა არის მიზეზი საწინასწარმეტყველო წიგნთა ბუნდოვანებისა. მესამე - რა არის საფსალმუნე, რა არის ფსალმუნი, რა - დიაფსალმა (რაც მრავალგან ჩანს წერილში) და რას ნიშნავს 'ალელუია';

აგრეთვე ის, თუ რა განასხვავებს ფსალმუნს, გალობას, ჰიმნს, ქებას და ლოცვას. მეოთხე - არის თუ არა დავითის ყველა ფსალმუნი და რის გამო წარმოითქმის კეთილშეწყობილად და გალობითურთ თვით ეს წინასწარმეტყველება. მეხუთე და უკანასკნელი - რამდენ ნაწილად განიყოფა ფსალმუნთა წიგნი.

საკითხებად აღვრიცხეთ რა ეს ყველაფერი, ჯერ პირველი მათგანი გამოვიძიოთ, ამ სახით დავიწყებთ რა საუბარს:

ფილონისა (20 ძვ. წ.-40 ჩვ. წ.) და წმ. იუსტინესი (103-165):

ადრე მხოლოდ იუდეველებს ჰქონდათ ძველი აღთქმის წიგნები, დაწერილნი საკუთარ ენაზე, ჩვენ კი მისგან სარგებელს ვერ ვიღებდით. მაგრამ როდესაც ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ ფილადელფოს პტოლემაიოსი გამეფდა ეგვიპტეში, იუდეველთა ფილოსოფიას დაეშურა იგი და განიზრახა, რომ ქალდეურიდან ელადის ენაზე ეწარმოებინა თარგმნა. მყის ელჩები მიუვლინა მან აზარიას, იუდეის მაშინდელ მღვდელთმთავარს, აუწყა განზრახული და მოუწოდა, რომ შეერჩია ღირსეულნი რჯულის მთარგმნელებად. მღვდელმთავარს, ბუნებრივია, ესიამოვნა ეს და მიიჩნია რა, რომ საღვთო შთაგონების გარეშე არ მოხდებოდა მეფის მიერ ამგვარი საქმისადმი გულმოდგინების გამო-

ჩენა, ყურადღება შეაჩერა ყველაზე უფრო გამოცდილ ებრაელებზე, რომლებიც მშობლიურის გარდა ელინურ სწავლულებაშიც იყვნენ განსწავლულები. შემდეგ თორმეტივე ტომის ჩათვლით თითოეული მათგანიდან ექვს-ექვსი კაცი გამოარჩია მან და სიხარულით გაგზავნა ეგვიპტეში. ესენი, როგორც ამბობს ფილონ იუდეველი, ორ-ორად ანდა, როგორც გადმოგვცემს საღვთო იუსტინე, თითო-თითოდ განცალკევდნენ სხვადასხვა ოთახში, ალექსანდრიის კუნძულ ფაროსზე, და მთელი საღვთო წერილი, მათ შორის ფსალმუნნიც, თარგმნეს. ყველა მათგანის თარგმანი ერთიმეორეს ეთანხმებოდა და ეს თარგმანები არ სხვაობდნენ ურთიერთისგან არც აზრობრივად, არც სიტყვიერად. პირიქით, მთარგმნელებს ერთი და იგივე სახელები და ზმნები ჰქონდათ მისადაგებული აღწერილ საქმეთა მიმართ, ისე თითქოს ვინმე უჩინრად შთააგონებდა და უკარნახებდა თითოეულ მათგანს. ასე რომ, გაკვირვებული დარჩა პტოლემაიოსი.

ამ სამოცდათორმეტი ადამიანის თარგმანი შესრულდა სამას ერთი წლით ადრე მაცხოვრის მოსვლამდე.

ამის შემდეგ, რომაელთა თვითმპყრობლის ჰადრიანეს დროს აკვილა სინოპელმა, რომელიც ჯერ ელინიზმიდან ქრისტიანობაში გადავიდა, მერე კი იუდაიზმისკენ მიიდრიკა, იუდეველთათვის სასურველი თარგმანი გამოაქვეყნა. აკვილას შემდეგ, სევეროზის დროს, სამარიტელმა სვიმაქოსმა, რომელიც რაღაცის გამო

გაუბრაზდა სამარიტელებს და მათ ნაცვლად იუდეველები ირჩია, მიმადლა ამ უკანასკნელთ აზრგაუკუღმართებული თარგმანი. სვიმაქოსის შემდეგ, იმპერატორ კომოდის დროს, თეოდოტიონ ეფესელმა უკეთურად და დამახინჯებულად თარგმნა წმინდა წიგნები. აღმოჩენილია, აგრეთვე, მეხუთე და მეექვსე თარგმანი, ერთი - შესრულებული რომაელთა გამგებლის კარაკალას დროს, მეორე - ალექსანდრეს, მამაიას ძის, ზეობისას. ორივე მათანი უავტოროა და ანონიმური, თუმცა არცერთია უცთომელი.

დიოკლეტიანე და მაქსიმიანე ტირანების დროს მღვდელმოწამე ლუკიანემ, რომელმაც არანაკლებ ზედმიწევნით იცოდა ებრაული, ვიდრე ელინური, საუკეთესოდ და უცთომელად გადმოიღო მათი წიგნები ჩვენს (ბერძნულ, ე.ჭ.) ენაზე, ხოლო ჩვენს პატივს მივაგებთ ამ თარგმანსაც, თუმცა ყველაზე მეტად ვეყრდნობით სამოცდათორმეტის ტექსტს, რადგან მათ ცალ-ცალკე აწარმოეს ებრაულიდან თარგმნა და ყოველი მათგანის ტექსტში ერთი აზრი და სიტყვაა მოცემული.

აღნიშნულმა პირებმა თარგმნეს ფსალმუნნიც, რომელთაგან პირველი და მეორე ზედწერილის გარეშე გადმოიტანეს, რადგან ყოვლითურთ მიჰყვნენ ეზრას. ამ ეზრამ, სწავლისმოყვარე და გულმოდგინე იუდეველ-

მა, სამოცდათორმეტის თარგმანამდე ასორმოცდაათი წლით ადრე სხვა საწინასწარმეტყველო წიგნებიც, მიმოფანტულნი იუდეველთა დაუდევრობისა თუ ხშირი ტყვეობების მიზეზით, კვლავ შეკრიბა, მათთან ერთად კი სამიათასი ფსალმუნი, რომლებსაც ზედწერილებიც დაურთო, რაც ახლაც აქვთ, მაგრამ მოგვიანებით ღვთისმოსავმა მეფემ ეზეკიამ ამ სამიათასიდან მხოლოდ ასორმოცდაათი გამოარჩია, სხვები კი უარყო. იგივე გააკეთა მან სოლომონის ნაწერებთან დაკავშირებითაც, მიაკუთვნა რა მას მხოლოდ სამი: იგავნი, ეკლესიასტე და ქება-ქებათა, ყველა სხვა კი, რაც სიბრძნემოჭარბებულ-მა სოლომონმა დაწერა ცის, სტიქიონების, მცენარეებისა და თითოეულის ძალის შესახებ, უკუაგდო მან. კეთილ-მსახურებითი აზრით გააკეთა ეს ეზეკიამ, რომელსაც სურდა, რომ ყველა ადამიანი მხოლოდ ღმერთს შევრდომოდა და ღვთისგანვე ეძია ყოველგვარი ვნებულებისა და სნეულების კურნება, რათა არ მინდობოდნენ ისინი ხეებსა და ქვებს და ამის შედეგად არ უგულებელეყოთ პატივი ღვთისა.

მათ შესახებ სულ ესაა.

წმ. იოანე ოქროპირისა (349-407):

წერილის ბუნდოვანების მიზეზად ორი რამ შეგვიძლია ვთქვათ: ერთი ის, რომ ებრაული ენიდან ითარგმნა იგი ელინურზე, ხოლო ერთი ენიდან მეორეზე თარგმნას უამრავი სირთულე (δυσκολίαν) ახლავს, რაც იცის ყველამ,

ვინც კი მრავალ ენაშია გაწაფული. მეორე ის, რომ წინასწარმეტყველებანი ბევრ რამეს ცუდს ამცნობდნენ იუდეველებს წინდაწინ, კერძოდ - რომ ისინი განიგდებოდნენ, ჩვენ კი მიღებულნი ვიქნებოდით. ამიტომ, ცხადად რომ არ გაეგოთ მათ ყველაფერი და თავიდანვე რომ არ დაეხოცათ ამის მთქმელი წინასწარმეტყველები, ხოლო წიგნები მოესპოთ, წინასწარმეტყველებმა გამოთქმის სირთულე-ში დაფარეს თავისი წინასწარმეტყველებანი.

წმ. ათანასე ალექსანდრიელისა (296-373):

ჩვენი მესამე საძიებელი ისაა, თუ რა არის საფსალმუნე (ψαλτήριον) და ასე შემდეგ.

საფსალმუნე ესაა ათსიამიანი მუსიკალური ინსტრუმენტი, ნაკეთობის ზედა ნაწილთაგან ხმოვანების წარმომქმნელი, რომელიც ხმის მელოდიაზე მისადაგებულად გამოსცემს ბგერებს. ებრაელები მას ნაულას უწოდებდნენ, ელინები - კითარას, რადგან ეს უკანასკნელნი ამზადებდნენ მას სწორი და გაუმრუდებული ძელისაგან, რომელზეც ათ სიმს ჭიმავენ, თითოეული სიმი ცალკეულად არის ჩახვეული საფსალმუნის ბოლოში, ხოლო სიმების თავები ზემოდან ეშვება, რადგან საფსალმუნის რქაზე ჩახრახნილი ათი მჭიმავი ანუ კოჭი ჭიმავს ან უშვებს სიმს ჰარმონიის რიტმის შესაბამისად და ფსალმუნთმგალობლის სურვილისა-

მებრ.

წმ. ბასილისა (329-379):

უთქვამს ბასილი დიდს, რომ საფსალმუნეს ზემოდან აქვს ბგერების სათავეები - არათუ ისე, როგორც სხვა საკრავებთან დაკავშირებით გვაქვს, როდესაც მუსიკოსი ერთგზის შეაწყობს სიმებს და შემდეგ უწვალებლად უკრავს მას, არამედ აქ შეწყობის შემდეგ მარჯვენა ხელი, ერთი მხრივ, ხემს მართავს, მარცხენა კი, მეორე მხრივ, ზემოდან ეხება სიმებს შუალედებისამებრ და წარმდაუწუმ გადააქვს რა თითები, ყრუ ან მჟღერ ბგერებს გამოსცემს. თუმცა მრავალი მუსიკალური საკრავი არსებობდა, ფსალმუნთა წიგნი, მე ვფიქრობ, სწორედ ამ ეგრეთ წოდებულ საფსალმუნეს შეუწყო წინასწარმეტყველმა, რითაც თავის თავში ზემოდან სულიწმინდის მიერ შთაბგერილი მადლი წარმოაჩინა, რადგან მუსიკალური ინსტრუმენტებიდან მხოლოდ ამ საკრავს აქვს, როგორც ითქვა, ბგერათა მიზეზი ზემოდან. მართლაც, კითარისა და ლირის შემთხვევაში ხემს ქვემოდან აძლევს ხმას სპილენძი, საფსალმუნეს კი ჰარმონიული რიტმების სათავეები ზემოდან აქვს, ეს კი იმიტომ, რომ ჩვენც ზენათა ძიებას დავეშუროთ და მელოდიის სიტკბოებამ ხორციელ ვნებებამდე არ დაგვამდაბლოს. ვფიქრობ, საწინასწარმეტყველო სიტყვამ, ინსტრუმენტის აგებულებიდან გამომდინარე, ესეც გაგვიცხადა ღრმად და ბრძნულად, რომ აღნაგი და კეთილ-

შეწყობილი სულები ადვილად ადიან ზენათაკენ.

საფსალმუნის ათსიმიანობა იგავურად მიგვანიშნებს სხეულზე, რადგან ამ უკანასკნელს აქვს ხუთი გრძნობა და სულის ხუთი მოქმედება, რამეთუ თითოეული გრძნობის მიერ თითო მოქმედება ხდება. როდესაც თითოეულ გრძნობის ორგანოს სულის თითოეულ ძალასთან შევაწყობთ და სამღვდელო მელოდიის საკრავად ვაქცევთ ჩვენს თავს (ἑαυτοὺς διοργανώσωμεν), მაშინ გავუხდებით ღმერთს ათსიამიან საფსალმუნედ, ჩვენგან გამუსიკებულად (μουσουργούμενον), კეთილი ხელოვნის (τεχνίτῃ), სულიწმინდის მიერ კი აჟღერებულად.

ეს, რაც შეეხება საფსალმუნეს.

წმ. გრიგოლ ნოსელისა (334-394):

"ფსალმუნი" ესაა ღვთისადმი მიძღვნილი მუსიკალური სიტყვა და ჰიმნი. ასე იწოდება იგი იმ საკრავის გამო, რომელსაც "საფსალმუნე" ჰქვია. ამიტომაა, რომ სხვა წერილნი, რომლებიც საკრავზე არ იგალობებიან, არ იწოდებიან ფსალმუნებად. ამასთან, გვმართებს, რომ არც "დიაფსალმა" დავტოვოთ უყურადღებოდ. ზოგის შეხედულებით, დიაფსალმა აღნიშნავს აზრის, საქმის ან პირის ცვალებადობას, ზოგის თვალსაზრისით კი - მე-ლოდიის შეცვლას, კერძოდ ზოგჯერ დაბალ ტონალო-

ბას, ზოგჯერ - მაღალს. სხვები ამბობენ, რომ როდესაც დავითმა ფსალმუნები შეადგინა, ყოველი ფსალმუნი მისცა ერთ გუნდს და თვითვე გალობდა მას ამ გუნდში, მაგრამ თუ იგი ფსალმუნის შუაში სათნოიჩენდა, რომ სხვა გუნდისთვისაც მიეცა დანარჩენი ნაწილი ფსალმუნისა, მაშინ წარმოიქმნებოდა რიტმის მონაცვლეობა, რასაც ეწოდებოდა დიაფსალმა. ჩვენ არ უარვყოფთ მამათა შეხედულებებს, მაგრამ, ამასთან, არ დავაყოვნებთ, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობის ჩვენეული გააზრებაც წარმოვადგინოთ.

ჩვენი წვდომით დიაფსალმის მნიშვნელობა შემდეგია:

როდესაც წესისამებრ მომდინარეობდა ფსალმუნება, ასეთ დროს, თუ მოხდებოდა ისე, რომ წინასწარმეტყველების შუაში დავითზე აღსრულდებოდა სულიწმინდის სხვა საღვთო გამობრწყინება და შემატება ცოდნისმიერი მადლისა, მაშინ დავითი იმათ სასარგებლოდ, რომლებიც წინასწარმეტყველებას ისმენდნენ, შეიკავებდა ხმას და საშუალებას მისცემდა გონებას შეეწყნარებინა იმ აზრთა ცოდნა, რაც საღვთო გამობრწყინებით შთაინერგებოდა მასში. ისევე როგორც, მრავალგზის, ერთმანეთში მოსაუბრენი წყვეტენ საუბარს, თუკი საიდანმე ერთიანი დაბგერება მისწვდება მათ სმენას, და მიმართავენ რა გონებას ამ ხმოვანებისაკენ, სიჩუმის გზით საშულებას მისცემენ სმენას, გაიგოს ხმოვანების მნიშვნელობა, შემდეგ კი, როდესაც მიწყდება დაბგერებული ხმა, კვლავ განაგრძო-

ბენ საუბარს, ამგვარადვე დიდი დავითიც, რომელიც სულით აღმოიტყოდა იმას, რაც აქამდე ესწავლა, მელოდიის მიმყოლი იყო, მაგრამ თუ მეტყველების შუაში კვლავ განისწავლებოდა იგი რაიმეთი, სულისმიერ სმენასაც სწორედ მას მიაპყრობდა, ვინც სულიერად ბგერდა მასში და დაადუმებდა რა გალობას, უკვე იმას მიეცემოდა, რითაც ახლახანს აღვსებულ იქნა.

ამრიგად, "დიაფსალმა" არის ფსალმუნთგალობის შუაში მომხდარი მყისიერი დადუმება ღვთივშთანერგილი აზრის შესათვისებლად, ანუ "დიაფსალმა" ესაა სულიწმინდის მოძღვრება სულისადმი, მასში იდუმალად შთანერგილი, რაჟამს ამ აზრისადმი ყურადღების მიპყრობით წყდება მელოდიის მდინარება. იმისათვის, რომ არ ეფიქრათ, თითქოს დუმილი ნიშანი იყო სულიწმინდის ძალის დაკლებისა წინასწარმეტყველში, ზოგმა განმმარტებელმა "დიაფსალმის" ნაცვლად ამ შუალედურ ადგილებს დააწერა სიტყვა "მარადის", რათა ამ სიტყვის მიერ გვესწავლა, რომ სულიწმინდის მადლი მუდმივად მყოფობდა, ხოლო სულში ღვთივშთანერგილი აზრების განმმარტებელი სიტყვა ყოველთვის არ იყო. ამიტომ, დავითი ზოგჯერ აღმომთქმელი იყო იმისა, რაც გონებაში ჰქონდა, ზოგჯერ კი - შემთვისებელი, და როცა, ერთი მხრივ, აღმოთქვამდა იგი მის გონებაში შთატვიფრულ აზრებს,

კანონზომიერად მიმდინარეობდა ფსალმუნთგალობა, მაგრამ როცა კი, მეორე მხრივ, უფრო უსაღვთოესი რამ დაიბგერებდა მისი სულის სმენაში, მთლიანად ამისკენ მიაპყრობდა იგი გულისყურს და დაადუმებდა გალობას. ამიტომ, რადგან სულიწმინდა მარადის ეზრახებოდა მას სხვა დროსაც (გარდა მდუმარების ჟამისა), ამდენად მისი მეტყველებაც ინტერვალებით ანუ შუალედებით იყო, ხოლო ამ შუალედს განმმარტებელთა მიერ "დიაფსალმა" ეწოდა. ხოლო ის, რომ უსაღვთოესი მობერვის გაძლიერებაა დიაფსალმა, შემდეგითაც შეგვიძლია გავიგოთ ეს: მესამე ფსალმუნის დასაწყისში თავის უბედურებაზე გოდებს დავითი და შეჭირვებული ამბობს: "უფალო, რად განმრავლდნენ ჩემი მაჭირვებელნი?" (ფს. 3,1), მაგრამ ამავე ფსალმუნის დაახლოებით შუაში, სადაც არის დადებული დიაფსალმა, მხნეობით აღივსება იგი და თითქოსდა მხილველი საკუთარი გადარჩენისა, გულდაჯერებით კადნიერდება და ღაღადებს: "მე დავწექი და დავიძინე. ავდექი, რადგან უფალი შემეწია მე" (ფს. 3,5).

ამათ შესახებ სულ ესაა.

მისივე:

"ალელუია" განიმარტება, როგორც "ქება ღვთისა", რადგან "ალელუ" არის "ქება", ხოლო "ია" - "ღმერთი". ამიტომ, ნაცვლად სიტყვებისა: "აქებდით უფალს, რადგან კარგია ფსალმუნი" (ფს. 146,1), სვიმაქოსმა ეს დაწერა: „ალე-

ლუია, რადგან კარგია ფსალმუნი".

წმ. ბასილისა (329-379):

ფსალმუნი და გალობა სხვადასხვაა, რადგან ფსალმუნი არის მუსიკალური სიტყვა, კეთილშეწყობილად აჟღერებული საკრავზე ჰარმონიულ კანონზომიერებათა მიხედვით, გალობა კი ესაა ჰარმონიულად გამოცემული მწყობრი ხმოვანება საკრავისეული თანაჟღერადობის გარეშე. ამრიგად, რადგან საფსალმუნე სახეობრივად გულისხმობს ჩვენი სხეულის აგებულებას, რითაც იქება ღმერთი, ამის შესაბამისად ფსალმუნი შეიძლება გააზრებულ იქნეს, როგორც სხეულისმიერი საქმე, რაც აღესრულება ღვთის სადიდებლად, რაჟამს ჩვენ, გონების მიერ კეთილშეწყობილნი, ჩვენს მოძრაობებში არაფერს შეუსაბამოს არ ვმოქმედებთ, ხოლო გალობა ისაა, რაც უკავშირდება მარტივად ჭვრეტასა და ღვთისმეტყველებას (ე.ი. არა, ამავე დროს, მუსიკალურ საკრავსაც, ე.ჭ.).

ასე ამბობს დიდი ბასილი.

წმ. გრიგოლ ნოსელი (334-394):

ხოლო მისი ძმა გრიგოლი "ფსალმუნს" იაზრებს ჩვე-ნეულ ცხოვრებად, რაც მიწიერი ბგერებით ანუ აზრებით

კი არ არის აჟღერებული, არამედ წმინდად და ადვილაღსაქმელად გამომცემელია ზენათა და ციურთამიერი ბგერადობისა. მეორე მხრივ "გალობას" იგი იაზრებს გარეგნულ ზნეკეთილობად. მისი თქმით, ისევე როგორც მუსიკალურ საკრავთაგან მელოდიის მხოლოდ ერთი ხმოვანება ხვდება ყურს და ნაგალობები სიტყვები წარმოთქმისას არ ნაწევრდება ბგერებად, გალობაში კი ორივეა ერთდროულად, - მელოდიის რიტმიც და მელოდიასთან ერთად გამოვლენილი სიტყვათშინაარსიც, რისი არცოდნაც მაშინ გვმართებს, როდესაც მხოლოდ მუსიკალურ საკრავთა მიერ იქმნება მელოდია, ამგვარადვე ხდება იმათთან დაკავშირებითაც, რომლებიც სათნოებას ეშურებიან, რადგან ისინი, რომლებიც გონებას ზეაღაპყრობენ არსთა ხედვითი და განჭვრეტითი ფილოსოფიისადმი (τῇ θεωρητικῇ καὶ ἐποπτικῇ τῶν ὄντων φιλοσοφίᾳ), რასაც განასახოვნებს "ფსალმუნი", მრავალთაგან უჩინოდ წარემატებიან სათნოებაში და ამ სიკეთეს საკუთარ ცნობიერებაში ხშავენ, ხოლო ისინი, რომლებიც, ამავე დროს, ყოფით ჩვეულებაშიც (τὸ ἦθος τοῦ βίου) წარემატებიან, გარეგნული ზნეკეთილობითაც, როგორც რამ სიტყვითა და კეთილხმოვანი გალობით, საკუთარი ცხოვრების კეთილშეწყობილობას წარმოაჩენენ. ამრიგად, "ფსალმუნის" მიერ აღინიშნება გონებისეული სიკეთე, ხოლო "გალობა" ჩვეულებად და გარეგნულ ზნეკეთილობად განიმარტება.

ამგვარად, რადგან ვისწავლეთ, რომ "ფსალმუნი" ესაა მუსიკალური საკრავის მელოდია, ხოლო "გალობა" - პირით წარმოთქმული მელოდია სიტყვებითურთ, ახლა იმას ვიტყვით, თუ რა არის ჰიმნი: იგი არის ჩვენში არსებულ სიკეთეთა გამო ღვთისადმი აღვლენილი სადიდებელი.

"შესხმა" ანუ "ქება" ესაა საღვთო საკვირველებათა მაქებლობა.

"ლოცვა" არის ღვთისადმი მიძღვნილი სავედრებელი იმის გამო, რაც გვარგებს.

ამათ შესახებ კიდევ ვიტყვით.

წმ. იოანე ოქროპირისა (349-407):

გამოვიკვლიოთ მეოთხე საკითხი: არის თუ არა ყველა ფსალმუნი დავითისა? ვამბობთ, რომ სამიათასი ფსალმუნთგალობელი ლევიტელთა და სამღვდელოთა ტომიდან, სამ ქოროდ გაყოფილი, დავითის ფსალმუნს ფსალმუნებდა. პირველ ქოროს ანუ მწყობრს ლოტბარობდა იდითუმ მემწყობრეთმოძღვარი, მეორეს - აითამი, მესამეს კი - ასაფატი. როდესაც ესენი დაიღლებოდნენ, კორეს ძეები ენაცვლებოდნენ მათ, რის გამოც დავითმა მრავალი ფსალმუნი მათი სახელით იფსალმუნა. ამიტომ, ზოგიერ-

თებმა მცდარად იფიქრეს, რომ კორეს ძეებისა იყო ეს ფსალმუნები, რადგან ამათი სახელებიც იჩენს თავს ფსალმუნთა ზოგ ზედწერილში. მაგრამ როგორც მიაჩნიათ ზედმიწევნით მცოდნეებს და როგორც ეს ჭეშმარიტია, დავითის არის ყველა ფსალმუნი.

წმ. ბასილისა (329-379):

ეს წინასწარმეტყველება (დავითისეული, ე.ჭ.) გალობით ითქმის, რომ გალობისას თითოეულმა სულიც დაიტკბოს და კითხვის სიმძიმეც განაქარვოს. მართლაც, უწოდა რა ღმერთმა, რომ უზარმაცესი იყო მრავალი ადამიანი, რომლებსაც განარისხებდათ სულიერთა შესახებ კითხვა და ამ კითხვისგან გამოწვეულ დაქანცულობას უდრტვინველად ვერ დაითმენდნენ, ამის გამო ინება მან, რომ უფრო საამური გაეხადა ეს შრომა და მოესპო დაღლილობის შეგრძნება, რისთვისაც აღძრა მან ნეტარი დავითის ენა, რომ მას მელოდია შეეზავებინა წინასწარმეტყველებასთან და ჩვენ, მელოდიის რიტმით სულიერად შვებულთ, დიდი წადიერებით აღგვევლინა უფლისადმი წმინდა ჰიმნები. ჩვენი ბუნება იმგვარადაა მიდრეკილი საგალობლებისა და მელოდიებისადმი, რომ, მაგალითად, ამ სახით აძინებენ მტირალ ჩვილებს. ასევე, ფეიქარი ქალებიც, მოგზაურებიცა და მენავეებიც სიმღერითვე იქარვებენ საქმეთა სიმძიმეს, რადგან სული, რომელიც მელოდიას და გალობას ისმენს, ადვილად ახერხებს ყოველგვარი საწუხარისა და სიმძიმილის ატანას. ამრიგად, რადგან ჩვენს ბუნებას მიდრე-

კილება აქვს ამ სახის სიამოვნებისადმი, იმისათვის, რომ არ მომხდარიყო გარყვნილი სიმღერების შემოტანა ეშმაკთა მიერ და ამ გზით ყველას გაუკუღმართება, კედლად აღუმართა მათ ღმერთმა ფსალმუნნი, რაც ერთროულად სიამის მომცემიცაა და სარგებლობისაც, რადგან ამგვართა მეფსალმუნე სულზე მყისვე დაფრინდება სულიწმინდა.

წმ. ბასილისა (329-379):

ამრიგად, როგორც ითქვა, როდესაც სულიწმინდამ ნახა, რომ ადამიანთა მოდგმა ძნელად წასაყვანი იყო სათნოებისკენ და რომ ჩვენ, სიამოვნებისაკენ მიდრეკის გამო, უგულებელვყოფდით სწორ ცხოვრებას, მელოდიის საამურობით შეგვიზავა მან დოგმატები, რათა ხმის სიამესა და სინარნარეში შეუმჩნევლად შეგვეთვისებინა სიტყვათამიერი სარგებლობაც. ისევე როგორც ბრძენი ექიმები, რომლებმაც უძლურებსა და ავადმყოფებს დასალევად უნდა მისცენ განკურნებისათვის საჭირო უმჟავესი და მწარე წამლები, თაფლით ატკბობენ მათ, რომ ადვილად მიაღებინონ ისინი, ამგვარადვე შესაბამსიად იმისა, რომ მკაცრია სათნოებითი მოღვაწეობა, მელოდიისგან ეძლევა მას სიტკბოება. სწორედ ამიტომ იქნა მოფიქრებული ფსალმუნთა ეს ჰარმონიული საგალობლები, რათა ასაკით ბავშვებს ანდა, საზოგადოდ, ჩვევითად ყრმებს თავის მხრივ ის ჰგონე-

ბოდათ, რომ გალობდნენ, სინამდვილეში კი მათ სულებს განსწავლულობა შესძენოდა. ჰოი, მოძღვრის ბრძნული განზრახვავ, რითაც შესაძლებლობა მოგვეცა გვეგალობა კიდეც და, ამასთანევ, ისიც გვესწავლა, რაც გვარგებდა! ამ გზით ხომ უკეთ შთაიტვიფრება ჩვენს სულებში, რაც სასწავლია, რადგან იძულებით ნასწავლი ვერ ნარჩუნდება. მეორე მხრივ, ის, რასაც სიამოვნებით და წადიერად ვითვისებთ, უმყარესად ჯდება ჩვენს სულებში. ამრიგად, ხელშესახები მიზეზი იმისა, რომ სიამოვნებით აღვასრულებთ ფსალმუნებში გაწვრთნას, ეს არის: მელოდიით გალობა სიტყვებისა.

წმ. გრიგოლ ნოსელისა (334-394):

ჩანს, რომ მელოდიისმიერი ფილოსოფია (ἡ διὰ τῆς μελῳδίας φιλοσοφία) უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ეს მრავალთა გონებას წარმოუჩნდება. რისი თქმა მინდა ამით? მსმენია ვინმე ბრძენისაგან, რომელიც ჩვენი ბუნების შესახებ მსჯელობდა, რომ ადამიანი არის მცირე რამ კოსმოსი, აქვს რა თავის თავში ყოველივე ის, რაც - დიდ კოსმოსს. მაგრამ ყოველივეს სიმწყობრე ესაა მუსიკალური რამ ჰარმონია (ἁρμονία τὶς μουσική), მრავალსახოვნად და მრავალგვარად თავის თავში შეწყობილი გარკვეული წესისა და რიტმის შესაბამისად. მე ვფიქრობ, რომ დიდი დავითიც ამ ღვთიური ჰიმნოდიის (τῆς θεσπεσίας ὑμνῳδίας) მსმენელი გახდა და ამიტომ თქვა მან ერთ-ერთ ფსალმუნში, რომ აქებენ ღმერთს ცისქვეშეთის ყველა სხვა ძალნი, ვარს-

კვლავიერი სინათლე (τo ἀστρῳον φῶς), მზე, მთვარე და ცანი ცათანი, აგრეთვე ზეციური წყალი. ამრიგად, თუ მთელი სიმწყობრე ესაა მუსიკალური რამ ჰარმონია, ხოლო ადამიანი მცირე კოსმოსია, ყველაფერში ხილული მუსიკა ადამიანურ ბუნებაშიც გამოჩნდება. ამას ავლენს ჩვენი სხეულის ორგანული აგებულებაც, რაც ბუნების მიერ სამუსიკო მოღვაწეობისათვის არის ნახელოვნები. შეხედე არტერიის მილაკს, სასის თაღს, აგრეთვე ენის, ყბებისა და პირის, როგორც კითარის სიმებისა და ხემის, გალობას. თუკი ყოველივე ბუნებითი თვისობრივია ბუნებისათვის, შესაბამსიად, რადგან მტკიცდება, რომ მუსიკა ბუნებითია ჩვენთვის, სწორედ ამის გამო უნდა ყოფილიყო, რომ დიდმა დავითმა სათნოებათა შესახებ ფილოსოფია მელოდიით შეაზავა, როგორც რამ თაფლის სიტკბოებით, რაშიც ჩაღვარა აღმატებული დოგმატები. მე ვფიქრობ, რომ ამით იგავურად დაგვმოძღვრა მან, რომ სათნოებად მცხოვრებთ უნდა ჰქონდეთ არა უმუსიკო, გამრუდებული და მოუწესრიგებელი ჩვეულება, არამედ - მოწესრიგებული და კეთილშეწყობილი, რაც არ განიცდის გადაძაბვას ზომაზე მეტად (რადგან სიმის გადაძაბვით უთუოდ ირღვევა ჰარმონიულობა), არცთუ, პირიქით, მოშვებული ხდება იგი უზომო სიამოვნების შედეგად, რადგან ყრუვდება და მუნჭდება სული, როდესაც კი სიამოვნების ვნებებში ჩაითენთება. ამრიგად, ზემოთქმულიდან ცხადია, თუ რა-

ზე მიგვითითებს მელოდიის იგავი. ეს იგავი, კერძოდ, გვმოძღვრავს, რომ შევიკავოთ ვნებები, რაც ნაირგვარად შთაინერგება ჩვენში ყოფითი ვითარებებიდან გამომდინარე. ამის გამოა, რომ ხსნებეული საღვთო მუსიკის წარმატებებსაც სწორედ დავითისადმი ადასტურებს ისტორია, რადგან როდესაც მან სიშლეგეში მყოფი და გონდაკარგული საული ნახა, უგალობა მას და ასე განკურნა იგი ვნებულებისგან, კვლავ დააბრუნა რა ბუნებრივ გონიერებაში.

წმ. ეპიფანესი (310-403):

ფსალმუნთა წიგნი (ამის გამოკვლევა დაგვრჩა) ხუთ წიგნად იყოფა ებრაელთა მიერ. ასე რომ, ისიც ასევე ხუთწიგნედია (მსგავსად იმისა, რომ არსებობს მოსეს ხუთწიგნედი, ე.ჭ.), რადგან პირველი ფსალმუნიდან მეორმოცემდე პირველი წიგნი აღირიცხება, ორმოცდამეერთედან სამოცდამეთერთმეტემდე - მეორე, სამოცდამეთორმეტედან ოთხმოცდამერვემდე - მესამე, ოთხმოცდამეცხრედან ასმეხუთემდე - მეოთხე, აქედან ბოლომდე კი - მეხუთე, რადგან ყოველი ის ფსალმუნი, რომელსაც ბოლოში აქვს სიტყვები: "კურთხეულია უფალი... იყავნ, იყავნ" ამა თუ იმ წიგნის დაბოლოებად მიიჩნიეს. მხოლოდ მეხუთე ნაწილს ნაცვლად სიტყვებისა "კურთხეული არს უფალი..." აქვს: "ყოველი სული აქებდეს უფალს". რა კანონზომიერებაა ამგვარ განლაგებაში? პირველი მონაკვეთი ბოროტებისგან განაშორებს ადამიანს. მეორე მათგანს ადამიანი შემოჰყავს, როგორც უმ-

ჯობესისათვის მწყურვალი, მსგავსად უმწყურვალესი ირმისა. მესამე წიგნი არსთა ბუნების მჭვრეტელად წარმოგვიდგენს მას, რადგან ამბობს: "როგორ კეთილია ღმერთი ისრაელისადმი", ხოლო მე, განაგრძობს, პირუტყვისებრი ვიყავი, რაჟამს წუთიერით ვსაზღვრავდი სიკეთეს, აწ კი შენთან ვარ, რაჟამს მარჯვნივ ვისწრაფე! მეოთხე ნაწილი აღარ ეხება ჩვეულებრივ ადამიანს, არამედ უკვე ღმერთთან აკავშირებს მას, რადგან ოთხმოცდამეცხრე ფსალმუნს ასეთი ზედწერილი აქვს: "ლოცვა მოსესი, ღვთის ადამიანისა". მეხუთე ნაკვეთს აღმასვლის მწვერვალამდე აჰყავს იგი, სადაც არის ადამიანური ხსნის ყოველგვარი სრულყოფა, რადგან ამბობს: "ყოველი სული აქებდეს უფალს".

ამგვარია წინასწარი გემოს გასინჯვა. ახლა კი დროა, რომ თვით ის სანადიმო ტაბლა წარმოვაჩინოთ, რაც განუმზადა საღვთო დავითმა თავის კეთილ მონადიმეებს (ამის შემდეგ იწყება ფსალმუნთა ტექსტი წმ. კირილე ალექსანდრიელის კომენტარებით, ე.ჭ.).

[1] – ნიკიტა ჰერაკლიელი იყო XI ს-ის მოღვაწე, თავდაპირველად კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიას ტაძრის დიაკონი, შემდეგში კი (XI ს-ის მიწურულს) ჰერაკლიის მიტროპოლიტი, რომელიც განსაკუთრებით ცნობილია როგორც წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის კომენტატორი.

[2] – თარგმანი ეფუძნება ორიგინალის მინისეულ გამოცემას (იხ. Patrologiae Cursus Completus, ed. J. Migne, Patrologiae Graecae Tomus 127 ).

[3] – ე.ი. "განზრახული გვაქვს", "გასაკეთებელ საქმედ გვიდევს წინ".

**ძველი ბერძნულიდან თარგმნა**
**ედიშერ ჭელიძემ.**
**ჟურნალი "გული გონიერ", საშობაო გამოცემა, 2011 წ.**

# სარწმუნოებრივი თემები

## პუბლიცისტური მასალები
## პატრიოტულ თემაზე:
## ქართველ მოაზროვნეთა დიდი წუხილი

წინამდებარე რუბრიკით: პუბლიცისტური მასალები პატრიოტულ თემაზე, ჩვენი ჩანაფიქრით საჭირო მცდელობაა, მკითხველს მივაწოდოთ, როგორი ხედვა არსებობს დღევანდელ მსოფლიოში ფეხმოკიდებულ ტრადიციული ერების ე.წ ,,სამოქალაქო საზოგადოებებად" გარდაქმნის პოლიტიკაზე და უეროვნებო მსოფლიოს შექმნაზე, “მასონურ-სიონისტურ" მოძრაობაზე ზოგადად, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანდასახულებაც უეროვნებო მსოფლიოს შექმნაა, ისტორიული ერების სამოქალაქო საზოგადოებებად გარდაქმნის გზით. მსოფლიო საზოგადოებრიობის ცნობიერებისათვის პრობლემას არ წარმოადგენს არც აღქმა იმისა, რომ სწორედ ამ მიზნით მართული მსოფლიო მოძრაობის მამამთავართა გამალებული ბრძოლაა გამოკვეთილი ქრისტიანული ცხოვრების გზით მავალი კაცობრიობის წინააღმდეგ. ამ თემებზე გვესაუბრება ქალბატონ დენიზა სუმბაძის მიერ გამოქვეყნებული საინტერესო წიგნი, ღია წერილი აშშ-ის პრეზიდენტისადმი, ბატონ დონალდ ტრამპისადმი, რომელიც ერთობლივი გამოცემის წესით მიეწოდა სა-

ზოგადოებას: ნიუ-იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის - "ბიბლია და საქართველოს" და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გაერთიანების - "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის" არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და "ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის" სახელით, სათაურით: "ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან" (გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2018 წელი, საქართველო).

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, მისი აღმატებულების, ბატონ დონალდ ტრამპისადმი, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიერ მიწერილი ღია წერილი, სათაურით: "ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან", წიგნის წარდგინების შესავალი წერილისთვის გვაუწყებს, რომ წიგნი წარმოადგენს ავტორისეული ხედვის ანალიტიკურ სურათს, საქართველოში მიმდინარე პროცესებისას, მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში. წერილი ამერიკის პრეზიდენტისადმი ავტორის მიერ სამ ნაწილად არის წარმოდგენილი:

1) ვინ არის მსოფლიოს ე.წ. "ახალი წესრიგის" ავტორი და პასუხისმგებელი ამ წესრიგზე?!

2) რა შეიძლება ეწოდოს იმ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რომელიც ქართველმა ხალხმა მივიღეთ მსოფლიოს მიერ შემოთავაზებული ე.წ. "ახალი წესრიგით" ?!

3) რატომ არის მსოფლიოს ამ ‘‘ახალი წესრიგის" გაცნობიერების აუცილებლობა მსოფლიოს ისტორიის ჭრილში: „ბაბილონის ტყვეობიდან" მე-20 საუკუნის მეორე მსოფლიო ომამდე, მეორე მსოფლიო ომიდან ე.წ. მსოფლიოს ‘‘ახალ წესრიგამდე" და მსოფლიოს ე.წ. ‘‘ახალი წესრიგიდან" ბატონ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ანუ საკითხი მსოფლიოს ე.წ. ‘‘ახალი ებრაულ-სიონისტური მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიის გადატრიალებამდე თავად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ“.

ქალბატონ დენიზა სუმბაძის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი, ბატონ ტრამპისადმი მიწერილი საკმაოდ დიდი მოცულობის ღია წერილის გასაცნობად, რომელიც წიგნად არის გამოცემული, დაინტერესებული მკითხველისათვის ვაქვეყნებთ ამავე წერილის მოკლე საგაზეთო ვარიანტს, შედგენილს ავტორისავე მიერ და გამოქვეყნებულს 2018 წლის 5 სექტემბრის გაზეთ ‘‘საერთო გაზეთში" (რედაქტორი: პოეტი ვახტან ხარჩილავა).

აღნიშნული მოკლე საგაზეთო ვარიანტი ბატონ პრეზიდენტისადმი წარგზავნილი ღია წერილისა, ავტორს შეტანილი და გამოქვეყნებული აქვს წიგნად გამოქვეყნებული წერილის დანართებშიც, როგორც პირველი გამოქვეყნება აღნიშნული წერილისა საგაზეთო ფორმატით, რომელსაც ვთავაზობთ მკითხ-

**ველს ჩვენს წინამდებარე რუბრიკაში: ,,პუბლიცისტური მასალები პატრიოტულ თემაზე".**

**(ავტორი)**

ქალბატონ დენიზა სუმბაძის **ღია წერილი** აშშ-ს პრეზიდენტის, მისი აღმატებულების, ბატონ დონალდ ტრამპისადმი (საგაზეთო ვარიანტი)



## "ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან"
(ავტორის პუბლიკაცია წიგნიდან)

**ბატონო პრეზიდენტო,**

მოგესალმებით შორეული საქართველოდან თქვენდამი სრულიად კეთილგანწყობითა და საუკეთესო სურვილებით, თქვენი პიროვნებისადმი, თქვენი ოჯახისადმი და თქვენი ქვეყნისადმი.

მინდა გითხრათ, რომ წელიწადზე მეტია, მე თქვენი საინაუგურაციო სიტყვის შთაბეჭდილების ქვეშ ვარ და ეს წერილიც ამ შთაბეჭდილების გავლენით იწერება.




**ბატონო პრეზიდენტო!**

თქვენ ბრძანდებით დღეს პირველი პირი და წარმმართველი ისეთი ქვეყნისა, რომლის სახელმ-წიფოებრივი აზროვნებაც და პოლიტიკური კურსიც, პირდაპირ თუ ირიბად, გარკვეულ გავლენას ახდენს მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე. უფრო მეტიც, თქვენ მობრძანდით აშშ-ის სახელმწიფო მმართველობის საჭესთან მთელი კაცობრიობის უდიდესი პოლიტიკური

განსაცდელის ჟამს, როდესაც ჩვენი პლანეტარული სივრცე მსოფლიოს ხალხებისათვის მოცულია უჩინარი ძალების მიერ მართული ე.წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგისა“ სრულიად გაურკვეველი ორიენტაციით, და ამავდროულად, რაც არც ისე იოლია ხმამაღლა სათქმელად, რეალური საშიშროებით, მთელი პლანეტარული სიცოცხლის დასასრულის...

მსოფლიო მეცნიერებამ მეოცე საუკუნე აღიარა განგაშის საუკუნედ, ხოლო 21-ე საუკუნეში, კაცობრიობის სახლი, ჩვენი პლანეტა – დედამიწა, ფაქტობრივად, ერთდროულად აღმოჩნდა ჩაძირული პოლიტიკური და ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროებაში.

ჩვენ მეორე მსოფლიო ომისშემდგომი კაცობრიობა ვართ, მეორე მსოფლიო ომისშემდგომი ცნობიერების მატარებელი ადამიანებისაგან შემდგარი, იმ მეორე მსოფლიო ომის, რომელიც წარმოადგენს ევროპის შუაგულში აღმოცენებული ეროვნულ-ეგოცენტრული სულისკვეთებით ზეანთებული და მსოფლიო ბატონობის ვნებით შეპყრობილი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დაპირისპირების შედეგს, ამავე მიზნის მატარებელ იმ პოტენციურ პრეტენდენტებთან, რომელთაგანაც ერთი, ხალხთან თანასწორობისა და მეგობრობის იდეოლოგიით უკვე დამკვიდრებული, ისტორიულად უპრეცედენტო ზესახელმწიფო გახლდათ, ევროპელი უტოპისტების ეკონომიკური იდეალისაკენ გადახრილი, ხოლო მეორე, მეორე მსოფლიო ომში გერმანელთაგან წამებული, საკუთა-

რი წმინდა წერილიდან ამოსვლით, მსოფლიოს სიონისტურ მოძრაობად გარდასახული, ყველა ხალხზე აღმატებულისა და რჩეული ერის პრეტენზიით, მსოფლიო იმპერიის შექმნისკენ იყო უკვე მიმართული.

1975 წლის „ჰელსინკის დეკლარაციით" შთაგონებული მსოფლიოს ახალი წესრიგით, რომელმაც საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებთან ერთად ჩვენი, ქართული მონოლითური ეროვნული მოძრაობის ამოხეთქვასაც დაუდო სათავე, მოძრაობის, რომელიც ეროვნული თვითმყოფადობის სრულყოფას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გზით ისახავდა მიზნად, უკვე 90-იან წლებში, მიაღწია კიდევაც მიზანს _ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ერთად, ჩვენ, ქართველმა ხალხმაც, როგორც ჰელსინკის დეკლარაციის მხარდამჭერ მოძრაობაში ჩართულმა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა რესპუბლიკამ, ჩვენც მოვიპოვეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლით, მაგრამ „ჰელსინკის დეკლარაცია", რომელშიც ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად ხალხების ინდივიდუალური ერთობების, ანუ ერების უფლებათა, ღირსებათა და თავისებურებათა დაცვაც იყო წარმოდგენილი, ელვისებური სისწრაფით იქნა ჩანაცვლებული ჯორჯ სოროსის სიონისტური, ჰელსინკის დეკლარაციის სრულიად ალტერნატიული „სამოქალაქო საზოგადოე-

ბის" ვერაგული თეორიით, რამაც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო პოლიტიკა შეცვალა სრულიად ახალი და ქართველი ხალხის მიერ გაუცნობიერებელი მიმართულებით. უფრო ზუსტად, აღმოჩნდა, რომ „ჰელსინკის დეკლარაციამ" საბჭოთა კავშირიდან ჩვენი გამოყოფის შემდეგ თავისი ფუნქცია დაასრულა და ჩანაცვლებული იქნა უკვე ახალი „დეკლარაციით", რომელიც „ერების" „სამოქალაქო საზოგადოებებად" გარდაქმნის აპოლოგიით, მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიად აკანონებდა ერების თვითლიკვიდაციასა და უეროვნებო მსოფლიოს შექმნას. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მონოლითური ეროვნული მოძრაობის შედეგად, საქართველოში მივიღეთ არა ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის განვითარება და ახალ ხარისხში აყვანა, არამედ ჩვენი ეროვნული არსებობისა და ვინაობის ნგრევა, ყველა მიმართულებით: პირველ რიგში კი ჩვენი დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოებრივი მანქანის საჭეთმპყრობელობის მიმართულებით, ანუ სახელმწიფო მანქანის მართვის, ჩვენი მონოლითური ეროვნული მოძრაობით მოპოვებული „დამოუკიდებელი და თავისუფალი", ამასთან, სრულიად დაუცველი სახელმწიფო მანქანის საჭე, მსოფლიოს სიონისტური ძალების მხარდაჭერით, ხელთ იგდო მსოფლიოში ცნობილი ბილ-

დერბერგის მასონური კლუბის ანალოგი ლოჟის: `მაგისტერიუმის~ ერთ-ერთ პატრიარქად აღიარებულმა ედუარდ შევარდნაძემ და საქართველოს სახელმწიფო ხომალდი წარმართა ჯორჯ სოროსის „სამოქალაქო საზოგადოებაზე" დამყარებული „მოქალაქეთა კავშირით", ანუ ქართველი ერის „სამოქალაქო საზოგადოებად" გარდასახვის იდეოლოგიით. ედუარდ შევარდნაძემ ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიური მიმართულება შეცვალა 180 გრადუსით და ქვეყნის სახელმწიფოებრივი აზროვნება გადაიყვანა ეროვნული თვითლიკვიდაციის პოლიტიკურ კურსზე.

ვგრძნობ, ვერ ვთავისუფლდები თქვენი საინაუგურაციო სიტყვის დიდი შთაბეჭდილებისგან, რადგან თქვენ მსოფლიოს ამცნეთ, რომ ახალი მსოფლმხედველობრივი ჩირაღდანი აღმართეთ და ამერიკული თავისუფლების ახალი გაგება წამოსწიეთ წინ, რომლითაც თქვენ მსოფლმხედველობრივად შეცვალეთ ამერიკის მსოფლიო პოლიტიკაც... ამგვარი გარდატეხით, მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ თქვენი ახალი თვალსაზრისებითა და ხედვით, აზრობრივად მაინც შეეხეთ ჩემი ქვეყნის საბედისწეროდ მძიმე განსაცდელში ყოფნის მიზეზებს და ვხედავ, რომ ჩვენ, ქართველ ხალხს, გვჭირდება თქვენი თვალსაზრისების გამარჯვება, რადგან თქვენამდელი, ანუ დონალდ ტრამპამდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის პრინციპები და მორალურ-იდეოლოგიური თვალსაზრისები, ჩვენს

ხედვაში, გადაუდებლად არის შესაფასებელი და შესაცვლელი. რა გზას შეიძლება მივმართოთ ამისათვის?!

იძულებული ვარ, როგორც მეცნიერმა, თავს ნება მივცე და ამერიკის მეცნიერებისადმი თქვენი წინამორბედი პრეზიდენტის მოწოდებით ვისარგებლო: — "ნებისმიერ სამეცნიერო საზოგადოებას ვანიჭებო დაუბრკოლებელ უფლებას, პირდაპირ ჩაერთოსო სახელმწიფოს პრობლემებში!" ამ მოწოდებით თქვენმა წინამორბედმა, ერთი მხრივ, სახელმწიფო მართვის შედეგებებზე პასუხისმგებლობა გადაუნაწილა მეცნიერებს, მეორე მხრივ, გარკვეული შესაძლებლობების პიროვნებებს, სახელმწიფოსთვის კრიტიკულ სიტუაციებში, გულგრილობის უფლება წაართვა. არადა, არც თქვენ ბრძანდებით ამ მოწოდების ავტორი და არც მე გახლავართ ამერიკელი მეცნიერი. მაგრამ მადლობა უფალს, რაღაც განგებით თუ ბედისწერით, ვარ ნიუ-იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ჩემი ქვეყნის დედა- უნივერსიტეტის თეოლოგიური, ეკლესიოლოგიური და ისტორიოსოფიული პრობლემების შემსწავლელი ერთ-ერთი ჩემივე დაფუძნებული სამეცნიერო ცენტრის _ არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის თეორიულ ბაზაზე დაყრდნობით.

არ მეჩვენება! თქვენ გჭირდებათ ჩვენი სამეცნიერო ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს" თანადგომა. თქვენ გჭირდებათ ჩვენი თანადგომა თქვენი პოზიციების გამარჯვე-

ბისათვის. თქვენ გჭირდებათ და ჩვენ ვალდებული ვართ ხმა მოგაწვდინოთ, რადგან ჩვენ გვჭირდება თქვენი პოზიციების გამარჯვება ჩვენი პოზიციების გამარჯვებისათვისაც და არა მხოლოდ ჩვენი! ჩვენ გვჭირდება თქვენი პოზიციების გამარჯვება ჩვენი დედამიწისა და კაცობრიობის გადარჩენისთვის!... და ამავე დროს ჩვენ, ქართველ ხალხსაც და ნიუ-იორკის ქართველოლოგიურ ცენტრსაც გვჭირდება თქვენი თანადგომა _ როგორც ჰაერი! ნიუ-იორკის ქართველოლოგიური ცენტრი, ძირითადად, ეწევა წარმომადგენლობით მუშაობას საქართველოში და მსოფლიოს ახალ წესრიგს განიხილავს მთლიანად კაცობრიობის ბიბლიური ისტორიის კონტექსტში...

წლების წინ მეოცე საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოაზროვნე, ფილოსოფოსი კარლ იასპერსი წერდა: — როგორიც იქნება ბიბლიის შეფასება ჩვენი თანამედროვეობის მიერ, ისეთი იქნებაო მისი, ჩვენი თანამედროვე კაცობრიობის მომავალიც.

დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ანალიზი შეუძლებელია თავად ბიბლიის მორალურ-ფილოსოფიური, ასევე მორალურ-ფსიქოლოგიური ანალიზის გარეშე.

**ბატონო პრეზიდენტო!**

ეს ერთგვარად ვრცელი, ჩვენეული წიაღსვლები,

თქვენს საინაუგურაციო სიტყვაში გამოთქმული თქვენი სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობისა და პრინციპების, თქვენი ახალი ამერიკული აზროვნების საფუძვლიანი აღქმისა და შეფასებისათვის ვიხმე ფონად, იმ პოლიტიკური მრწამსის შეფასებისთვის, რომელიც თქვენ შესთავაზეთ ამერიკელ ხალხსა და მსოფლიოო საზოგადოებრიობას 2017 წლის 20 იანვარს. ამ დღეს თქვენ ბრძანეთ:

„...ისტორიული მოძრაობა, რომელსაც ჩვენ ვიწყებთ, უპრეცედენტოა და ანალოგი არა აქვს". „მსგავსი მოძრაობა მსოფლიოს არ უნახავს!" „ამ მოძრაობის გულში დევს რწმენა, რომ სახელმწიფოს ფუნქცია საკუთარი ხალხის მსახურებაა". „სახელმწიფო არსებობს იმისათვის, რომ ემსახუროს თავის მოქალაქეებს"...

„ჩვენს ქვეყანაში დედები და შვილები სიღატაკეში ცხოვრობენ... დაჟანგული ქარხნები საფლავის ქვებივით მიმოფანტულან", „ფულით სავსე განათლების სისტემა ახალგაზრდებს ვერ აძლევს ცოდნას". .. „ კრიმინალმა და ნარკოტიკებმა უამრავი სიცოცხლე წაგვართვეს"... ეს შეწყდება აქ და ახლა! დღეიდან ჩვენს ქვეყანას ახალი მსოფლმხედველობა მართავს!"

„ჩვენ მოვიძიებთ მეგობრობას და კეთილ სურვილებს სახელმწიფოებთან და მთელი მსოფლიოს ხალხებთან, მაგრამ ჩვენ ამას გავაკეთებთ იმ გაგებით, რომლითაც ყველა ხალხს აქვს უფლება, პირველ რიგში დააყენოს თავისი საკუთარი ინტერესები! (It is the right of all nations to

put their interests first!).

„ჩვენ არ ვეძებთ იმას, რომ ჩვენი ცხოვრების გზა მოვახვიოთ სხვას, მაგრამ ვეცდებით, რომ ჩვენი ცხოვრების გზა ბრწყინავდეს, როგორც მაგალითი“.

„ჩვენ გავაერთიანებთ ცივილიზებულ მსოფლიოს რადიკალური ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ და სრულიად აღვგვით პირისაგან მიწისა!“..

„ჩვენ ახალი ათასწლეულების კარიბჭესთან ვდგავართ. ჩვენ მზად ვართ კოსმოსის საიდუმლოებანი ამოვიცნოთ, დედამიწა განვკურნოთ სნეულებათაგან, მომავლის ენერგია და ტექნოლოგიები ვმართოთ“...

„ჩვენ უნდა გავაფართოოთ ეკლესიის უფლებები პოლიტიკაში!“..

ვერც ერთი ამერიკელი მოძღვარი ვერ გაბედავს საყვედურით შეუძახოს პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, რომ მას ამერიკა ანტიქრისტეს გზით მიჰყავს. თქვენ შემოაბრუნეთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ხომალდი ანტიქრისტეს საპირისპირო მიმართულებით და თქვენი პოზიცია და ხედვა თვალნათლივ და ყველას დასანახად გახადეთ ქრისტიანულ-ეკლესიური, ანუ ალტერნატიული ე.წ. „კულტურული რევოლუციისა“ ამერიკაში და შემდგომ მსოფლიო სივრცეში. თქვენ დაგმეთ ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც ადამიანებს თავებს აჭრის დემონსტრატიულად, მარტო იმიტომ, რომ ისინი ქრისტიანები არიან. თქვენ დაგმეთ მსოფლიო წესრიგის

ფორმა, რომელიც ხალხებს ისტორიულ პრიორიტეტს უკარგავს მშობლიურ მიწა-წყალზე და აღიარეთ, რომ ყველა ხალხს აქვს უფლება თავის ქვეყანაში, პირველ რიგში, დაიცვას თავისი ქვეყნის ინტერესები. თქვენ ამით დაგვიბრუნეთ უფლება ერად ყოფნის, ის, რაც ღმერთმა მოგვცა და სიონისტურმა პოლიტიკამ წაგვართვა მსოფლიოს ახალი წესრიგის სახელით. პასუხისმგებლობას ვგრძნობ გითხრათ, რომ თქვენი ერთ-ერთი განცხადება, რომლითაც მხარს უჭერთ, საერთოდ, ეკლესიის უფლებათა გაფართოებას პოლიტიკაში, ეს სრულიად თანხვედრილია ჩვენი საზოგადოებრივი გაერთიანების - „თბილისის უნივერსიტეტის ანსამბლეის" „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის" პოზიციისა, რომელიც ჩვენ საჯაროდ გავიტანეთ და საქართველოს პარლამენტში კანონპროექტის სახით წარვადგინეთ, 2009 წელს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლობამ საქართველოში, ჯერ კიდევ 2013 წლის ანალიტიკური დასკვნით, წარმოადგინა საქართველოს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი საგანგაშო სურათი: 70%-ზე მეტი მოსახლეობისა არის მოწყვლადი, ანუ ბეწვზე ჰკიდია მოსახლეობის ნახევარზე მეტის სიცოცხლე და ქართველმა ხალხმა უნდა გადახედოს-ო თავისი ქვეყნის პოლიტიკას. ამ დროს ჩვენ გვაუწყებენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ჩვენს პარტნიორ ქვეყანას, საქართველოში, პენტაგონის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიების დაფინანსება უფრო მეტად აინტერესებს,

ვიდრე ქართველი ხალხის სიცოცხლე. უპატრონობის განცდა, რომელიც დღეს უკვე მოთმინებაავსებული ქართველი ხალხის უმძაფრესი და აფეთქებისთვის მზადყოფნის განწყობად აღიქმება, რეალობაა, მაგრამ ამ უპატრონობის შემოქმედსა და გარედან მმართველ ძალას, უკვე 27 წელია არანაირად არ ერქმევა საკუთარი სახელი. ეს არ არის ამერიკის შეერთებულ შტატები, ამის მაგალითია ამერიკის შეერთებულ შტატების ხელისუფლების დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის მეცნიერებისადმი და საერთოდ, განათლებისადმი და მისი სრულიად საპირისპირო პოლიტიკა საქართველოში.

ამ უპატრონობის შემოქმედი და გარე ძალა უკვე კარგა ხანია დაეპატრონა საქართველოს ეკლესიას და მას თავს მოახვია არამეცნიერული და არაკანონიკური, ყოვლად გათავხედებული ვამპირისტული აზრი საქართველოს ისტორიის მზემანათობელ მეფეთა ებრაული წარმომავლობისა. სიონისტური ვნება მსოფლიოს ბატონობისა თვით საქართველოს ქრისტიანული ისტორიის მითვისებასაც კი არ ერიდება.

ამერიკის სახელმწიფოებრივ სისტემაში - „ყველაზე საპასუხისმგებლო პირთა მოადგილეებად, თანაშემწეებად თუ მრჩევლებად, როგორც წესი, - წერს ამერიკელი პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე ბატონი აკბარ ტურსონი, ძირითადად გვევლინებიან ებრაელი ინტელექტუალები, ე.წ. ნეოკონები, რომლებიც არავი-

თარ ანგარიშს არ უწევენ საკუთრივ ამერიკის ინტერესებს და ქმნიან საკუთარი ინტერესების ნეოკონურ-ამერიკულ პოლიტიკას“. მაგალითისათვის ბატონ პროფესორს უმცროსი ჯორჯ ბუში მოჰყავს: იმისათვის, რომ ამ უმცროს ბუშს ნეოკონურ-ამერიკული ინტერესები გაეტარებინა, ამ „უმეცარ და უპატიოსნო კაცს“ (აკბარ ტურსონის სიტყვებია) ნეოკონებმა შეუქმნეს ლამის ღვთით მიმადლებული კაცის ავტორიტეტიო.

თქვენი მოსაზრებები, თავიანთი მაღალი ეთიკურ-პოლიტიკური კულტურით, ფუნდამენტურად ცვლიან უეროვნებო კაცობრიობის სიონისტურ იდეას და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ გვიბრუნებენ უფლებას საკუთარ ქვეყანაში, პირველ რიგში, დავიცვათ ჩვენი ეროვნული უფლებები და ინტერესები. ეს კი, რეალურად, ნიშნავს იმას, რომ ჩვენი, ანუ საქართველოს სახელმწიფო ჩადგეს, თავისი ხალხის, ე.ი. ქართველი ერის სამსახურში. ამისათვის კი ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ის ელემენტარული, ღვთით ბოძებული და ღვთით დადგენილი უფლება ერად ყოფნის, რომელიც „სამოქალაქო საზოგადოების“ მზაკვრული „მოძღვრებით“ წაგვერთვა მსოფლიოს ახალი წესრიგის თეორეტიკოსების მიერ. ეს სიონისტური თეორია, რომელიც ტოლერანტიზმის იდეის სპეკულაციაზე, ანუ გაყალბებაზეა დაშენებული, მთელ დედამიწაზე ხორციელდება - როგორც ნებისმიერი ქვეყნის ერთი ერის სამშობლოს გარდასახვა მსოფლიოს ყველა ხალხების სამშობლოდ. ეს სახელმწიფო იდეოლოგიებად გაფორმებული და დაკანონებული სამშობლოების ნგრევა

გახლავთ კანონმდებლობით მიღწეული და დაშვებული უფლებამოსილება სხვათა კუთვნილი ისტორიული ტერიტორიების დაყაჩაღებისა და მითვისებისა კერძო საკუთრების უფლებითა და ფულის გადახდის ფორმით. ასე რომ, მსოფლიოს სიონისტურმა მოძრაობამ, რომელმაც თავისი ორიათასი წლის დაკარგული ისტორიული სამშობლოს დაბრუნებისათვის მსოფლიო შეძრა, სამაგიეროდ, მთელ კაცობრიობას, ანუ მსოფლიოს ხალხებს, თავისი შემოთავაზებული ე.წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგითა“ და ერების სამოქალაქო საზოგადოებებად გარდასახვით, მოუწყო სამშობლოების ყიდვა-გაყიდვის ბაზარი.

თქვენი განაცხადით, რომ მსოფლიოს ხალხებთან მეგობრობის პოლიტიკაში თქვენ არა გაქვთ სურვილი ამერიკული ცხოვრების გზა მოახვიოთ თავს სხვა ქვეყნებსაც, თქვენ ჩამოხსენით ნეოკონურ-ამერიკული ნიღაბი ჯორჯ სოროსის „სამოქალაქო საზოგადოების“ დამპყრობლურ თეორიასაც, რადგან მსოფლიო საზოგადოებრივ ცნობიერებაში, სიონისტური „სამოქალაქო საზოგადოების“ მოდელი ამერიკულ მოდელად არის გასაღებული. ამიტომ, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რას ემსახურება მთელი ამ „სამოქალაქო საზოგადოების“ მოდელის დანერგვა მსოფლიოში, მოდელის, რომელიც ჯორჯ სოროსის აზრით, საერთოდ დემოკრატიაზეც, და ე.ი. ამერიკულ დემოკრატიაზეც მაღლა დგას?! პირდაპირ ვუპასუხოთ: სიონისტურ-კაბა-

ლისტურ მიზანს - ერთი ერისა და მის მიერ ყველა დანარჩენი ხალხების მსოფლიო იმპერიის შექმნას.

ჩვენ, ქართველ ხალხს, რომელსაც არავისგან არ ესწავლება ტოლერნტობა, როგორც ბუნებით ტოლერანტსა და ბუნებით ქრისტიანს, და, მით უმეტეს, არ ესწავლება არც ჯორჯ სოროსის რასისტულ-სიონისტური აზროვნებისაგან, გვჭირდება თქვენი თანადგომა მსოფლიოს ახალი წესრიგის, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი და საკუთრივ ეთიკური საფუძვლების აკადემიური, ანალიტიკური სურათის შექმნისათვის და მსოფლიო საზოგადოებრიობის გონივრული აზრის ჩამოყალიბებისათვის დღევანდელი მსოფლიო წესრიგის მიმართ, მისი გადაუდებელი და დაჩქარებული რიტმით მოწესრიგებისათვის.

თქვენი საპრეზიდენტო მრწამსის განცხადებით, თქვენ მოგვეცით უფლება თანადგომა გთხოვოთ ქართველი ხალხის სახელით, როგორც პარტნიორი ქვეყნის პირველ პირს, რომ მხარი დაგვიჭიროთ, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღიძრას საკითხი კაცობრიობის სამოქალაქო საზოგადოებებად გარდაქმნის წინააღმდეგ, როგორც პლანეტის ღვთიური წყობის საწინააღმდეგო ქმედების ამსახველი პოლიტიკის შეფასებისათვის.

**ბატონო პრეზიდენტო!**

მოგვეცით უფლება, ვიცოცხლოთ და ჩვენი სიცოცხლე, ანუ ის, რაც მთავარია ჩვენს სიცოცხლეში - ჩვენი ცხოვრების გზა

წარვმართოთ იმ ღვთითბოძებული ჭეშმარიტებით, როგორც ეს ჩვენ, ქართველ ერს, ათასწლეულებგამოვლილი ცივილიზაციების შემოქმედ ხალხს გვესმის და გვწამს. მხოლოდ სამართლიანი და ჭეშმარიტების მწყურვალი კაცობრიობა შეძლებს კაცობრიობის მიერ ჩადენილი უსამართლობითა და უგუნურებით დასნეულებული ჩვენი დედამიწის განკურნებას სნეულებათაგან.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგამარჯვებინოთ თქვენი ქვეყნისა და კაცობრიობის სამსახურში!

მოკრძალებით, უდიდესი გულშემატკივრობით და იმედით, რომ მომიტევებთ სრულიად გულწრფელობას.

**დენიზა სუმბაძე**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გაერთიანების: „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზისა“ და ნიუ-იორკის (აშშ) ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველო“-ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველოს“ აკადემიკოსი.**

# წარდგინება

(P.S. საყურადღებო წარდგინება ხსენებული წიგნიდან)

წიგნი წარმოადგენს ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და ნიუ-იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის - "ბიბლია და საქართველო"-ს დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველოს“ აკადემიკოსის, ქ-ნ დენიზა სუმბაძის ღია წერილს ამერიკის შეერთებული შტატების იმჟამინდელი პრეზიდენტის, ბატონ დონალდ ტრამპისადმი.

წერილის სათაური ''ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან'' - ციტირებაა ბატონი ტრამპის საინაუგურაციო სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა 2017 წლის 20 იანვარს.

აღნიშნული წერილის მოკლე საგაზეთო ვარიანტი გამოქვეყნდა გაზეთ ''საერთო გაზეთში'', 2018 წლის 5 სექტემბრის ნომერში (რედაქტორი პოეტი და პუბლიცისტი, ბ-ნი ვახტანგ ხარჩილავა). ამ მოკლე ვარიანტს წინამდებარე ღია წერილისას, ავტორი აქვეყნებს სრული ტექსტის ბოლოს, როგორც ერთგვარი განვრცობილი სახის რეზიუმეს სრული ტექსტისას. ავტორისეული ღია წერილის

სრული ტექსტი კი პირველად გამოქვეყნდა წიგნის სახით: ავტორი საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს, რომ საზოგადოებისადმი წარდგინება, ანუ გასაჯაროება აღნიშნული ღია წერილისა შესდგა საზოგადოებრივი გაერთიანების: "თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის", "ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის სხდომაზე", 2017 წლის 9 ივნისს, საქართველოს პარლამენტის, ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის აუდიტორიაში, ეს სხდომა გაგრძელება და დასასრული გახლავთ "ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის" 2017 წლის 30 მაისის გახმაურებული სხდომისა, რომელიც შესდგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის, 214-ე აუდიტორიაში.

წიგნში ასახულია აშშ-ის პრეზიდენტისადმი ღია წერილი სრულ ტექსტთან ერთად, რომელიც პირველად გამოქვეყნდა. ავტორი აქვეყნებს იმ პირველ გამოხმაურებასაც, რომლებიც მოჰყვა აღნიშნული წერილის მოკლე, ანუ საგაზეთო ვარიანტის, გამოქვეყნებას გაზეთ" საერთო გაზეთში".

ამერიკის პრეზიდენტისადმი ქ-ნ დენიზა სუმბაძის ღია წერილის საგაზეთო ვარიანტი ავტორის მიერ, წარედგინა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ ელიზაბეთ რუდს და ეთხოვა მისი ინგლისური თარგმანის გადაგზავნა ადრესატისადმი. სა-

ელჩოს მიერ, ოფიციალურად მიღებული წესით, ავტორმა აგრეთვე სთხოვა საელჩოს, რომ საშუალება მისცემოდა, თავადაც გასცნობოდა საელჩოს მიერ შესრულებული თარგმანის ტექსტს და მხოლოდ მისი დასტურის შემდგომ გადაგზავნილიყო ადრესატთან, რაზედაც ავტორმა საელჩოსაგან მიიღო, სატელეფონო ფორმით, უარყოფითი პასუხი. ავტორისათვის მხოლოდ სატელეფონო პასუხით გახდა ცნობილი, რომ წერილის ტექსტი გადაეგზავნა ადრესატს.

ამერიკის პრეზიდენტისადმი, ბ-ნ დონალდ ტრამპისადმი, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ქ-ნ დენიზა სუმბაძის მიერ მიწერილი ღია წერილი სათაურით, "ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან" წარმოადგენს ავტორისეული ხედვის ანალიტიკურ სურათს საქართველოში მიმდინარე პროცესებისას, მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში. წერილი ავტორის მიერ სამ ნაწილად არის წარმოდგენილი:

1) ვინ არის მსოფლიოს ახალი, დღევანდელი წესრიგის ავტორი და პასუხისმგებელი ამ წესრიგზე?!

2) რა შეიძლება ეწოდოს იმ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რომელიც ჩვენ, ქართველმა ხალხმა მივიღეთ მსოფლიოს მიერ შემოთავაზებული ე.წ. მსოფლიოს ახალი წესრიგით?!

3) რატომ არის მსოფლიოს ახალი წესრიგის გაცნობიერების აუცილებლობა მსოფლიოს ისტორიის ჭრილში:

"ბაბილონის ტყვეობიდან - მე- 20 საუკუნის მეორე მსოფლიო ომამდე, მეორე მსოფლიო ომიდან" ე.წ - "მსოფ-

ლიოს ახალ წესრიგამდე"- და მსოფლიოს ახალი წესრიგიდან" - ბატონი დონალდ ტრამპის პრეზიდენტობამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ანუ საკითხი "მსოფლიოს ახალი ებრაულ- სიონისტური წესრიგის მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიის გადატრიალებისა თავად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ.

## "ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან"

# რ ე ზ ი უ მ ე

### ქ-6 დენიზა სუმბაძის ღია წერილისა, მისი აღმატებულების აშშ პრეზიდენტის - ბ-6 დონალდ ტრამპისადმი ქართული ტექსტი ინგლისური თარგმანისათვის

პროფესორი დენიზა სუმბაძე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, მის აღმატებულებას, ბატონ დონალდ ტრამპს მიმართავს სრულიად კეთილგანწყობით მისი პიროვნებისადმი, მისი ოჯახისადმი და მისი ქვეყნისადმი. ბ-ნი ტრამპის მოსვლას სახელმწიფო მმართველობის საჭესთან იგი განიხილავს კაცობრიობის ორმაგი უდიდესი განსაცდელის კონტექსტში: ეკოლოგიურისა და პოლი-

ტიკურის. წერილის ავტორის ხედვაში კაცობრიობის სახლი - პლანეტა დედამიწა ჩაძირულია ეკოლოგიური და პოლიტიკური კატასტროფების საშიშროებაში, რადგან ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება, მისი თავიდან აცილება, მოითხოვს სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირებების აკრძალვას, მაშინ როდესაც დღევანდელი მსოფლიო, თავისი ახალი წესრიგით, ანუ მსოფლიოს დაპყრობის სიონისტური პოლიტიკით, აშკარად მიიმართება მესამე მსოფლიო ომისკენ. ქ-ნი პროფესორი ითხოვს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან ახალი კანონმდებლობის შემუშავებას, პლანეტაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისათვის. მისი აზრით თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის შინაგანი სულისკვეთება, მეოცე საუკუნის დიდი მეცნიერის ალბერტ აინშტაინის თეორიით, რომელსაც ქ-ნი სუმბაძე "კაცობრიობის სიცოცხლისადმი გულგრილობის თეორიას" უწოდებს, შინაგანწონასწორობადარღვეული კაცობრიობის სულისკვეთებად შეიძლება შევაფასოთ, ხოლო ქრისტიანული მოძღვრების შუქზე - მოყვასის სიყვარულდაკარგული კაცობრიობის კაცთმოძულეობის სულისკვეთებამდე მისულ მდგომარეობად.

ავტორის ხედვაში, თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიის სახით, გაცხადებულია, ამერიკის შეერთებული შტატებში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდში განხორციელებული კულტურული რევოლუციის შემოქმედი და მაორგანიზებელი ძალა, რევოლუციისა, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც

ქვეყნის დექრისტიანიზაცია მოგვცა შედეგად, და, თუ ბოდიშის მოხდით გავიმეორებთ ბატონ პატრიკ ბიუკენენის სიტყვებს: "ამერიკის შეერთებული შტატები გადაისროლა ეთიკურ კანალიზაციაში".

ღია წერილის ავტორი საგანგებო ყურადღებას მიაპყრობს ჰელსინკის 1975 წლის ცნობილ დეკლარაციას, კერძოდ ფაქტს ჰელსინკის დეკლარაციისას, რომლითაც დადასტურებულია, როგორც ადამიანის პიროვნულ უფლებათა და ღირსებათა დაცვის კანონიერება, ისე კანონიერება ეროვნული ერთობების, ანუ ერების დაცვისა, რასაც ავტორი წარმოაჩენს ჯორჯ სოროსის "სამოქმედო საზოგადოების" კონტექსტში. ამ კონტექსტით, ავტორი ღია წერილისა ამერიკის პრეზიდენტისადმი, ჰელსინკის დეკლარაციის დანიშნულებად, მსოფლიოს ახალი წესრიგის დინამიკაში, ამხელს საბჭოთა კავშირის დაშლის ამოცანას, ხალხების მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრობის მოთხოვნით, ხოლო ამ ამოცანის განხორციელების შემდგომ, მსოფლიოს ახალი წესრიგის პროექტით, "ჰელსინკის დეკლარაციის" ჩანაცვლებას ჯორჯ სოროსის „ღია სამოქალაქო საზოგადოების" თეორიით. ჯორჯ სოროსის ამ კაბალისტურ მოძღვრებას ერების გარდაქმნისას სამოქალაქო საზოგადოებად და უეროვნებო მსოფლიოს, ანუ „ყველა დანარჩენი ხალხების" მსოფლიოს შექმნის მოძრაობას, ავტორი განიხილავს, როგორც უდიდეს ავანტიურას მსოფლიო პოლიტიკაში,

რომლითაც ეროვნული მოძრაობების აფეთქება უნდა შემდგარიყო საბჭოთა კავშირის სივრცეში, საბჭოთა კავშირის დასაშლელად და ხელში ჩასაგდებად რუსეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა, არა მათი თვითმყოფადობის განვითარებისათვის, არამედ მათი გარდაქმნისათვის ჯორჯ სოროსის "სამოქალაქო საზოგადოებებად", ეროვნული ღირებულებების სახელმწიფოებრივ - კანონმდებლობითი თვითლიკვიდაციის ფორმით. ეროვნული მოძრაობის ლიდერთა ლიკვიდაციით და საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებაში მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთ-ერთი არქიტექტორის, ბილდელბერგის ცნობილი მასონური კლუბის ანალოგი სიონისტური ლოჟის: "მაგისტერიუმის" ერთ-ერთ პატრიარქად წოდებული პოლიტიკური მოღვაწის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩანაცვლებით, მსოფლიოს სიონისტურმა მოძრაობამ შესძლო საქართველოს სახელმწიფო მანქანის სრული დაუფლება და სოროსის იდეოლოგიის წარმატებული განხორციელება, ანუ საქართველოს, როგორც ქართველი ერის ისტორიულად კუთვნილ ქვეყანაში, მისი გასხვისების პოლიტიკის ჩანერგვა და ეროვნულობის ნგრევა.

აღიარებულია, რომ ყოველ ერს თავისი ღვთითბოძებული მისია და ამქვეყნიური დანიშნულება აქვს. უკანასკნელი 27 წლის მანძილზე საქართველოში შეიქმნა ფაქტობრივი სურათი იმისა, რომ სოროსის თეორია ერების გარდასახვისა სამოქალაქო საზოგადოებებად, ანგრევს ერების არა მხოლოდ ფიზიკურ არსებობას, არამედ ერების

ღვთით ბოძებულ სულიერ მისიებსაც, რითაც სიონიზმი, როგორც მსოფლიოს ახალი წესრიგის დამამყარებელი მოძრაობა, გვევლინება უფალთან შეტოქებულ ძალად. უნდა აღინიშნოს, რომ თავისი "სამოქალაქო საზოგადოებების" ვერაგი მოდელით უეროვნებო მსოფლიოს შექმნისათვის, ბ-ნ სოროსი ლოგიკურად აუქმებს სიონისტური მოძრაობის იდეას ებრაელი ერის ძველი აღთქმისეული "რჩეულობის" აღორძინებისასაც, რადგან ნებისმიერი ერი, რჩეული შეიძლება იყოს მხოლოდ ეროვნებათაგან შემდგარ კაცობრიობაში და არა უეროვნებო მსოფლიოში.

2014 წელს მსოფლიო ებრაელობამ, საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ფილარ-მონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, გადაიხადა 25 წლისთავის ზეიმი მსოფლიო ებრაელობის ოფიციალური შემოსვლისა პოსტ საბჭოთა სივრცეში.

წინამდებარე ღია წერილი ამერიკის პრეზიდენტისადმი წარმოადგენს მხარდაჭერას და აღფრთოვანებას ამერიკის პრეზიდენტის, ბატონ დონალდ ტრამპის იმ საპრეზიდენტო მრწამსით, იმ კრედოთი, რომელიც მან წარმოსთქვა თავისი საინაუგურაციო სიტყვით, 2017 წლის 20 იანვარს. აღიარა რა ნებისმიერი ხალხის და ე.ი. ნებისმიერი ერის ბუნებრივი, ღვთით დაწესებული უფლება თავის "სახლში", ანუ თავის ქვეყანაში პირველ რიგში დაიცვას თავისი საკუთარი უფლებები. პროფესორ დენიზა სუმბაძის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების პრე-

ზიდენტმა, ბატონმა დონალდ ტრამპმა მოახდინა გადატრიალება მსოფლიოს ახალი წესრიგის ებრაულ-სიონისტურ იდეოლოგიაში და ნებისმიერ ხალხს დაუბრუნა ერად ყოფნის უფლება, რომელიც წაართვა მსოფლიოს ახალი წესრიგის სოროსულ-სიონისტურმა თეორიამ, უეროვნებო მსოფლიო საზოგადოებრიობის შექმნის საკუთარი იდეალით. ერების მხარდაჭერის ამ პრინციპის კანონიზაციით, ბატონმა ტრამპმა შეცვალა სიონისტურ-კაბალისტური ერთი ერისა და ყველა დანარჩენი მსოფლიო ხალხების, ანუ უეროვნებო მსოფლიოს იდეალი, მისი ალტერნატიული, ანუ ერებისაგან შემდგარი კაცობრიობის იდეალით. ქალბატონი პროფესორის აზრით ბ-ნი ტრამპის ახალი მსოფლმხედველობით, მისი ახალი მიზანდასახულებით და ახალი ზნეობრივი პრინციპებით, დღის წესრიგში დადგა მსოფლიოს ე.წ. „ახალი წესრიგის", იგივე ნეოკონურ-სიონისტური წესრიგის შეცვლა ღვთით დაწესებული ახალი მსოფლიო ანუ მსოფლიო ქვეყნების პოლიტიკაში, ღვთის საწინააღმდეგო პრინციპების აკრძალვითა და ღვთით დაწესებული ზნეობრივი პრინციპების გატარებით. ეს გახლავთ დღეს პრეზიდენტ ტრამპის ამერიკისეული გზა დედამიწის გადარჩენის.

## პუბლიცისტური მასალიდან - ახალი წიგნის "გზა უფლისკენ", ავტორისეული ხედვა:

უდიდეს პატივს მივაგებ, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია "ქალდეა-საქართველოს" აკადემიკოსს, საქვეყნოდ ცნობილ ფილოსოფოსს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, გამოჩენილ მოაზროვნეს, შეუდარებელ პატრიოტს და ბრძენ პიროვნებას - ქალბატონ დენიზა სუმბაძეს, რომელსაც სათანადო ადგილი აქვს მიკუთვნებული, ჩემს მიერ ამას წინათ გამოცემულ წიგნში - "ჯვარიქედიდან დანახული ჩემი სამყარო".

მხარს ვუჭერ ქალბატონ დენიზა სუმბაძეს, მის მიერ - აშშ პრეზიდენტის ბატონ დონალდ ტრამპისადმი გაგზავნილ ღია წერილში ასახულ უკლებლივ ყველა მოსაზრებას და ვისურვებდი ცალკეული საკითხების უახლოეს პერიოდში განხორციელებას, კაცობრიობისა და მათ შორის ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ამასთან, ამ თემაზე გამოცემულ მეტად მგრძნობიარე წიგნისადმი სხვადასხვა მოღვაწეების მიერ გამოყენებულ გამოხმაურებებს - სათაურის სახით დავუმატებდი ჩემს პირად მოსაზრებებს:

- "აქ ყველაფერია ნათქვამი";
- "კაცობრიობის გადარჩენის შეუცვლელი მოსაზრება";
- "ღმერთის შექმნილი სამყარო ისევ ღმერთმა უნდა იხსნას";

-"თუ საჭირო გახდება, განკაცებული ღმერთი, ისევ ქალდეველთა (საქართველო) ნატერფალზე მოგვევლინება";
- "დადგა ჟამი მეორედ მოსვლისა";
- "დაუყონებლივ გაიგოს კაცობრიობამ სიმართლე";
- "ვინ ღუპავს კაცობრიობას ეს ნათლად სჩანს, ვინ გადაარჩენს იგი უცნობია";
- "ვინ ჩაიბარებს კაცობრიობის გადარჩენის საქმეს"?
- "გამბედაობა გამარჯვების საწინდარია";
და ა.შ

წარმატებებს ვუსურვებ ჩვენი ქვეყნის საამაყო ქალბატონს - დენიზა სუმბაძეს.

(ავტორი)

# ზ ე ო ბ ა

(გამოძახილი ისტორიული წყაროდან)

*მშობელთა პატივისცემა უფლის ათ მცნებაში დადასტურებული და აღთქმული ურთიერთობაა ადამიანებსა და ღმერთს შორის.*

*ამ მცნების უბადლო აღმსრულებელი თვით ჩვენი მაცხოვარი იყო.*

*წმინდა წერილში უხვადაა ცნობები შვილებისა და მშობლების ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ჩვენ ორ მაგალითზე შევჩერდებით.*

*ერთია, თუ როგორი უნდა იყოს მზრუნველი, მოსიყვარულე შვილი, მეორე კი მისი საპირისპირო.*

*შესაბამისად, სასჯელი და ჯილდოც შესაფერია, რადგან მშობელთა პატივისცემასთან და სიყვარულთან პირდაპირ არის დაკავშირებული შვილების ბედნიერება და დღეგრძელობა.*

ჩამაფიქრა! წაკითხულმა,
გაგონილმა - ნანახმა,
ხელში ავიღე კალამი,
მიზანს! გავუხდი - თანახმა.

მშობლის და შვილის პატივისცემა,
უფლის მცნებითა აღქმული,
ვერ შეიცვლება იგი ადვილად,
ვითარც მტკიცედა დათქმული.

მცნების უბადლო აღმსრულებელი,
თავად იყო მაცხოვარი,
წმინდა წერილი, რადგან გვამცნობებს,
იქ არ მოქმედებს ვინმე მსტოვარი.

შვილს, მზრუნველს - მოსიყვარულეს,
ეძლევა "ჯილდო", შესაბამისი,
საპირისპირო ქმედებისათვის,
"სასჯელიც" არის სატყვისი.

მშობელთა პატივისცემა,
და სიყვარულის წადილი,
შვილებს აღაფრენს ზეცაში -
უბრალო გამოძახილი.

**ძ მ ე ბ ი ს გამოცდის (იაკობის შვილები)**
**პირველი მაგალითი:**

მოგითხრობთ, ცნობილ ამბავზე,
იგი ეხება - სამ ღვიძლ ძმას,
რჩეულ ქვეყნიდან, ორმა უსჯულომ,
როგორ გაყიდეს ერთი ძმა.

შეიქმნა იგი, ქვეყნის ხელმწიფე,
სრულად მოიცვა ეგვიპტის მხარე,
განგებამ "ძმები", "ამას" შეჰყარა,
მიეღოთ პური... კიდეც, სხვა - "რამე".

გადაწყდა, ძმების გამოცდა,
ჭეშმარიტების დადგენის,
"იოსებს" სურდა თავად ეხილა,
მისი მიზეზი - ჩამდენიც.

მშობელმა მამამ - ძმებს უთხრა,
წადით ისევ ეგვიპტეში,
შიმშილობის ჟამი იდგა,
რჩეულ ქვეყნის მთლიან ერში.

ძმები მიიღო ხელმწიფემ,
ვერავინ სჯობდა ალერსში,
კითხვა დაუსვა, თავს როგორ გრძნობდა,
მამა - მშობლიურ მხარეში.

სადილადაც მიიწვია,
პატივი სცა ღირსეულად,
მოურავსაც დაავალა,
მიეცა ძღვენი - ხილულად.

ტომრები პურით აევსოთ,
ფულიც მიეცათ მძლედ - საკმარისი,
ჩუმად ჩაედოთ ბენიამინთან,
ხელმწიფის "თასი - ვერცხლის სასმისი".

როცა, დასრულდა წასვლის მზადება,
არ ჰყოლიათ მომდურავი,
ქალაქიდან გასულ ძმებსა -
დაადევნეს მოურავი.

იოსებს, სურდა ენახა -
რა შეეძლოთ საკუთარ ძმებს,
უბედურების მომენტში,
რით შეხვდებოდნენ განსაცდელს.

მოურავის შეკითხვაზე,
რად მოიპარეთ "ხელმწიფის თასი",
ძმებმა იცოდნენ, რომ ამ კამათში
"უბრალო" იყვნენ - თანაც ხალასნი.

გაკვირვებულმან, მოურავს უთხრეს,
"ამას რას ბრძანებს ჩვენი უფალი",
არ ვიქმთ, ამ ზრახვას არა! არასგზის,
სიმართლის მქონე ვართ -პირმართალნი.

ვისთანაც თასი აღმოჩნდეს,
დაისაჯოს სიკვდილითაც,
ხოლო "ჩვენ ვიქმნეთ - მონებად თქვენდა",
ბრალდებულები - ჩვენი წასვლისას.

ძირფესვიანად დაიწყეს ჩხრეკა,
ძმებმა მიიღეს მართლაც თავზარი,
ვერ მიხვედრილან, როგორ შეემთხვათ,
საქმე უმსგავსო და შემზარავი !

დაბრუნდნენ უკან, დიდ ხელმწიფესთან,
სიმართლის მტკიცებისანი,
ძმებს, იოსებმა მრისხანედ უთხრა !
- ეს რა გიქნიათ,რას სჩადით, საით წავიდა მიზანი?

იუდამ, გულწრფელად უთხრა,
რა ვთქვათ, თავი რით ვიმართლოთ,
განგებამ ჰპოვა უსამართლობა,
მონამან თქვენმან, ვერც გაგიმარტოთ.

აჰა, ვართ უკვე თქვენი მონანი,
მეც და ისიც - მქონე თასის,
იოსებმა, არ ისმინა მონათხრობი,
როგორც ჭეშმარიტად მრწამსი.

ბრძანა, "მონად" ის იქნება,
ვისაც ჰქონდა "ვერცხლის თასი".
თქვენ კი წადით მამათქვენთან,
ვინაც გელით იმ დიდ სახლში.

მიუახლოვდა იგი იოსებს -
აზრის გამოთქმის, სიტყვის თქმის ნებით,
არ განმირისხდეთ - "მონასა თქვენსა",
თუ დავბრუნდები, მე, ძმის გარეშე,
მამა მოკვდება, ამ  მწუხარებით.

რადგან, თავს "ვიდე" ძმის წამოყვანა!
თავად, "თქვენდამი მონად მე ვრჩები",
არ მიგვესვლება მამასთან,
თუ ძმა არ იქნა ჩვენგან, ერთ - ერთი,
როგორ ვიხილო მოხუცი მამის,
ღრმა მწუხარება, რაც არ ერგების.

იოსები, დარწმუნდება,
რომ გამოსწორდნენ თავისი ძმები,
თავად იტვირთეს ღრმა გაჭირვება,
მამას არ ერგოს- მწუხარე ხვედრი.

მეტი ვეღარ მოითმინა,
დაითხოვა იქ მყოფები,
ცრემლმორეული წარუდგა მის ძმებს,
ერთად რომ იდგნენ - ძველის გოდებით.

ძმამ დაამშვიდა ისინი,
მომიახლოვდით, მე თქვენი ძმა ვარ,
როცა გამყიდეთ, ნუ შეძრწუნდებით,
ღმერთმა  შეგვყარა ბედისწერითა,
მადლობა უფალს ყოველისათვის -
ამიერიდან ერთად ვიქნებით.

წადით ეხლავე - მამას უამბეთ,
რაც ნახეთ ჩემთან ყოველი,
დაუყონებლივ წამოიყვანეთ
იგი, ოჯახით – საცხოვრებელით.

შიმშილობა კიდევ გასტანს,
თავს შველა უნდა, ნუ გარინდდებით,
გადმოსახლებას ნუ დააყოვნებთ,
მე, აქ გიშველით - უფლის დიდებით.

გადაეხვია ის, ბენიამინს!
და გადაკოცნა ერთად ორივე,
ბევრი იტირა, შეწუხებულმა,
ძმებთან შეხვედრა, რაკი იხილა.

აღქმულ კუთხეში მისულმა ძმებმა,
მამას მოუთხრეს მათ ძმის შესახებ,
რომ იოსები ცოცხალია და
პირნათლად მთავრობს მთლიან ეგვიპტეს.

მამა, განცვიფრდა, თუმც ვერ ირწმუნა,
მაგრამ, რომ ნახა დიდი გზავნილი,
განცხოველდა და ამაღლდა კიდეც,
წარსულს შეხედა, როგორც განვლილი.

თავად იხილა შემობრუნება,
ძმებში აენთო ცისკრის ვარსკვლავი,
აღარ შეუდგა ამბის მხილებას,
ვეღარ იკითხა მტყუან - მართალი.

# მამა-შვილის (აღქმული ქვეყნის მეფე - დავითი და შვილი -აბესალომი) ურთიერთობის გამოცდის მეორე მაგალითი

ძლიერი მეფის სანუკვარმა - ძემ,
მოკლა საბრალო ღვიძლი ძმა,
სინდისის ქეჯნის მიზეზით,
იგი, ქვეყნიდან გაიქცა.

მწუხარე მამამ, შვილს მიუტევა,
დართო ნება ქვეყანაში დაბრუნების,
გამეფება, მოინდომა მკვლელმა შვილმა,
მზაკვრული გზით, მკვიდრი მამის ჩამოგდების.

განზრახვის შესასრულებლად,
შვილმა მიმართა ყველა ხერხს,
ხალხში ნდობის მისაღწევად,
ავრცელებს ყველგან - უღირს ხმებს.

მთელ სამეფოში გამორჩეული,
მასზე ლამაზი კაცი არ იყო,
მის გარეგნობას თაყვანსაც სცემდნენ,
ყველა მოკვდავის გული დაიპყრო.

დილაადრიან გამოდიოდა,
ალერსს უძღვნიდა გამვლელ - გამომვლელს,
ეფერებოდა დიდს თუ პატარას,
ხშირად იცვლიდა ნამდვილ სამოსელს.

ნახავდა ვინმეს მეფესთან მისულს,
გამოკითხავდა სადაური ხარ !
და რა გჭირდება, რისთვის გარჯილხარ ?
უმალ ეტყოდა, სამართალს ეძებ?
თუმც, მეფეს ვინ ჰყავს, რომ მოგისმინოს -
შენს გაჭირვებას ვინღა დაეძებს.

თქვენი მსაჯული, რომ ვიყო,
ყოველ საჩივარს თავად მოვუსმენ,
ყველასთვის შევძლებ სიმართლის ახსნას,
სიხარულის სკივრს, უმალ აგივსებთ.

თუ ვინმე თავს დაუკრავდა,
როგორც კეთილსა - მეფის ძეს,
ესალმებოდა, ხელს გაუწვდიდა,
იმედს აძლევდა, იმავ  დღეს.

ამგვარად მოინადირა,
მრავალის გული - უძღები სული,
აღსაშფოთებლად მან შეამზადა,
მთელი სამეფოს კუთხე - კუნჭული.

მამას, ქებრონში წასვლისთვის,
გამოსთხოვა წასვლის ნება,
ძმის მკვლელობიდან გაქცეულს!
აღთქმა ჰქონდა უფალ ღმერთთან.

-იერუსალიმში დაბრუნებისას,
მსხვერპლს რომ შესწირავდა ღმერთსა,
დადგა რა, აღსრულების დრო
ეჭვის გარეშე მიიღო - შვება.

გზაც დაულოცა მამამ - დავითმა,
უსურვა კეთილდღეობა,
რადგან უფლის შესაწირი,
ქვეყნისთვის იყო დიდი ზეობა.

უღირსმა შვილმა ქებრონში,
თან გაიყოლა, წარჩინებულნი,
თუმც არ იცოდნენ მისი განზრახვა,
რისთვის იღწვოდა ბოროტი სული.

მსხვერპლის შეწირვის მომენტში,
მან მოუწოდა, მამის დიდ მრჩეველს,
აქიტოფელიც გადაიბირა,
აწყობდა, შვილი ნამდვილ შავ - ბნელ დღეს.

ამ დროს, შვილმა მთელ ქვეყანას,
გაუგზავნა ჯაშუშები,
დაარიგა - გაანათლა,
გვერდში მყოფი სხვა მსტოვრები.

- როცა გაიგებთ ! საყვირების ხმას,
ხალხს აცნობეთ, უმალ - დროში,
შეიცვალა ვითარება,
მე გავმეფდი, აქ - ქებრონში,
მეფის ტახტის დასაპყრობად,
ბრძოლას ვაგრძელებ - შემდგომშიც.

დაწყებული შეთქმულება,
უმალ მოედო მთლიან სამეფოს,
მამა არ ფლობდა, რეალურ სურათს,
შვილი რომ ანგრევს - მამის სამყაროს.

როცა შეიტყო შვილის განზრახვა,
მამა შეწუხდა სულის შეძვრამდე,
არ სურდა შვილთან ურთიერთობა,
ტახტის დამხობა ვადამდე ადრე.

დატოვა იერუსალიმი,
თვალცრემლიანმა მწუხარემ,
ფეხშიშველი რომ გაიქცა,
ქვეყანა დარჩა მდუმარე.

მეფესთან, უმალ მივიდნენ,
ერთგული მხედართმთავარნი,
გადარჩენის გზებს სახავდნენ,
ეძებეს გამოსავალი.

მღვდელმთავრს, "სადუკ"-ს და ლევიტელებს,
ხელთ ეპყრათ - აღქმის მძლე კიდობანი,
მეფე დავითმა ჩათვალა,
აღქმას ჰქონოდა სულ  სხვა, მიზანი.

მოახსენეს დავით მეფეს,
შვილს რომ მიემხრო აქიტოფელიც,
მაშინ დავითმა ერთხმად წარმოთქვა:
განქავრდეს "უფლის წყალობით,
ზრახვები აქიტოფელის".

ამ დროს მეფეს შეეგება,
"ხუსი"-ძველი მეგობარი,
უნდოდა მეფეს თან გაჰყოლოდა,
მაგრამ მყისვე უთხრა უარი.

რჩევა მისცა მისულიყო,
მეფის მეამბოხე შვილთან,
ერთად ეპოვათ კეთილმყოფელი,
ეჩვენებინა თავი მის მომხრედ,
აღარ ეხილათ არავის, ბოროტი აქიტოფელი.

"ხუსის" მიანდო ერთგული მღვდელნი -
სადუკი, აბიათარი,
რომ ამათ პირით შემოეთვალათ,
სიკეთის, ვრცელი ამბავი.

ერთ ადგილზე დავითს შეხვდა,
"სემეი", მთლად ახლობელი,
იმან მიაგო წყევლა ქვის სროლა,
შენგან გავედი, დაგსაჯა ღმერთმა,
"საულის" ნაცვლად - რადგან გამეფდი".

ახლობელმა დავითს ჰკითხა,
თუ რად წყევლიან, "მისსა- მეფესა",
წავალ და მოვკლავ მე - იმ კაცს!
თუ მომცემ, ამის ნებასა.

დავითმა უთხრა - ძე ჩემი,
ეძებს, ჩემს მოკვლას - ბოროტების გზას,
რა სიყვარული მოვთხოვო გულცივს,
მართლაცდა, უცნობ სულ სხვა კაცს?

-მწყევლოს, ვინ იცის, იქნებ უფალმა
შემიბრალოს და დამინდოს,
წყევის სანაცვლად, ძალა მომცეს და
აღმასვლის ხიდი ამიგოს.

ამასობაში, ძე - მეფის,
მებრძოლი ჯარით, აქიტოფელით,
შევიდა - იერუსალიმში,
სურვილით, ტახტის დაპყრობის.

აბესალომთან, მივიდა "სუხი",
ვარ შენი მომხრე - მარადის,
არ მოგშორდები გვერდიდან -
მოგდევ კარიდან კარამდის.

ძემ, აქიტოფელს მოსთხოვა რჩევა,
თუ როგორ მოქცეულიყო,
მანაც ურჩია: შევკრიბოთ ხალხი,
და დავედევნოთ დავით მეფესო.

-მეფის ჯარი დაღლილია,
დროზე უნდა ხერხს მიგნება,
მებრძოლები გაიქცევა,
დარჩენილი მეფე - მოვკლათ!
ყველა დაგემორჩილება..

შვილს, რჩევა ჭკვაში დაუჯდა,
მაგრამ მაინც იხმო "ხუსი",
უთხრა, არა კეთილარს აქიტოფელის რჩევა,
გვერდზე გადავდოთ მისი -სტატუსი.

აჯობებს, მეტი შევკრიბოთ ხალხი,
მზადება თუნდაც მოგვიხდეს ძალით,
დროზე დავიძრათ, დავეცეთ მეფეს,
ამოვუწყვიტოთ მებრძოლი ჯარი.

რჩევა "ხუსი"-ს, ამჯობინა- შვილმა,
აქიტოფელს ჩაეძირა ნავი,
განრისხდა, იგი როგორც მრჩეველი
დამწუხრებულმა -მოიკლა თავი.

"ხუსმა" მეფეს ჩუმად შეუთვალა,
შენი ჯარით გაიქეცი სხვა გზით,
გადავიდა მეფე "იორდანეს", გაღმა,
დაბანაკდა ქალაქ მანიამში.

შვილმა ჯარით შეუტია მამას!
აპირებდა ბრძოლას -თავზარდამცემს,
თუმც ნათლდ ჩანს, რა მიაგო ღმერთმა,
ბოროტებს და ყველას! ქვეყნის - გამცემს.

დავითმა, ერთგული ჯარი,
ჩართო ბრძოლაში მეამბოხებთან,
თუმც გააფრთხილა მხედარმთავრები,
ხელი არ ხლოდა ერთადერთ ძესა.

ბრძოლა, ტყეში გაიმართა,
მეფის ჯარმა დაამარცხა მტრები
ომს შეეწირა - ოცი ათასი,
ბევრი გაიქცა ბრძოლის ველიდან
ყველამ შეიგრძნო სამეფოს ფასი.

აბესალომსაც სურდა გაქცევა,
ჯორზე შემჯდარი, ტყეს ტოვებს მაშინ,
ბედად, მისი “ თმა’’ გაება ტოტებს,
ვერ დაასრულა მხედრული მარში.

ჯორი გაიქცა იგი ხეს შერჩა -
უმწეო მორჩილებაში,
ამ დროს მიუსწრო "იობმა",
ისარი, სტყორცნა მიზანში.
მხედრებმა იგი ჩამოხსნეს ხიდან,
და იქვე ჩაფლეს მიწაში.

როცა გაიგო მეფე დავითმა,
მისი ძის, ამ გზით სიკვდილი,
დაითრგუნა და ძლიერ შეწუხდა -
რომ ვერ ასრულდა მამის სურვილი.

ცხარე ცრემლებით ტიროდა იგი,
ერჩია თვით მომკვდარიყო,
შვილის მაგიერ - სიკვდილს ლამობდა,
თუმცა მშველელი არსად არ იყო.

მეფის წინაშე, ჩადენილ ზრახვებს,
შეინანიებს ყველა გოდებით,
ითხოვეს პატიება და
სამეფო ტახტი, მკვიდრი - მფლობელით.

მეფე დაბრუნდა სამეფო ტახტზე,
და აპატია ყველას შეცდომა,
მამა- შვილს შორის მოქიშპეობამ,
შედეგი დადო, არვინ ელოდა.

რთული არის აღსაქმელად,
აღარ პასუხობს “ზეობას“,
თუმც, ამ მოვლენამ შემდგომში,
გზა გაუკვალა, „ზნეობას“.

2021

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის გამონათქვამები**



- მშვიდობა ყველასათვის სასურველია, მაგრამ მისი მიღწევა იოლი არ არის. ჩვენს გარშემოც და ჩვენს სულშიც მშვიდობა რომ სუფევდეს, მშვიდობისმოყვარე გული უნდა გვქონდეს.
- ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც ღვთის იმედი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს რწმენა, სიყვარული და სასოება. როცა ადამიანი კარგავს ყოველივე ამას, როცა საკუთარი ნებით მოქმედებს და სურს, თავისი ძალით მოიწყოს ბედნიერი ცხოვრება, ამ შემთხვევაში, ხშირად უფალი ადამიანს ან ერთს რაიმე მძიმე განსაცდელს უგზავნის. განსაცდელი ადამიანს იმიტომ კი არ მოევლინება, რომ ღმერთს მისი დასჯა სურს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ადამიანს რწმენა მოეცეს. უფალი ამ განსაცდელით ცდილობს ადამიანს თუ ერს ჭეშმარიტი სარწმუნოება დაუბრუნოს.
- რწმენა ღვთის არსებობის დაჯერებას კი არ ნიშნავს მხოლოდ, იგი უპირველესად გულისხმობს ცხოვრებას

ღმერთში, სასოებას, იმედს მისი წყალობისას.

- თაობათა ერთობა და ერთსულოვნება დღეს ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ეშმაკი ჰყოფს და აპირისპირებს, ღმერთი კი აერთიანებს და არიგებს.
- ღრმა აზროვნებასთან ზიარება ბავშვს მეტად გაუადვილებს სხვა საგნების ათვისებას. ამასთან, ჩვენ აღვზრდით ნამდვილად ჭკვიან ახალგაზრდებს, რომლებიც იცხოვრებენ და იმოქმედებენ არა მხოლოდ ემოციებით, თავისუფალნი იქნებიან მაქსიმალიზმისაგან და ჩვენზე უფრო გონიერად, რწმენითა და სიმართლით წარმართავენ ცხოვრებას.
- ადამიანის მიწიერი ცხოვრება გამოცდაა, ბედნიერია ის, ვინც ამ გამოცდას გაუძლებს, ვინც არ ჩაიკეტება ეგოიზმის ნაჭუჭში, ვისაც ესმის მარადიული და საუკუნო პრობლემები და ხედავს არამარტო თავის თავს, არამედ, სხვასაც. განსაკუთრებით კი – სხვათა გაჭირვებას. აი, ეს არის ქრისტიანობა, ამისკენ მოგვიწოდებს ქრისტიანული სარწმუნოება.
- თუ სულიერი საუნჯე გააჩნია ადამიანს, მიწიერი საუნჯე მას აუცილებლად ექნება.
- როცა ადამიანი კეთილ საქმეს აკეთებს, მასზე გარდამოედინება მადლი სულისაწმიდისა, რაც მთელ მის სახლს, მის ახლობლებს, შვილებსა და შვილიშვილებს ეფინება.
- ღვთისადმი რწმენითა და ხალხის სიყვარულით შენდებოდა, იწერებოდა და იქმნებოდა ყოველივე ღირებული და დიადი კაცობრიობის ცხოვრებაში. რწმენა ადამიანი-

სა სულისა და ღმრთის შინაგანი ერთობაა, სიყვარული კი ამის გარეგნული გამოხატულება.

- თავისუფლება მშვენიერია, სასურველი და ახლობელია, მაგრამ იგი, ამავე დროს, საშიშიცაა, რადგან თითოეულ ჩვენგანს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს.
- ხშირად გვავიწყდება, რომ ჩვენი ფიზიკური სხეული მიწად უნდა მიიქცეს, ანუ, იმად იქცეს, რისგანაც თვითონაა შექმნილი, ხოლო სული კი, რომელიც უკვდავია, მარადიულად უნდა დაემკვიდროს იქ, სადაც დაიმსახურებს.
- შენ გვასწავლე, იესო, რომ სიყვარულშია ხსნა, რომ სიმდაბლეშია სიმაღლე, სიმარტივესა და უბრალოებაში — სიდიადე; მოყვასის მსახურებაში — სიხარული; გაცემაში — შეძენა და დათმენაში — გამარჯვება; რომ მტრის სიყვარულშია სიყვარულის სისრულე და სხვისთვის თავგანწირვაშია საკუთარი სულის პოვნა.
- სიყვარული თუ არის ადამიანში, სიხარული იქნება, სიყვარულის გარეშე არაფერი გამოდის, იმიტომ, რომ ღმერთი თვითონ არის სიყვარული. დაგლოცოთ ღმერთმა, გწყალობდეთ უფალი. ღმერთმა ძალა მოგცეთ და მშვიდობა მოგცეთ, ჩვენთან არს ღმერთი!

**მკითხველს წარვუდგინე მხოლოდ მცირე ნაწილი გამონათქვამებისა... ბედნიერია ის ერი და ქვეყანა, ვისაც ასეთ ბრძენ, დიად პატრიარქს მოუვლენს უფალი.**

**ეს ჩვენი ქვეყანაა - საქართველოა.**

**- დიდება უფალს !!!**

**- მადლობა უფალს !!!**

**(ავტორი)**

# ჩემი ახლობელი და საპატიო ადამიანები

## მამა ამირან ამირანაშვილი



ფართოფორმატიანი წიგნიდან -"ჩემი წუთისოფელი" (დეკანოზი ამირან ამირანაშვილი) ვეცნობით, რომ ამირან ამირანაშვილი დაიბადა 1947 წლის 24 აპრილს იმერეთის ლამაზ სოფელში, ცხრა სულიან ქართული ტრადიციების, სულიერად და უფლისმიერად ამაღლებულ ოჯახში. დაბადებიდანვე, უამრავი ნიჭით დაჯილდოებულს, თან დაჰყოლია საინტერესო ცხოვრების გზა, სადაც უამრავი აღმართ დაღმართი მიაცილებდა მის წელთა მატებას.

1965-1968 წლებში თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობდა, სადაც მან გაიცნო დირიჟორი ანზორ თამარაშვილი, რომელიც მოღვაწეობდა ოპერის თეატრში და ამავე დროს მისი ხმის ტემბრით მოხიბლულმა, სტუდენტი ბიჭი თეატრში წაიყვანა. ეს მოხდა 1967 წელს, სადაც მან გაიცნო ლეგენდარული ჯანსუღ კახიძე. ამის შემდეგ სრულიად ახალგაზრდა და ნიჭიერი ჭაბუკი გზას იკაფავს დიდი საოპერო ხელოვნებისკენ. ამ პერიოდში საოპერო სცენას არაერთი კორიფე ამშვენებდა. ამირანის აღნაგობით მოხიბლულნი სთავაზობდნენ სხვადასხვა საოპერო სპექტაკლში მონაწილეობას, ასევე ცეკვის შესრუ-

ლებას პირველი ცეკვა ოპერა "კარმენში" იცეკვა. მეცოსოპრანო ზინაიდა პალისთან ერთად. ნომერი წარმატებით შესრულდა, დარბაზი ტაშით დაინგრა. ოპერის ვარსკვლავი აღფრთოვანებული იყო ამირანის ცეცხლოვანი ცეკვით.

1968 წელს ის თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდების ჩაბარებისათვის დღე და ღამეს ასწორებს... მას კარგად ესმის წარმატება შრომის შედეგად მიღწეული შედეგია. ის იხსენებს ინსტიტუტში ჩაბარების ეპიზოდს; დერეფანში ფუსფუსია, უამრავი ადამიანი ირევა, ამ დროს ერთი ინტელიგენტი კაცი, რომელიც თითქოს უთვალთვალებდა აბიტურიენტებს და მუშტრის თვალით გვათვალიერებდა, ცოტა ხნის მერე ჩემთან მოვიდა და მითხრა: "შვილო, შენისთანა ბიჭები ერთი ორი კიდევ მომიყვანე და გამოცდებზე მე დავეხმარებიო"... ცნობისმოყვარეობის შემდეგ გავარკვიე ეს მადლიანი კაცი ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი, ბატონი ილია თავაძე გახლდათ. თეატრალური ინსტიტუტის მერე ამირანმა სწავლა ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში გააგრძელა. ნიჭიერი ახალგაზრდა არათუ ჩაირიცხა ინსტიტუტში, არამედ მეორე კურსზე დასვეს და ზოგადი საგნებიდანაც გაათავისუფლეს, ეს მაშინ იშვიათი გამონაკლისი იყო. საბჭოთა პერიოდი განსაკუთრებული მიდგომით გამოირჩეოდა არსებული კანონების მიმართ და აქედან გამომდინარე ვერც იგივე სტუდენტი ბიჭი სამხედრო სავალდებული სამსახურს ვერ გაექცა.

1974 წელს მოტყუებით, ჯერ ნავთლუღის გამწვევ ბაზაზე,

ხოლო შემდეგ კი ჯარში წაიყვანეს... ჯარში გამწვევი კომისია, ახალგაზრდა ყმაწვილს მითიურ ჭაბუკად აღიქვამდა. დაე იყოს ნება ღვთისა და ახალგაზრდა ხელოვანი გზას დაადგა ყაზახეთის უკაცრიელ ქალაქ ლენინსკისკენ. კოსმონავტთა სასახლემ უკვე იცოდა, რომ ჯარისკაცთა რიგებში საქართველოდან ცნობილი მუსიკოსი მსახურობდა და მეორე დღესვე ჩააბარეს ანსამბლი "დრუჟბა", რომელიც 30-35 კაცისაგან შედგებოდა და ხელმძღვანელობა ამირან ამირანაშვილს დააკისრეს. სულ სხვაა ქართველი კაცის პატრიოტული სულისკვეთება, ის ჯარს სერჟანტის წოდებით ტოვებს და სამშობლოში ბრუნდება "სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა". ეს ფრაზა, მისი ქადაგების ლაიტმოტივია მთელი მისი არსით. ჯარიდან დაბრუნებული კვლავ კონსერვატორიაში აღადგინეს. მისმა დაბრუნებამ საზეიმო განწყობა შექმნა, როგორც პედაგოგებში, ასევე სტუდენტებში. მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა როლი, ამიტომ ის მთელი დატვირთვით იყო დაკავებული საოპერო სტუდიაში, მუსკომედიის თეატრში. ზაქარია ფალიაშვილის "დაისი" სტუდიის სავიზიტო ბარათი იყო, სამ წელზე მეტხანს ის უცვლელი "ცანგალა" იყო. მას არ უყვარდა დაშტამპული როლები, გმირს მისეულ შტრიხებს მატებდა. თავისებური ოსტატობით ძერწავდა თითოეული გმირის სახეს.

კონსერვატორია წარმატებით დაამთავრა, ბორის გოდუნოვის გარდა ყველა პარტიაზე იმუშავა. კონსერვატორიამ აზიარა დიდ ხელოვნებას და ასევე



მეუღლესთან ერთად

დაუკავშირა თავისი მომავალი ულამაზეს და ნიჭიერ სტუდენტს, თამარ გველესიანს. პატიოსნებით და სილამაზით გამორჩეული ასული მრავალ თაყვანისმცემელს შორის გამოარჩია და შექმნა ერთი ლამაზი, სამაგალითო, ქართული ოჯახი.

1973 წელს თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კულტურის სამინისტრომ ჯგუფიდან მხოლოდ ამირანი გაანაწილა მუსკომედიის თეატრში. თეატრში მისვლისთანავე რამოდენიმე ეპიზოდური როლი შესთავაზეს. პირველი როლი იყო კინტო, "ბაბაჯანას ქოშები". "ვისაც ამირანისეული კინტო უნახავს, მას არასდროს დაავიწყდება მისი განუმეორებელი პლასტიკა, მის მიხვრა - მოხვრას ძველი თბილისის სურნელება მოჰქონდა". მომღერალ - მოცეკვავე მსახიობმა პირველი როლიდან დაიპყრო მნახველის გული. კონცერტები სტადიონზე იმართებოდა, სადაც საზოგადოების დიდი ნაწილი ესწრებოდა და ეს იყო ნამდვილი ზეიმი მაყურებლისათვის. მშვენიერად ახერხებდა სპექტაკლში გმირის გაცოცხლებას, თავისი არტისტული შესრულებით ის მატებდა მარადიულობას. "ცეკვის მასწავლებელი" წლების მანძილზე ამშვენებდა მუსიკალური კომედიის სცენას და

სპექტაკლიც ანშლაგით მიდიოდა. მაყურებელს კარგად ახსოვს გილდონის "სასტუმროს დიასახლისი", ამირანის მიერ შესრულებული როლი - კავალერი. უნაკლო გარეგნობის და ნიჭიერების წყალობით ამირანი ყველაზე კარგად მეფეების როლს ირგებდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ორი მეფის როლი განასახიერა. მუსიკალური კომედიის თეატრში დაიდგა წარმოდგენა; "კახაბერის ხმალი", რომლის მუსიკა კომპოზიტორ შოთა მილორავას, ამირანზე ჰქონდა გათვლილი, მაგრამ ამ როლზე გიგა ლორთქიფანიძემ სხვა მსახიობი შეარჩია, რის გამოც მცირე ინციდენტი მოხდა და საბოლოოდ ეს გახდა ამირანის ახალი გზის დასაწყისის მიზეზი. ის, მუსიკალური კომედიის თეატრიდან იუმორით წავიდა, დაემშვიდობა ყველას, ოპერას, მუსიკის თეატრს, საოპერო სტუდიას, ტელევიზიას, ხელოვნების მუშაკთა სახლს... {მეფუნთუშის რთული როლი/ დამაკისრა ბატონ გიგამ, / ამის შემდეგ მე სულ ვფიქრობ/ მეფუნთუშეს მე რა მიგავს?!/ მერე უცებ მამა გავხდი,/ უღარიბეს ხაიმესი,/ არტისტობა მავიწყდება/ მომეძალა მუზა ლექსის...}

1979 წელს, როცა მისი კონსარვატორიის მეგობრები პატრიარქის თხოვნით სიონში გალობდნენ, ამირანი ოპერის, მეგობრებთან ერთად სამხედრო ანსამბლში მიიწვიეს., ანსამბლში იყო მისი მეჯვარე სახალხო არტისტი თემურ გუგუშვილი. ანსამბლში ყოფნის ყოველი დღე, დაუვიწყარ ტურნეში მონაწილეობა, მოსკოვი, დელი, სინგაპური, სიდნეი, იქ გატარებული ყო-

ველი დღე სამარადისოდ დარჩა მის მეხსიერებაში. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ამ ცოდვა-მადლიან წუთისოფელში, დადგა დრო, როცა ის უფლისკენ მიმავალ ტაძრის გზას დაადგა.

1982 წლის თებერვალს სიონის ტაძარში აღინიშნა დავით აღმაშენებლის პარაკლისი. უწმინდესს უბრძანებია საღამოს "გალობანი სინანულისანი" უნდა წაკითხულიყო, რისთვისაც შეარჩიეს ჯონი ჯანჯალაშვილი და ამირან ამირანაშვილი. საღამოს პატრიარქი მობრძანდა, უწმინდესი ტაძრის მაღალ ტახტრევანთან დაბრძანდა, ჯონი და ამირანი ამბიონზე აიყვანეს, გუნდმა დაიწყო საგალობელი "შენ ხარ ვენახი", უწმინდესმა და მრევლმა დაიჩოქა და ამირანმა წარმოთქვა პირველი სიტყვები; "რომლისაცა წინაშე ქედდადრეკილ არს ყოველი". ტაძარი ღვთაებრივი ტონალობით აივსო. პატრიარქი საკურთხეველში შევიდა და ამირანი იხმო. მის წინაშე მუხლებზე დაცემული ამირანი შვილივით ჩაიკრა გულში და უთხრა: მე ვეძებ პროტოდიაკონს, ვფიქრობ შენ უფრო მოგიხდება, მოიფიქრე... ამ ამბიდან ხუთი წლის შემდეგ ამირანი პატრიარქთან მივიდა და თანხმობა განუცხადა. წარმატებული მსახიობი უფლის გზას შეუდგა. ვარძიაში საუკუნეების შემდეგ აღსდგა ტაძარი, უწმინდესი სიხარულის ცრემლებს ვერ მალავს. ცრემლი მოადგა მამა ამირანს, მისი ხელდასმა თამარ მეფის ნალოცავ ტაძარში მოხდა.

1988 წელს ქართული ეკლესიისათვის უდიდესი მოვლენა იყო თბილისში სასულიერო აკადემიის გახსნა, რომლის პირველ 15 სტუდენტს შორის ამირან ამირანაშვილიც იყო.

აკადემიის პირველი გამოშვება ნიჭიერი, მორწმუნე, პატრიოტი ვაჟკაცებით იყო დაკომპლექტებული. დაუვიწყარი იყო მამა ამირანისათვის ბულგარეთში, ქართულ სავანეში, პეტრიწონის მონასტერში სტუმრობა. ჩვენი წინაპრების მიერ აგებულ ამ დიდებულ მონასტერში მამა ამირანმა საჩუქრად ქართული ბიბლია მიიტანა. დაუვიწყარია პატრიარქთან ერთად მოგზაურობა ქალაქ მიუნხენში, სადაც ქართველთა ყველაზე დიდი სათვისტომო იყო. ბერძნულ ეკლესიაში მთელი ევროპიდან მოიწვიეს ქართველები და გამართეს წირვა. როდესაც ამირან ამირანაშვილმა წარმოთქვა "უფლისა მიმართ ვილოცოთ" ტაძარში ხალხის გმინვა და ზლუქუნი გაისმა. ეს იყო სამშობლის მონატრებულ ქართველთა ქვითინი, ბევრი ცრემლი. გაჟღერდა კეთილი სურვილები... ეს იყო ქართული სულის ზეიმი გერმანიის მიწაზე.



მამა ამირანი ოჯახთან

ის რაც სხვათათვის შეიძლება სიხარულის და წარმატების თავწყარო ყოფილიყო, ამირან ამირანაშვილისთვის სევდისა და მონატრების მიზეზად იქცა. დღედაღამ თვალწინ ედგა სახლი, ოჯახი, ცოლ-შვილი, ქართული ტაძრები, პატრიარქი... მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, ერთ დღეს მეუფეს სთხოვა: წავალ ბერძნულს ვისწავლი

**საქართველოში** და ისევ დავბრუნდებით. მას შემდეგ იქაურობა აღარც გახსენებია. როგორც თვითონ იგონებს, "საფრანგეთში ერთადერთხელ ვიყავი ბედნიერი, როდესაც თვითმფრინავის ბილეთი ჩამაბარეს... 1995 წელს მეორედ დავიბადე, როგორც ქართველი და როგორც საქართველოს მოქალაქე".



საქართველოს პატრიარქთან

ღმერთმა, დედა ღვთისმშობლის მეოხებით მშობლიურ მიწაზე დააბრუნა სამშობლოზე უსაზღვროოდ შეყვარებული ადამიანი.

1999 წელს მამა ამირანი დაუბრუნდა საკუთარ კერას. ისევ სიონი, ისევ პედაგოგიური მოღვაწეობა, დიდი საძმო და მოყვარული მრევლი.

2006-2007 წლებში მამა ამირანს ამერიკაში მოგზაურობა მოუწია, სიონის ვაჟთა გუნდთან ერთად. ამ მოგზაურობის დროს ბევრი საინტერესო ხალხი გაიცნო. განსაკუთრებით უკრაინის დიასპორა და მათი მოძღვრები.

2012 წლის 20 ნოემბერს, სიონში წირვის დროს მამა ამირანმა გადაწყვიტა ტაძარი დაეტოვებინა...

დღეს არაერთი მორწმუნისთვის "ამაღლების" ტაძრისკენ მიმავალი გზა, ხსნისა და ბედნიერებისაა, რად-

გან იქ სულიერი მოძღვარი მამა ამირან ამირანაშვილი ეგულება.

**მამა ამირან ამირანაშვილს ვიცნობ ორი ათეული წელია - ჩემი ახლო მეგობრის, შესანიშნავი ადამიანის, დიდი ქართველი კაცის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია "ქალდეა-საქართველოს“ აკადემიკოსის აწ. გარდაცვლილი ბატონი ანზორ ჯაფარიძის მეშვებით. მამა ამირანი გახლავთ - ფასდაუდებელი უნიჭიერესი და კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნება. უამრავი სიკეთე უკეთებია ამ სახელოვან კაცს თავისი ცხოვრების მანძილზე, რასაც სანიმუშოდ აგრძელებს დღესაც. იგი ჩემი აზრით არის სახელის და დიდების მატარებელი ადამიანი ჩვენი ქვეყნის საერო თუ სასულიერო სამყაროში. ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს - ყველასათვის საპატივცემულო და საყვარელი ეს დიდი ადამიანი. დიდხანს არსებობას და ბედნიერებას ვუსურვებ მას და მის სახელოვან ოჯახს.**

**(ავტორი)**

მამა ამირანს სამწერლო მოღვაწეობიდან (სხვადასხვა დროს გამოცემული აქვს მეტად საინტერესო წიგნები -"ჩემი წუთისოფელი"; "ჭარისკაცის დღიური" და ა.შ) მკითხველს მინდა ნიმუშად წარვუდგინო რამოდენიმე ლექსი, რითაც მას კიდევ უფრო ღრმად გაიცნობს და შეიყვარებს ჩვენი გონიერი საზოგადოება

**უფალო შეგვიწყალენ!**

ჩემო სამშობლოვ, კავკასია გიდგას გვირგვინად,
შენს მწვერვალებზე აღმართულია ჯვარ-მონასტრები
გაბრწყინდებაო ივერია, ბრძანებს უფალი,
ზეციდან გვესმის წინაპართა უკვდავი ხმები.
დავითისა და თამარის ხმა ჩაგვესმის ყველას,
მათი ნაგები ციხეები გვიცავენ დღესაც,
ვერ იმორჩილებს დარიალი მოღრიალე თერგს,
შერკინების ხმა ანგრევს კლდეებს, აყრუებს ზეცას.

ღამის წყვდიადში, კელიებში ანთებენ სანთლებს,
თერგსაც ჩასთვლიმა, აქაფებულს, დაღლილ-
დაქანცულს,
ზეცით დაადგა მოკაშკაშე ვარსკვლავი ოდას,
თოფმა დასჭექა, ყრმა იშვაო, ამცნო სამყაროს.

დიდ ხეობაში აღიზარდა ქვეყნის დამცველი,
კათალიკოსად მოგვევლინა ერის სანთელი,
ერთად, ღვთისაკენ! - მოგვიწოდებს უნეტარესი,
ქვეყნის დამცველად, მასთან დავდგეთ ერი და
ბერი!

უფალო, ღმერთო! დაგვიფარე ცოდვებისაგან,
გააძლიერე, აღადგინე სული ქართული,
განდევნე ჩვენგან ბოროტი და ავი სულები,
გაამთლიანე საქართველო, შენგან დაცული!

3.08.11წ.

**ვარძია**

ჭაბუკი მშვილდით შველს აჰყვა მთაში,
მაღალ მწვერვალზე აიჭრა შველი,
ჭაბუკი შეკრთა, აღმოჩნდა ქვაბში,
შიშისგან თვალზე მოადგა ცრემლი.
შველი გაფრინდა, ბიჭს ეძებს ძია,
გულშეყრილი ექოთა ხმაში...
„აქა ვარ, ძია, აქა ვარ, ძია-„
უმანკო ცრემლით მოსთქვამდა ვაჟი.
ასე შეერქვა ამ ქვაბს ვარძია,
საოცრებაა კლდეში ქალაქი,
გადმოასვენა ფრესკა თამარის
ათასწლეულთა წმინდა სანახი.
სტიქიისაგან ჩამონგრეული,
შემოსევის დროს წვავდნენ, წალავდნენ...
თვალმარგალიტი გაქრა მტრისაგან,
უწმინდეს ფრესკებს მურით ფარავდნენ.
შემოგვღაღადებს ჩამოკაწრული,
ქალწულის სახე, მეფე თამარის,
თვალს ვერ ვუსწორებ მათ გულმოკლული.

ეჰ, სამართალი ქვეყნად სად არის?!
ბერებს კრავივით აჭრიდნენ თავებს,
აქვე მარხავდნენ უწმინდეს მამებს...
კლდე ტირის, ცრემლი სდის მოკამკამე,
შესვავ და მყისვე გულს დაგიამებს.
ჩვენს წინ ღაღადებს ძველი ქართული,
ორნამენტები, ფრესკები წმინდა,
მეფე ერეკლეს მებრძოლი ვიყო,
მეც აქ დავეცე გმირულად, მინდა.
საოცრებაა ქალაქი კლდეში,
რა ხელმა შექმნა, ან რა გონებამ...
განცვიფრებულებს გვასველებს თქეში,
ეს დღეც ჩაბეჭდა ჩვენმა გონებამ.
დალოცვილ იყოს მარჯვენა მისი,
ვინც აგაშენა, ვისაც იცავდი,
ვისაც აოცებ დღისით და მზისით,
ვისაც ჩასწვდები გულის ფიცრამდის.

## გამოცხადება

გუშინ სიზმარში ვნახე ბელადი,
არა მიშა და არა ედვარდი...
ვნახე სტალინი, ახლდა ბერია,
მთელი თბილისი გადამერია.
გამოაცხადა ჩემი სახელი,
რაღაც ბინები დაასახელა,
ძლივს მივარღვევდი მსმენელთა მასას...
თანამდებობა? თანაც ამხელა!
თან მეშინოდა, თან მიხაროდა,
თანაც მიკვირდა, ეს რა ხდებოდა!
ჩემი ძმებისთვის მსურდა გამენდო,
ერის საქმე თუ მომიხდებოდა.
თავი სიზმარში მგონია ისევ,
ვერ გამიგია რა მემართება...
რას ნიშნავს, როგორ მინდა ვიცოდე,
სიზმრად ბელადის გამოცხადება?!

## გურამ გურამიშვილი



დაიბადა 1973 წელს ქ. თბილისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სწავლა დაიწყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სატრანსპორტო ფაკულტეტზე (ბაკალავრიატი), რომელიც დაამთავრა 1995 წელს, ხოლო 2014 წელს დაასრულა ამავე უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტის დოქტორანტურა და მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

გავლილი აქვს ტრეინინგები:

1996 წელი - "სატვირთო გადაზიდვების ელექტრონული აღრიცხვა "USAID" AED თბილისი; 2004 წელი - კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი ტრანსპორტის სფეროს ხელმძღვანელი პირებისათვის- TRASECA, ალმატი; 2005 წელი - კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი ტრანსპორტის სფეროს ხელმძღვანელი პირებისათვის- TRACECA, ბუდაპეშტი; 2005 წელი - სასწავლო ტური აშშ-სა და შვედეთში - USAID and Booz Allen Hamilton; 2009 წელი - -კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი ტრანსპორტის სფეროს ხელმძღვანელი პირებისათვის-TRACECA გერმანია, ნიდერლანდები.

შრომითი საქმიანობა, სტუდენტობის შემდგომ დაწ-

ყებული აქვს სს“საქართველოს რკინიგზაში“.

1995-2003 წლებში ეკავა სხვადასხვა წამყვანი პოზიციები: 2004 წელს იყო შპს"საქართველოს რკინიგზა"-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; 2005 წელს გახლდათ სს"საქართველოს რკინიგზა"-ს გენერალური დირექტორის მრჩეველი; 2005-2008 წლებში მუშაობდა რკინიგზის ინფრასტრუქტურის დირექტორის მოადგილედ; 2008 -2009 წლებში - სატვირთო გადაზიდვების დირექტორის მოადგილე; 2010-2012 წლებში სს"საქართველოს რკინიგზა"-ს ინფრასტრუქტურის ფილიალში იკავებდა სხვადასხვა წამყვან პოზიციებს; 2012-2015 წლებში მუშაობდა ინფრასტრუქტურის დირექტორის თანამდებობაზე; 2015-2017 წლებში იმუშავა რკინიგზის გენერალური დირექტორის მოადგილედ, ხოლო 2017-2021 წლის მარტამდე სატვირთო გადაზიდვების დირექტორად.

2021 წლის 5 მარტიდან დაინიშნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილედ, სადაც მუშაობს დღემდე.

ჰყავს მეუღლე - ნატო ღუდუშაური და ერთი ქალიშვილი.

**ბატონ გურამ გურამიშვილს ვიცნობ, ჩემი რკინიგზის სასტემაში მუშაობის (2004წ.) მთელი პერიოდიდან, რომელთანაც საკმაოდ თბილი დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა, ერთ სამსახურში საქმიანობის (2010-2012წ.წ.) დროს, მაშინ როდესაც ურთიერთშეთანხმების**

გზით გვიწევდა რიგი სამსახურებრივი საკითხების შეთანხმება და გადაწყვეტა. აქ, იგრძნობოდა - ამ ახალგაზრდა კაცზე მინდობილი საქმის და მისი შესრულებისადმი მოთხოვნის დიდი უნარი, გააჩნდა პრინციპული და კოლეგიალური დამოკიდებულება თანამშრომლებთან. მისთვის გადაუდებელ მოქმედებად ითვლებოდა, მუშაკებთან გვერდში დგომა და დახმარება - საჭირბოროტო საკითხების დროულად მოგვარების პროცესში.

მოულოდნელად მოხდა ბატონ გურამის რკინიგზის სისტემიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მინისტრის მოადგილის პოსტზე გადაყვანა. უნდა ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილებას რკინიგზის სისტემის მუშაკები ორი განსხვავებული ამაღელვებელი მიდგომით შეხვდნენ: ერთი, რომ უდიდესი სიხარული განიცადეს ამ გონიერი და საქმიანი ადამიანის მოწინავე პოზიციებზე გადაყვანა, ხელს შეუწყობდა რკინიგზის სისტემის განვითარებას მომავალში და მეორეც, რომ გულდაწყვეტით აღიქვამდნენ ფაქტს, რომ რკინიგზის სისტემაში გაზრდილი საამაყო სპეციალისტი და გამოცდილი ხელმძღვანელი მუშაკი ტოვებდა რკინიგზელთა დიდ და სახელოვან ოჯახს.

აღნიშნულის მიუხედავად, საამაყო და სასიხარულო გახდა რკინიგზის სისტემის მუშაკებისათვის - საქართველის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარები სამინისტროს 2021 წლის 9 მარტს ქვეყნის მასშტაბით

გავრცელებული ინფორმაცია, რომელსაც მკითხ-ველისათვის უკლებლივ წარმოვუდგენ:

„გურამ გურამიშვილი, რომელიც მანამდე სს„საქართველოს რკინიგზაში“ სატვირთო გადაზიდვების დირექტორის თანამდებობას იკავებდა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. გურამ გურამიშვილს საქართველოს სატრანსპორტო სფეროში საქმიანობის დიდი ხნის გამოცდილება აქვს. ის 1995 - 2021 წლებში საქმიანობდა სს „საქართველოს რკინიგზაში“ სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მინისტრის მოადგილეს დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტი. მას მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი“.

უამრავი კეთილი ამბის გახსენება შეიძლება ყველასათვის საამაყო, საყვარელი და საპატივცემულო ადამიანის შესახებ, მაგრამ ამ ეტაპისათვის დროებით თავს შევიკავებ. უამრავი საქმე აქვს მას გასაკეთებელი ქვეყნის წინაშე, რისი მიღწევისათვის ღმერთი იყოს მისი მფარველი მუდამ.

(ავტორი)

## აკაკი საღირაშვილი



დაიბადა 1980 წლის 10 ივნისს ქ. თბილისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1997-2002 წლებში სწავლობდა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.

აკაკი საღირაშვილი გერმანიის ფრიდრიხ-ვილჰელმის სახელობის ბონის უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის მაგისტრია (LL.M. (Magister iuris comperativi / 2004-2006 წლები).

იგი, 2007-2015 წლებში მუშაობდა სს"საქართველოს რკინიგზაში" სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოზიციებზე: იკავებდა კორპორაციული მართვის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობას, მუშაობდა ტენდერებისა და საინფორმაციოს უსაფრთხოების მიმართულებებზე. განსაკუთრებით საგულისხმოა მისი გამოცდილება რკინიგზის სექტორში პროფესიული განათლების განვითარებისა და შრომითი ბაზრის გაუმჯობესების კუთხით. ნამუშევარი აქვს სხვადასხვა მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

აკაკი საღირაშვილი 2009-2011 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. ის კავკასიის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს საქართველოს სამოქალაქო სამართალში.

აკაკი საღირაშვილი იუსტიციის მინისტრის მოადგილეედ დაინიშნა 2021 წლის იანვრიდან. ხელმძღვანელობდა სასამართლო წარმომადგენლობისა და ხელშეკრულებათა რევიზიის, აღსრულების ერკვნული ბიუროს, ეკონომიკური და ციფრული მმართველობის მიმართულებას.

იუსტიციის სამინისტროში გადასვლამდე, აკაკი საღირაშვილი 2018-2021 წლებში იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოდგილე, რა დროსაც ის კურირებდა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მიმართულებას. მისი უშუალო ჩართულობით განხორციელდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული დირექტივებისა და რეგულაციების დანერგვა- საზღვაო, საავიაციო, სახმელეთო და სარკინიგზო მიმართულებით. მას აქტიური მონაწილება აქვს მიღებული სატრანსპორტო კორიდორის განვითარების მიზნით არსებულ ყველა რეგიონალურ ინიციატივაში. მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის "Log in Georgia"-ს განხორციელებაში.

2022 წლის 9 მარტის მორიგი ინფორმაციით, აკაკი საღირაშვილის მოღვაწეობაში კიდევ უფრო წინ გადადგმულ ნაბიჯებს ვხედავთ, იგი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელ გუნდს შეუერთდა, რომელიც

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილის პოზიციის დაკავების ფაქტს გვაუწყებს.

აკაკი საღირაშვილს შექმნილი აქვს ბრწყინვალე ოჯახი, მეუღლე - მარიანა გამჯაშვილი, დამთავრებული აქვს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მუშაობდა სს"საქართველოს რკინიგზა“-ს შესყიდვების სააგენტოში. ჰყავთ ორი შვილი (ქალ-ვაჟი).

**საყურდღებოა, როგორ აფასებს ახალგაზრდა გონიერ და კეთილშობილ ადამიანს-აკაკი საღირაშვილს, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის მაღალი რანგის ხელმძღვანელობა:**

**„მოხარულნი ვართ, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი გუნდი განაგრძობს პროფესიულ ზრდას და განვითარებას. აკაკის სახით, ჩვენს გუნდს შემოუერთდა უმაღლესი რანგის პროფესიონალი, რომელიც საქართველოს ბიზნეს ასოციაციაში მოიტანს და გაგვიზიარებს საუკეთესო გამოცდილებებს, რომელიც მას დაგროვილი აქვს წლების განმავლობაში მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო პოზიციებზე მუშაობის დროს. დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი თანამშრომლობა და ერთობლივად გაწეული ძალისხმევა სასარგებლო და ღირებული იქნება სრულიად ბიზნეს სექტორისთვის“ - განაცხადა საქარ-**

თველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ.

მეამაყება, რომ მე, გარკვეული პერიოდის მანძილზე, ამ უაღრესად სახელოვან და ღირსეულ ადამიანებთან (ბატონი აკაკი საღირაშვილი და მისი მეუღლე ქალბატონი მარიანა გამჭაშვილი) ერთად მომიწია საქ-მიანობა სს"საქართველოს რკინიგზაში" (შესყიდვების სააგენტო).

ვისურვებ, რომ ყველა ნორმალურ ოჯახში და ქვეყანაში დაიბადოს და გაიზარდოს მსგავსი შესაძლებლობის კეთილშობილი ადამიანები, რაც იმას ნიშნავს, რომ ბედნიერება და წარმატებები დაისადგურებს სამყაროში.

ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ეს დიდებული ხალხი.

(ავტორი)

## გურამ გუნავა



დაიბადა 1939 წლის 17 დეკემბერს, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში. სოფელი რუხი ძველთაძველი სოფელია სამეგრელოში, თავისი ისტორიული წარსულითა და დღევანდელობით. სოფელი რუხი პირდაპირ ესაზღვრება აფხაზეთს, გალის რაიონს. მას შუაზე ჩამოსდის მაღალმთიანი მესტიის რაიონიდან მჩქეფარე ენგური (თუმცა ბოლო წლებში მისი მჩქეფარება ძლიერ შენელდა მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ენგურჰესის კასკადის მშენებლობის გამო). მან, სწორედ ამ მდინარის ნაპირებსა და შესანიშნავი ბუნების წიაღში გაატარა ბავშვობისა და ყრმობის წლები. მისი მშობლები იყვნენ რიგითი მშრომელები, სოფელ რუხის კოლმეურნეობის აქტიური წევრები. მამა - იოსებ ვასილის ძე გუნავა, დედა - მანუჟა ძაკას ასული ანთია, მართლაც გულანთებული ქალი იყო. მათ სამშობლოს გაუზარდეს ოთხი შვილი. მათგან უფროსი შვილი შალვა იოსების ძე გუნავა 18 წლის ასაკში გაიწვიეს დიდ სამამულო ომში და ვალმოხდილი დაბრუნდა (გარდაიცვალა 1990 წელს). იოსებ გუნავა გახლდათ ქართუ-

**ლი** ხალხური (ფოლკლორული) სიმღერების დიდი ხელოვანი. ქ. ზუგდიდში დაარსებულ სიმღერისა და ცეკვის სახემწიფო ანსამბლის უცვლელი წევრი, იგი იყო 1936წ. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის აქტიური მონაწილე ქ. მოსკოვში. 1946 წელს გურამ გუნავა შეიყვანეს სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1957 წელს. შემდგომ სწავლა გააგრძელა ქ. თბილისში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტზე და მიიღო სპეციალობა - სოფლის მეურნეობის აგრონომ-ეკონომისტი. მუშაობა დაიწყო საკავშირო მასშტაბით ცნობილ ს. რუხის საყრდენ-საჩვენებელ კოლმეურნეობაში მგეგმავ-ნორმადარად. აქტიურად მონაწილეობდა ქალაქისა და რაიონის ახალგაზრდობის საქმიანობაში. არჩეული იყო ახალგაზრდობის ხელმძღვანელად, ამასთან ჯერ კიდევ საშუალო სკოლის პერიოდში არჩეული იყო სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად. საგულისხმოა, რომ მაშინდელი სკოლა მასიურად იყო ჩაბმული შრომით საქმიანობაში, საინტერესო მუშაობა მიმდინარეობდა ჩაის პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში, სამშენებლო ობიექტებზე. მეხუთე კლასიდან ჩაბმული იყო ჩაის ხარიხოვან მწვანე ფოთლის მკრეფავთა ბრიგადაში, ხოლო მეშვიდე კლასიდან იყო კოლმეურნეობაში შექმნილი მოსწავლე-ახალგაზრდობის დამხმარე ბრიგადის ბრიგადირი (საშუალო სკოლის დამთავრებამდე). შრომით საქმიანობაში გაწეული აქტიური მუშაობისთვის არაერთხელ

იყო რესპუბლიკური ღონისძიებების მონაწილე და სხვადასხვა ჯილდოების მფლობელი. 1962 წლის მაისში აირჩიეს კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივნად, ხოლო 1963 წლის დეკემბერში - რაიკომის პირველ მდივნად, სადაც იმუშავა 1966 წლის აგვისტომდე. აღნიშნული თარიღიდან არჩეული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უნიკალური ჰიდრომშენებლობის, ენგურის ჰიდროელექტროსად-გურის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ, ხოლო შემდგომ - მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივნად, სადაც იმუშავა 8 წლის განმავლობაში. 1974 წლის დეკემბერში აირჩიეს პარტიის ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივნად. 1977 წლის 12 ივნისს მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის დავალებით სამუშაოდ გააგზავნეს რესპუბლიკის ლენტეხის მაღალმთიან რაიონში, პარტიის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც იმუშავა 1984 წლის 12 დეკემბრამდე. 1984 წლის 12 დეკემბერს აირჩიეს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ კარგად ცნობილი ექსპერიმენტალური აბაშის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1990 წლის მარტში მოსახლეობის შრომოთი კოლექტივებისა და პოლიტიკური პარტიების უშუალო მოთხოვნით არჩეული იყო ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯომარედ. 1992 წლის 14 ივნისს დაინიშნა საქართველოს კონტროლის პალატაში ჯერ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის

განყოფილების გამგედ, ხოლო 1993 წლის იანვარში - ტრანსპორტის (საზღვაო, საავიაციო, რკინიგზის, საავტომობილო გზების) კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსად. 1994 წლის ნოემბერში დაინიშნა საქართველოს კონტროლის პალატის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის კონტროლის პალატის თავმჯდომარედ, ხოლო შემდგომ - ამავე მხარის ბიუროს უფროსად. 2001 წლის იანვარში დაინიშნა საქართველოს კონტროლის პალატის აპარატის უფროსის მოადგილედ, ხოლო 2004 წლის ივლისში - კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბიუროს უფროსის პირველ მოადგილედ. ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში, სხვადასხვა დროს მიღებული აქვს მთავრობის მაღალი ჯილდოები, ორდენები და მედლები. ორჯერ იყო საქართველოს მე-10 და მე-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხუთ-ხუთი წლის ვადით. ოფიციალური სამსახურეობრივი მივლინებით იმყოფებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საბჭოთა კავშირის პირველი ახალგაზრდული დელეგაციის წევრი ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1964 წელს - ქვეყნის ოფიციალური სამსახურეობრივი დავალების შესრულების მიზნით, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, თურქეთში, ლუქსემბურგში, მონღოლეთში და ა.შ. წლების განმავლობაში გატარებული დაძაბული და პასუხისმგებლობით აღსავსე ცხოვრებამ და საქმიანობამ მისცა საშუალება ახლოს ყოფილიყო რიგით ადამიანებთან, მათთან ერთად გაეზიარებინა მათი ჭირ-ვარამი, ყოველთვის მზად იყო კონკრეტულად და ერთგულად გადა-



ეწყვიტა საკითხები, რომელიც ადამიანებს აღელვებდათ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამის გამო სადაც უმოღვაწია ბატონ გურამს ცალკეულ სოფლებში, ყოველთვის დიდი სიხარულით და აღფრთოვანებით ხვდებიან, იგონებენ არაერთ სასიამოვნო ფაქტს, რაც ენერგიასა და რწმენას მატებს მას მომავალ საქმიანობაში. ჰყავს შვილები: გურანდა - ექიმი, ენდოკრინოლოგი. ოჯახთან ერთად ცხოვრობს კანადაში, მუშაობს ერთ-ერთ პრესტიჟულ თანამდებობაზე; თორნიკე - დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, ფინანსების და კრედიტების სპეციალობით, სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციაში, იუსტიციის და თავდაცვის სამინისტროებში, ასევე რესპუბლიკის საქ სტანდარტის დეპარტამენტში. გახლავთ აბაშისა და მაღალმთიანი ლენტეხის რაიონის საპატიო მოქალაქე. საგულისხმო ფაქტია ის, რომ ლენტეხის რაიონში მუშაობიდან ხანგრძლივი პერიოდის (37 წლის) გასვლის შემდეგ 2022 წლის 18 სექტემბერს აირჩიეს ლენტეხის რაიონის საპატიო მოქალაქედ, რაც შედარებით უცხო მხარეში იშვიათი შემთხვევაა.

საქვეყნოდ ცნობილ ადამიანს - ბატონ გურამ გუნავას, საზოგადოების წინაშე ჩემი მოკრძალებული წარდგენით, დიდს ვერაფერს შევმატებ, რადგანაც იგი ისედაც მაღალი დონითაა ცნობილი თავისი დადებითი თვისებებით, რაც ჭეშმარიტად ასე გამოიხატება:

საოცარი უნარ-ჩვევები, კაცთმოყვარეობა, საქმეში, ჭირსა და ლხინში უდიდესი თანადგომა, ოჯახის, ხალხისა და ქვეყნის სიყვარული, დამრიგებლური მიდგომა, დაუოკებელი მებრძოლი ხასიათი, საუცხოო ხელმძღვანელის შესძლებლობა, საქმისადმი ერთულება, პატრიოტული სულიკვეთება, ღირსება, პრინციპულობა, შეუპოვრობა, საქმისადმი მომთხოვნელობა და ასე შემდეგ... თუკი რაიმე დადებითი კუთხით შეიძლება ითქვას ადამიანის მიმართ, ყველაფერი ასეთი მის ფენომენშია ჩადებული.

ბატონ გურამ გუნავასთან ახლო მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს - ჩემი საქართველოს კონტროლის პალატაში მუშაობის პერიოდიდან (1993 -1995 წწ), მაშინ როდესაც იგი გახლდათ ჩემი სამსახურის უშუალო ხელმძღვანელი და რაც მთავარია ჩვენს შორის თბილი ურთიერთობა არ შეცვლილა არასდროს. მისგან უამრავი დადებითი თვისებები შევიძინე, როგორც გამოცდილი ადამიანისგან. მასთან ერთად, ერთობლივი საქმიანობის დროს უამრავი სასარგებლო საქმე გვაქვს გაკეთებული ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, რაც ცნობილია ბევრისთვის.

არასდროს არ მავიწყდება მისი დამიანური თანადგომა, როდესაც მშობელი დედა გარდამეცვალა (2010წ.) - ჯერ თბილისში და შემდგომ მშობლიურ მხარეში დაკრძალვასთან დაკავშირებით, რაც ბუნერივია ყველა მოკვდავს არ ძალუძს. ჩამოყალიბებული დადებითი ურთიერთობების ვამო, საკმაოდ კარგად ვიცნობთ ერთმანეთის ოჯახებს - როგორც დედაქალაქში, ასევე მშობლიურ კუთხეებში.

ვამაყობ, რომ ასეთ კომუნიკაბელურ პიროვნებასთან მაკავშირებს ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობა. უამრავი სიკეთის გახსენება შეიძლება ამ ღირსეულ ადამიანზე. მინდა ვთქვა, რომ მისი მსგავსი კეთილშობილი ადამიანები ღმერთმა ბევრი მისცეს ჩვენს ქვეყანას და ქართულ ოჯახებს, რაც უდიდეს მიღწევად ჩაითვლება ყოველთვის.

უფალმა დალოცოს და გააძლიეროს ბატონი გურამ გუნავა და მისი სახელოვანი ოჯახი.

(ავტორი)

**ორესტ (ზაურ) ბედია**



ცნობილი მფრინავი, ზვიად გამსახურდიას იდეების გამგრძელებელი და 1988 წლიდან საქართველოს ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი ორესტ (ზაურ) იოსების ძე ბედია დაიბადა 1941 წლის 7 ნოემბერს, სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში.

იგი ორი წლის ასაკში დაობლდა. მამა დაიღუპა მეორე მსოფლიოო ომში. აქედან დაიწყო მისი მძიმე ბავშვობა, რომლის აღზრდაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბებია - მარიამ ჩაჩავა და ბიძა - ბოჩია ბოხუა.

1960 წელს, სკოლის დასრულების შემდეგ, გაიწვიეს საბჭოთა ჯარში და მსახურობდა საზღვაო ავიაციაში. 1960 წელს მუშაობა დაიწყო სენაკის უსინათლოთა საზოგადოებაში და ემზადებოდა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად.

მისი სამომავლო პროფესიის არჩევანი გადაწყვიტა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა განცხადებამ, რომ სარა-ტოვის ოლქის ქალაქ კრასნი-კუტის სამოქალაქო ავიაციის საფრენოსნო სასწავლებელში საქართველოდან იწვევდნენ 25 ახალგაზრდას. მალევე ორესტი ხდება საფრენოსნო სასწავლებლის (რომელიც ასევე დამთარვებული ჰქონდა ვასილ იოსების ძე სტალინს (ჯუღაშვილს)) კურსანტი, რომელიც წარჩინებით დაამთავ-

რა 1967 წელს. იმავე წელს განაწილებით მოხვდა ქ. სოხუმის გაერთიანებულ ავიარაზმში თვითმფრინავ ,,ან-2“-ის მეორე მფრინავად, ხოლო შემდგომში კი დაინიშნა ხომალდის მეთაურად.

1973 წელს გაგზავნეს ქ. კიროვოგრადის უმაღლეს საფრენოსნო სკოლაში ,,ან-24“-ის ხომალდის მფრინავის გადასამზადებლადად. 1976 წელს 52-მგზავრიან „ან-24“-ზე დანიშნეს ხომალდის მეთაურად. 1979 წელს გაგზავნეს ქ. ულიანოვსკის უმაღლეს საფრენოსნო სკოლაში ,,ტუ-134“-ის თვითმფრინავზე გადასამზადებლად. 1982 წელს დაინიშნა ხომალდის მეთაურად და იმუშავა 2003 წლამდე.

1992 წლის 10 იანვარს საგანგებო დავალებით ბედიას ეკიპაჟი („ტუ-134“ ნომრით 658930) ჩაფრინდა ქ. გროზნოში იჩქერიის პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევთან- საქართველოდან დევნილი პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას და მისი ოჯახის გადარჩენისთვის. სპეცოპერაცია, უდიდესი სირთულეების და ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად წარმატებით ჩატარდა.

1992 წელს აფხაზეთში დაწყებულ ომში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს სამოქალაქო ავიაცია. ორესტ ბედიას და მის მეუღლეს, ციური ყალიჩავას გულრიფშის საავადმყოფოს ექიმს, ერთი დღეც არ დაუტოვებიათ ბრძოლის წინა ხაზი და სამშობლოს წინაშე პირნათლად აქვთ მოხდილი ვალი. 1993 წლის 27 სექტემბერს იძულებით მოუწიათ სვანეთის გზის გავლა მცირეწლოვან

ქალიშვილთან ერთად.

1994 წელს აფხაზეთიდან დევნილი ორესტ ბედია საფრენოსნო მოღვაწეობის პარალელურად მუშაობას იწყებს თბილისში მაშინდელ აფხაზეთის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში წამყვან სპეციალისტად.

1994-98 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.



იგი დღესაც აქტიურად არის ჩაბმული ქართულ-აფხაზურ სახალხო დიპლომატიაში და შერიგების ძიებაში. 1998 წლიდან ჩამოაყალიბა ზემოხსენებული ორგანიზაცია და გაეროს დელეგაციის ეგიდით რამოდენიმეჯერ იყო ჩასული აფხაზეთში.

2012 წლიდან აირჩიეს საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველოს" აკადემიკოსად და ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 2022 წლიდან - საქართველო კოლხეთი საერო-სამეცნიერო აკადემია „ფაზისის"-ს აკადემიკოსად.

2015 წელს გამოსცა წიგნი ,,ჩემი ცხოვრების ნაკვალევი". ამჟამად, მზად აქვს საინტერესო ნაშრომი, წიგნისთვის ,,ჯვარცმასთან ჩამქრალი კელაპტრები"-ს ხელნაწერი ვარიანტი, რომელსაც მალე იხილავს მკითხველი.

ჰყავს მეუღლე-ექიმი ქალბატონი ციური ყალიჩავა, ქალიშვილი- ელენე ბედია, სიძე იმედა მოთიაშვილი და შვილიშვილები- ანასტასია, დემეტრე და ცოტნე მოთიაშვილები.

**ბატონ ზაურის ვიცნობ წლების მანძილზე და განსაკუთრებული მეგობრობა გვაკავშირებს, აკადემია "ქალდეა-საქართველოში" ერთად საქმიანობის პერიოდიდან. იგი გახლავთ- სახელოვანი, უაღრესად დადებითი, საქმიანი და გულისხმიერი პიროვნება. გააჩნია დიდი სამეგობრო წრე და საზოგადოებაში სარგებლობს უდიდესი ავტორიტეტით და სიყვარულით - როგორც ვაჟკაცი კაცი. გააჩნია ტრადიციული და საამაყო ოჯახი, არის ჩვენი ქვეყნის პატრიოტი ადამიანი.**

**ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ბატონი ზაური თავის გამორჩეულ ოჯახთან ერთად.**

**(ავტორი)**

## ვალერი ვიბლიანი



დაიბადა 1944 წლის 30 მაისს. 1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის ეკონომიკის ფა-კულტეტი - სპეციალობით ფინანსები და კრედიტი, ხოლო 1982 წელს - მოს-კოვის საფინანსო ინსტი-ტუტთან არსებული სპეციალური ფაკულტეტი - სავალუტო ოპერაციების, საერთაშორისო საკრედიტო და საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროში მაღალკვალიფიკაციური ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებლად.

სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა: 1971–1980 წწ. - თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში სახშემოსავლების განყოფილების ეკონომისტად. უფროს ეკონომისტად. სახელმწიფო შემოსავლების განყოფილების უფროსად. 1980-1988 წწ. - საქართველოს ფინანსთა სამინისტროში სახელმწიფო შემოსავლების დაგეგმვის, აღრიცხვი-

სა და ანგარიშგების განყოფილების უფროსად, ადგილობრივი მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დაფინანსების სამმართველოს უფროსის მოადგილედ. ფასების დამოუკიდებელი განყოფილების უფროსად. 1988-1992 წწ. - სსრკ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საქართველოს რესპუბლიკური ბანკში საქმეთა მმართველობის უფროსად, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, საგეგმო - ეკონომიკური სამმართველოს უფროსად. 1992-1995 წწ. - საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ბანკის - ვიცე-პრეზიდენტად. პრეზიდენტის მოვალ.შემსრულებლად. 1995 -2006 წწ. - სს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ - საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობის დირექტორატის დირექტორის პირველი მოადგილედ; იურიდიული პირების სავალუტო ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორად. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსად. ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის უფროსად; შიდა მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსად. 2006 – 2008 წწ - სს „ვითიბი“ (ბანკი) - შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილედ, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მთავარ აუდიტორად. პენსიაზეა - 2009 წლიდან

ჰყავს მეუღლე - თინათინ ჭელიძე, პროფესიით ქიმიკოს-ტექნოლოგი; შვილები: - ნინო ვიბლიანი, დაბადებული 1984 წელს, უმაღლესი განათლებით -

- ეკონომისტი. სალომე ვიბლიანი - დაბადებული 1987 წელს, უმაღლესი განათლებით - ეკონომისტი. შვილიშვილები: სანდრო და ლენა.

**შესანიშნავ ქართველ ვაჟკაცს ვალერი ვიბლიანს, საერთო სამეგობრო წრის მეშვეობით ვიცნობ ოთხი ათეული წელია. ყველა მეგობარი და ახლობელი, მას იცნობს და ახასიათებს, როგორც პატივმოყვარე, ღირსეულ, უღალატო, განათლებულ, სიკეთის მკეთებელ ადამიანს და ჩემი პირადი შეხედულებაც უცვლელად იდენტურია, რაც დანარჩენი სხვებისა.**

**ვალერის შექმილი აქვს ტრადიციული და ღირსეული ოჯახი, გაზარდა სახელოვანი შვილები, რითაც იგი ყოველთვის ამაყობს. მისასალმებელია ამ ვაჟკაცი კაცის განვლილი უმწიკლო ცხოვრება. ღმერთმა დალოცოს და დიდხანს აცოცხლოს იგი.**

**(ავტორი)**

**ძმები (ვანო და ვლადიმერ) ჯაფარიძეები**



ვანო ჯაფარიძე

დაიბადა 1968 წლის 28 იანვარს, ქ. თბილისში. 1985 წელს დაამთავრა ქ.თბილისის 169-ე საშუალო სკოლა.

1993 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (სახელმწიფო შემოსავლების სპეციალობა); 1993-1998 წლებში სწავლობდა და დაამთავრა დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „აჭარა“-ს იურიდიული ფაკულტეტი (სამართალმცოდნეობის სპეციალობა).

1985-1987 წლებში მუშაობდა მცხეთის სატყეო მეურნეობის კადრების განყოფილებაში; 1993-1996 წლებში - საქართველოს კონტროლის პალატაში ინსპექტორის თანამდებობაზე, ხოლო 1996 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის სხვადასხვა დეპერტამენტებში.

ვანოს შექმნილი ყავს სანიმუშო ოჯახი, ჰყავს მეუღლე - ქეთევან ჩიტალაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ქალიშვილი - ცისანა ჯაფარიძე.



ვლადიმერ ჯაფარიძე

დაიბადა 1970 წლის 21 მაისს ქ.თბილისში. 1987 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 169-ე საშუალო სკოლა.

1990-1995 წლებში სწავლობდა და

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (ფინანსები და კრედიტის სპეციალობა). 1997-2000 წლებში სწავლობდა და დაამთავრა დამოუკიდებელი უნივერსიტეტი ,,აჭარა“-ს იურიდიული ფაკულტეტი.

1994 წლიდან 2011 წლამდე მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, 2011-2012 წლებიდან კი არის აუდიტორული კომპანიების- „კოპალასა“ და „კრისტალ აუდიტ ენდ კომპანიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი.

ჰყავს შვილები - ზურაბ და ნიკოლოზ ჯაფარიძეები.

მამა - ანზორ ჯაფარიძე, საზოგადო მოღვაწე, ქ. თელავის საპატიო მოქალაქე, გახლდათ საქართველოში მოქმედი ხუთი სხვადასხვა აკადემიის ნამდვილი (აკადემიკოსი) წევრი. არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად. მინიჭებული ჰქონდა ,,სიკეთის რაინდის“ წოდება. არჩეული იყო ქართველთა და აფხაზთა შერიგების კავშირის - ,,დიოსკურია 2005“-ის საპატიო პრეზიდენტად. დაჯილდოებული იყო ,,მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა“ და ,,მშვიდობის დროშის“ სამკერდე ნიშნებით (გარდაიცვალა 2021 წელს).

დედა - ცისანა სეხნიაშვილი, ღვაწლმოსილი ქალბატონი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. გაწეული წვლილისათვის მიღებული აქვს უნივერსიტეტისა და პრეზიდენტის მადლობები.

მაშინ, როდესაც წარმოიშვა აუცილებლობა - პირადი შეხედულება წარმომედგინა ღირსეული ძმების - ვანო და ლადო ჯაფარიძეების და მათი ოჯახის ირგვლივ, მომენტალურად გამიელვა გონებაში ცნობილმა გამოთქმამ - "ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია"... აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ამ ადამიანებზეა ეს სიტყვები მორგებული.

ისინი, დაიბადნენ და აღიზარდნენ საუკეთესო და მეტად ღირსეული ადამიანების გარემოცვაში, როგორებიც არიან: ბატონი ანზორ ჯაფარიძე და ქალბატონი ცისანა სეხნიაშვილი.

სწორედ მათი დამსახურებაა, რომ შვილების აღზრდაში, მშობლების მიერ გულუხვად არის ჩადებული კეთილშობილების ფასდაუდებელი კოდი, რის გამოც ყველა, ვინც კი ამ ახალგაზრდებს ვიცნობთ, ყველასაგან ერთი უცვლელი აზრი მოდის; "ყველა ოჯახში უნდა იზრდებოდნენ ასეთი ადამიანები, როგორიც- ვანო და ლადო ჯაფარიძეებია".

მეამაყება, რომ ამ კეთილშობილ ხალხს ვიცნობ ორ ათეულ წელზე მეტია. ბატონ ანზორ ჯაფარიძეს ვიცნობდი გარკვეულ წლებში კონტროლის პალატაში ერთად მოღვაწეობის პერიოდიდან; ყველას დამხმარე, გულისხმიერ და საქმიან ქალბატონ ცისანას კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და საერთო ახლობელი გარემოცვიდან. სამაგალითო პიროვნებას - ლადოს ვიცნობ სამსახურეობრივად, ერთ სისტემაში მოღვაწეობით, ხოლო არაჩვეულებრივ კაცს ვანოს კი, თავდაპირველად კონტროლის პალატიდან, ხოლო შემდგომში საგადასახადო

სისტემაში ერთად საქმიანობის პერიოდიდან.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო, როგორ ამშვენებს ჯაფარიძეების ტრადიციულ ოჯახს, კარგ გარემოში აღზრდილი ქ-ნი ქეთევან ჩიტალაძე. ასევე მინდა მოვეფერო ოჯახის მზარდ მომავალ და სახელოვან თაობას - ცისანას, ზურაბს და ნიკოლოზს.



ჯაფარიძეების ოჯახი

ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ჯაფარიძეების საამაყო ოჯახი.

(ავტორი)

## გურამ კუპატაძე



დაიბადა 1945 წლის 9 სექტემბერს ქ. ზესტაფონში. 1952-1963წლებში სწავლობდა ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლაში.

1964-1967 წწ. მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

1968 წელს ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1974 წელს და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია.

1968-1979წწ. მუშაობდა თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანებაში სხვადასხვა თანამდებობებზე, ხოლო 1979 – 1985წწ. – თბილისის სახელმწიფო საავიაციო გაერთიანების პროფკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ; 1985–1992 წწ. - თბილისის სახელმწიფო საავიაციო გაერთიანების პროფკომიტეტის თავმჯდომარედ; 1985 წლიდან იყო საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი, რესპუბლიკური, საკავშირო-დარგობრივი და საკავშირო პროფკავშირების ყრილობათა დელეგატი; ამასთან 1987 წლიდან გახლდათ საკავშირო, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა მეგობრობის კლუბის წევრი; 1987-92 წწ. საკავშირო-დარგობრივი, საავიაციო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების წევრი, ამავე კავშირის ამიერკავკასიის ქვეყნებში ცენტრალური კომიტე-

ტის წევრთა ჯგუფის ხელმძღვანელი; 1992–1998წწ – თბილისის სახელმწიფო საავიაციო გაერთიანების საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

2000 წლიდან დღემდე ბატონი გურამი ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის საერთაშორისო ასოციაცია „მადლის" პრეზიდენტია, პარალელურად 2001 წლიდან დღემდე - ადამიანის უფლებათა დაცვისა და დახმარების საერთაშორისო კავშირი „ნდობა“-ს თანათავმჯდომარის პოზიციას იკავებს.

2012 წლიდან ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრია, ხოლო 2016 წლიდან ქართველთა და აფხაზთა შერიგების კავშირი „დიოსკურია-2005“-ის გენერალური მდივანია. 2017 წლიდან არჩეულია მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა, საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

მიღებული აქვს მრავალი სახელმწიფო ჯილდო.

ჰყავს მეუღლე - ნანი რევაზიშვილი, პროფესიით ქართ-ული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგი. შვილები - ნუცა კუპატაძე, პროფესიით ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფილოლოგი და სამართალმცოდნე; მუშაობს იურისტად კერძო კომპანიაში. ვაჟიშვილი- დიმიტრი კუპატაძე - პრო-ფესიით კავშირგაბმულობის ინჟინერი და კულტურული ტურიზმის მენეჯერი. დამთავრებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტი. საქმიანობას ეწევა კერძო კომპანიაში.

დიდი სიამაყით და პატივისცემით წარმოვადგენ საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ს წევრის გამოხმაურებას, იმ დროს როდესაც მსოფლიო და ჩვენი ქვეყანა იდიდეს განსაცდელში იყო იმჟამად გავრცელებული ვერაგი დაავადების (კოვიდ-19) გამო. სწორედ ბატონ გურამ კუპატაძის ეს სტატია ნათლად მიგვანიშნებს უდიდეს გულისტკივილზე და მხარდაჭერაზე. იგი ერთგვარად გამოხატავს გარკვეულ კავშირებს და განსხვავებას საერო და სასულიერო მიმდევრობის კუთხით, რაც საბოლოოდ, იმედის და გადარჩენის კუთხითაა წარმოდგენილი:

**შეძახილი სრულიად საქართველოს!**

წინამდებარე სიუჟეტი (პოსტი) „შეძახილი სრულიად საქართველოს“ ინტერნეტში გამოქვეყნდა 2021 წლის, 21 სექტემბერს-ღვთისმშობლობას, მაშინ როცა ჯერ კიდევ ქვეყანაში კორონავირუსი მძინვარებდა და „პოსტის“ შინაარსის შესაბამისად, მისი ავტორის დასახასიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ, სულმნათი შოთა რუსთაველის სიტყვები: “კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების“.

გალაკტიონისეულად:

ახლა როცა ამ „პოსტსა“ ვწერ,
კარანტინი იწურება,
კორონები უკან გვრჩება,
გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

რამოდენიმე დღის წინ ინტერნეტში ვნახეთ საოცარი ფოტო-კადრები, სადაც ჩვენი პატრიარქი მუხლმოდრეკილი ლოცულობდა და უფალ ღმერთსა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ავედრებდა ჩვენს სამშობლოსა და ხალხს.

ამავე დღეს სატელევიზიო ეთერში ვუყურეთ და მოვისმინეთ, ერთ-ერთი, ამჟამად საზღვარგარეთ მოღვაწე ეპისკოპოსის მოსაზრება კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, რომელიც აცხადებდა, რომ დაავადებასთან ბრძოლა არის არა რელიგიური, ანუ საეკლესიო, არამედ სამედიცინო საქმე და სამღვდელოებას მასთან არაფერი ესაქმებაო. სამწუხაროდ ანალოგიურ პოზიციაზე იყოფებიან ფართო საზოგადოებაში ღრმად პატივცემული, სამღვდელოების მაღალი ჩინოსნები, რომლებიც აცხადებენ, რომ ჩვენი სახელმწიფო სეკულარულია და სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთის საქმიანობაში არ უნდა ჩაერიონო. კი ბატონო ასეც უნდა იყოს, მაგრამ როცა ქვეყანა და ხალხი პანდემიის გამო განსაცდელშია, კორონავირუსი მძინვარებს და ამ პატარა, ისედაც მცირერიცხოვან ქვეყანაში თითქმის 20 ათასი ადამიანის სი-

ცოცხლე შეიწირა, განა შეიძლება განზე დგომა და არ ჩარევა?

გავიხსენოთ ბიბლიური მოძღვრება, სადაც ნათქვამია თუ რას საქმიანობდა და რა სასწაულებს ახდენდა ჯვარცმამდე ჩვენი მაცხოვარი, თავის მოწაფეებთან და მოციქულებთან ერთად. როგორ ეხმარებოდა გაჭირვებულებს, ჰკურნავდა ავადმყოფებს და სნეულებს, აღადგენდა და აცოცხლებდა მიცვალებულებს, თუმცა ის არც ექიმი ყოფილა და მას არც ის უთქვამს, ეს ჩემი საქმე არ არისო.

ანალოგიური მაგალითების მოყვანა კონკრეტულად ჩვენს ქვეყანაში მრავლად შეიძლება. ავიღოთ თუნდაც თორნიკე ერისთავი, რომელმაც ანაფორა გაიხადა და აბჯარი აისხა როცა ქვეყანას გაუჭირდა. თევდორე მღვდელი, რომელმაც თავი გასწირა და იხსნა გარდაუვალი განადგურებისაგან მეფის ოჯახი და ამალა. ჩვენი გმირი პატრიარქები კირიონ მეორე და ამბროსი ხელაია. პოლონეთში მოღვაწე არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, იტალიის სანაპიროებთან თავგანწირული მამა ილია კარტოზია. მამა გიორგი ბედია-ჭყონდიდელი, მეფესთან ერთად რა სასწაულებრივ წარმატებებს მიაღწიეს ქვეყნის გასაერთიანებლად, როგორც ტერიტორიულად, ასევე მორალურად და სულიერად. თუნდაც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მომზადება და ჩატარება, არადა ახლაც როგორი საჭიროებაა ანალოგიური კრების ჩატარებისა! მით უმეტეს ახლა, როცა მიმდინარეობს შე-

ტევა მართლმადიდებლობაზე, ჩვენს დედა-ეკლესიაზე და პატრიარქზე, ჩვენს მამა-პაპურ წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე, ოჯახის სიმტკიცეზე, ეროვნულ იდენტობაზე და სხვა. გვყავს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ასეულ-ათასობით იძულებით დევნილი მოსახლეობა და კიდევ უფრო მეტი იძულებითი ემიგრანტები. ყოველივე ამას ემატება კორონავირუსის პანდემია და ამ განსაცდელის ჟამს საჭიროა, რომ ერთ მუშტად შეიკრას სახელმწიფო და ეკლესია, მთელი ქვეყნის ერი და ბერი, პოზიცია და ოპოზიცია და ერთიანი ძალისხმევით დავამარცხოთ პანდემიაც და მოვაგვაროთ ქვეყნისა და ხალხის წინაშე არსებული ყველა პრობლემა და გამოვიყვანოთ კრიზისიდან ჩვენი დალოცვილი ქვეყანა.

დასანანია, რომ ამჟამად ქვეყანაში არსებობს ჯერ კიდევ გამოუყენებელი უამრავი რესურსი, თუნდაც „მაშველი რგოლის“ ეფექტის მქონე, ღვთივნაკურთხი, ბიოლოგიურად აქტიური საკვებდანამატი „მადლი ვაზისა“ და კეთილი ნების გამოვლენის შემთხვევაში, ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე შესაძლებელია მარტივად გადაიჭრას ყველა პრობლემა. ცნობისათვის,სამეცნიერო-ანალიტიკური ჯგუფის მიერ შემუშავებულია გეგმა-პროექტი ქვეყანაში ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარებისა, ისეთი ტემპებით რომ 4-5 წელიწადში შესაძლებელია ათასობით სამუშაო ადგილის შექმნა, ხალხის დასაქმება და სახელმწიფო ბიუჯეტის 4-ჯერ და უფრო მეტად გაზრდა, რაც დიდ სიკეთეს მოუტანს ჩვენს მოსახლეობას. ხოლო აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონები თვითონვე

დაგვიბრუნდებიან, ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები კი აქეთ დაგვიწყებენ თხოვნას მათთან გაერთიანების შესახებ.

ყურადსაღებია აგრეთვე ჩვენი ქვეყნის პატრიარქის შეძახილი, შეგონება-მოწოდებები და ქადაგებები, სადღესასწაულო, საშობაო თუ სააღდგომო ეპისტოლეებიდან, რომელთაგან ერთ-ერთი ამონარიდი ასე ჟღერს: "ისწრაფეთ შერიგებისა და ერთსულოვნებისაკენ, ისწავლეთ ერთმანეთის მოსმენა და პატიება, ისწავლეთ საკუთარი ცოდვებისა და შეცდომების დანახვა და სინანული და თქვენი ცხოვრება სწორი გზით წარიმართება".

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალიან ხმამაღლა და ყველას გასაგონად მინდა შევძახო ქართველ ერსა და სრულიად საქართველოს: "ეჰეი საქართველო, გაიღვიძე საქართველო, გამოფხიზლდი საქართველო, აღსდექ საქართველო! გააკეთე სწორი არჩევანი და ბნელი, ტალახიანი და ეკალ-ბარდიანი გზიდან გადმოდი ნათელ მხარეს, მოკირწყლულ-მოასფალტებულ გზაზე"!

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ღმერთმა დალოცოს, გააერთიანოს და გააძლიეროს სრულიად საქართველო, ამინ!

გურამ კუპატაძე

ქ. თბილისი, 2021 წლის 21 სექტემბერი-ღვთისმშობლობა.

**თვალსაჩინო და უნიჭიერეს ადამიანს - ბატონ გურამ კუპატაძეს ვიცნობ და საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებს საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველო“-ში ერთობლივად მოღვაწეობის პერიოდიდან. იგი გახლავთ უაღრესად სამაგალითო მორწმუნე, პატიოსანი და გულმხურვალე ქართველი. ყოველთვის ვისურვებდი, რომ მსგავსი ადამიანები, მოჭარბებულად ჰყავდეს ჩვენს ქვეყანას. განცვიფრებას იწვევს მისი უაღრესად საღი აზროვნება. იგი სისტემატიურად დგას ჩვენი სამშობლოს მოაზროვნე ადამიანების გვერდით. ვამაყობ, რომ ვიცნობ და ვმეგობრობ ასეთი შესანიშნავ პიროვნებასთან.**

**(ავტორი)**

**იამზე რობაქიძე**

დაიბადა ქ. თბილისში 1962 წლის 12 აგვისტოს მოსამსახურის ოჯახში. 1979 წელს დაამთავრა - თბილისის 89-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1984 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა ჟურნალისტის კვალიფიკაცია. სტუდენტობის პერიოდში თანამშრომლობდა გაზეთ ,,თბილისის'' კულტურულ განყოფილებასთან, ,,ივერიის განთიადთან“ და აქვეყნებდა სხვადასხვა სტატიებს, ჩანახა-

ტებს, ადამიანების ცხოვრებისეულ ეპიზოდებს და ინტერვიუებს.



1988 წელს დაამთავრა თბილისის II სამედიცინო სასწავლებელი მედდის სპეციალობით. 1991 წლიდან 2000 წლამდე მუშაობდა ქ. თბილისის ისნის გამგეობაში (სოციალური განყოფილება), პარალელურად არჩეული იყო ,,შრომის ფედერაციის" - ისნის რაიონულ თავჯდომარედ (პროფკავშირები). პირველი უფასო სასადილო ისნის რაიონში გამგეობასთან ერთად მისი თაოსნობით იქნა გახსნილი, რის გამოც მადლობის წერილი გადაეცა.

1996-2000 წლამდე თანამშრომლობდა ,,სამხედრო გაზეთში" ძირითადიდ აფხაზეთის თემებზე. 2000-2003 წლებში იყო არასამთავრობო ორგანიზაციის ,,იმედის გზის" პრეზიდენტი. ეხმარებოდა სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს. მისი დახმარებით ბევრმა ბავშვმა უფასოდ დაისვენა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2004-2011 წლებში მუშაობს არასამთვრობო ორგანიზაცია - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ფონდ ,,მეოხი 2004"-ის თანათავმჯდომარედ. 2008 წელს ფონდის წევრებთან ერთად შედიოდა ცხინვალის სოფლებში და არიგებდა დახმარებას. პარალელურად თანამშრომლობდა ,,საქართველოს მასწავლებელთა სოცია-

ლური რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის ფონდში“. 2007-2009 წლებში არჩეული იყო მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარედ 89-ე საშუალო სკოლაში (სამეურვეო საბჭო). 2009-2011 წლებში ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიაში არჩეულ იქნა რექტორის თანაშემწედ. 2011 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი ,,გაენათი“ მენეჯერის სპეციალობით. 2011 წლიდან დღემდე არის შპს ,,ხაზარის“ დირექტორი. 2014-დან 2019-მდე გახლდათ კიევის პერსონალის მართვის რეგიონთაშორისო აკადემიის ლაგოდეხის ცენტრის რექტორი. 2019 წლიდან დღემდე კიევის ევროპული უნივერსიტეტის თბილისის საკონსულტაციო ცენტრის ადმინისტრაციის ხელმძღვანელია.

2012 წელს დაასრულა შპს სასწავლო უნივერსიტეტ ,,ვიტას“ ფილოლოგიური ფაკულტეტი - ქართული ენისა და ლიტრატურის სპეციალობით. 2010 წლიდან არის საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემიის ,,ქალდეა-საქართველოს“ ნამდვილი წევრი და 2018 წელს კი გადაეცა აკადემიკოსის დიპლომი.

იამზე რობაქიძე გახლავთ აკადემია ,,ქალდეა-საქართველოს“ პრეზიდენტის პოეტი-აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელის 100-ტომეულის, რამოდენიმე ტომის რედაქტორი. მას წლების მანძილზე შესწავლილი აქვს სხვადასხვა სასერტიფიკატო პროგრამები, მათ შორის:

- 1996 წელი - ,,საქართველოს შრომისა და წარმოების

ორგანიზაციის სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტი'' - მეწარმეობა და ინფორმაცია;

- 2004 წელ - ასოციაცია ,,სკოლა, ოჯახი და საზოგადოება'' - პროგრამა კრიტიკული აზროვნება სკოლა და საზოგადოებაში;
- 2007 წელი - ,,სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი'' - საქმის მწარმოებელი, ოფისის მენეჯერი;
- 2008 წელი - ,,საქართველოს მასწავლებელთა სოციალური რეაბილკიტაციისა და მხარდაჭერის ფონდი'' - ფსიქოლოგი.

იამზე რობაქიძე გახლავთ ,,ნიზამი განჯავის საერთაშორისო აკადემიიის'' ვიცე - პრეზიდენტი. 2022 წლის ივნისში არჩეულია საქართველოს კოლხეთი ,,ფაზისის საერო-სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიის'' გამგეობის წევრად.

ქალბატონ იამზეს შექმნილი აქვს სახელოვანი ოჯახი, აღზარდა სამი ქალიშვილი: ნინო - პროფესიით ეკონომისტი, ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლილი პროფესიით ვეტექიმი, მოღვაწეობს ,,ვეტჰაუსის'', არის ლექტორი, ზრდის მომავალ ვეტექიმებს, არის დაოჯახებული, თამარი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტი, არის დაოჯახებული.

ქალბატონ იამზე რობაქიძეს ვიცნობ საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია ,,ქალდეა-საქართველოდან“. იგი გახლავთ უაღრესად სანიმუშო და მისათითებელი პიროვნება. არის განათლებული და კომუნიკაბელური, საქმის მცოდნე ადამიანი. მკაფიოდ გამოირჩევა ხალხთან ურთიერთობაში. წარმატებები ქალბატონ იამზეს პირად და შემოქმედებით ცხოვრებაში.

(ავტორი)

ამირან გაფრინდაშვილი



დაიბადა 1948 წლის 16 მაისს, ქ. ჭიათურაში (სოფ. შუქრუთი) მრავალშვილიან ოჯახში (ოთხი ძმა და ორი და).

მამა, ტერენტი გაფრინდაშვილი იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, (მეორე ჯგუფის ინვალიდი), **ხოლო** დედა, მარგალიტა წივილაშვილი - დიასახლისი.

1966 წელს სოფ. შუქრუთის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გააგრძელა ქ. ჭიათურის მე-4 საშუალო - მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში. პარალელურად მუშაობდა ჭიათურის მარგანეცის მაღაროში. 1967-1968 წლებში სწავლობდა თბილისის №26 ტექნიკურ სასწავლებელში და შემდეგ სწავლა გააგრძელა გზათა მიმოსვლის სამინისტროს ელიავას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმში, ხოლო 1968 წლის ნოემბერში გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში,

1971 წელს მუშაობა დაიწყო ი.ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში, პარალელურად სწავლა გააგრძელა ელიავას სახ. რკინიგზის ტექნიკუმში (დაამთავრა 1975 წელს). ქარხანაში მუშაობდა 1984 წლამდე, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე: ხარატად, მღარავად, ზეინკლად, მექანიკოსად, ოსტატად და უბნის უფროსად. 1979-1985 წლებში სწავლობდა როსტოვის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტში.

1984 წელს დანიშნული იყო ვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სახლის დირექტორის მოადგილედ, სადაც იმუშავა 1993 წლამდე. 1993-1996წწ იყო ქარხნის ნორჩ ტექნიკოსთა კლუბის დირექტორი.

1997 წელს დააფუძნა პარლამენტთან არსებული აუდიტი შპს „ემაუსი“, რომელსაც ხელმძღვანელობ-და 2004 წლამდე. 1997 წელს დაინიშნა გლდანი-ნაძა-

ლადევის რაიონის ზღვისუბნის №1 საბინაო კომუნლური მომსახურების სერვის ცენტრის დირექტორად, სადაც იმუშავა 2005 წლის ბოლომდე.

2000 წელს გაწევრიანდა საქართველოს პენსიონერთა და ვეტერანთა პროფესიულ კავშირში - არასამთავრობო ორგანიზაციაში. 2003 წელს, რამდენიმე პირთან ერთად დააფუძნა თბილისის პენსიონერთა და ვეტერანთა პროფესიული კავშირი, რომელსაც სახელი შეეცვალა 2009 წელს და ეწოდა საქართველოს პენსიონერთა კავშირი, რომლის ხელმძღვანელიც **არის** ამჟამად.

2018 წლიდან **არის** საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა-**საქართველოს**" **ნამდვილი** წევრი.

2019 წელს რამდენიმე პირთან ერთად დააფუძნა ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის ბინათმესაკუთრეთა ასოციაცია, რომლის თავმჯდომარეც **გახლავთ** დღემდე.

ჰყავს მეუღლე - **ეთერ მოთიაშვილი, პროფესიით საქონელმცოდნე (დიასახლისი)**; შვილები - **მარგალიტა გაფრინდაშვილი, თურქოლოგი, 3 შვილის დედა; იამზე გაფრინდაშვილი, იურისტი, 3 შვილის დედა, (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელი) მუშაობს ს.ს „ენერგოკავშირში" იურისტად; ჯამბულ გაფრინდაშვილი - ეკონომისტი, ჰყავს ერთი შვილი, საქმიანობს შინაგან საქმეთა სამინისტროში. შვილიშვილები: ანანო, ნათია, გაბრიელ ნიშნიანიძეები, თამარი, მარიამ, მათე ბუკიები და ლილე გაფრინდაშვილი.**

შესანიშნავ ქართველ კაცს, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ და გულანთებულ ადამიანს, სანიმუშო ოჯახის პატრონს, სამეგობროში სახელოვან, ურთიერთობებში უერთგულეს, საოცრად კომუნიკაბელურ პიროვნებას - ბატონ ამირან გაფრინდაშვილს ვიცნობ, საქართველოს მწერალთა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია "ქალდეა-საქართველო"- ში ერთობლივი მოღვაწეობიდან. სწორედ მისმა დადებითმა ხასიათმა, განათლებამ და ადამიანურმა მიდგომებმა განაპირობა ჩვენი მეგობრული და ახლო დამოკიდებულება, რაც დარწმუნებული ვარ, რომ გაგრძელდება მუდმივად. ვუსურვებ მას ოჯახთან და მომავალთან ერთად-სახელოვანი გზით სვლას. ღმერთმა არ მოაკლოს მფარველობა და წარმატებები.

(ავტორი)

# ჩვენი მწერალთა სამყარო

## ბაღათერ არაბული



დაიბადა 1950 წლის 5 ოქტომბერს, დუშეთის რაიონის სოფელ მაწმაოში. დაამთავრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატი, 1973 წელს კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.

პარალელურად სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ფაკულტეტზე. მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტში ინჟინერ-კონსტრუქტორად, ჟურნალ ,,ცისკართან" არსებული შემოქმედებითი ახალგაზრდობის გაერთიანების ხელმძღვანელად.

1985 წლიდან იყო ჟურნალ „ნობათის" რედაქტორი და ჟურნალ „ცისკრის" პოეზიის განყოფილების გამგე, შემდეგში კი რედაქტორი.

პოეტს, მთარგმნელს, პუბლიცისტს, ბატონ ბაღათერ არაბულს, გამოცემული აქვს ლექსების, თარგმანებისა და პუბლიციტური წერილების თოთხმეტი წიგნი, მათ შორის ლექსების კრებულები: „გაზაფხულის ფოთლები" -1977 წელს, "იხსენებ ჩავლილს" -1984 წელს, "ჟამი სინათლისა" - 1987 წელს; ერთტომეული -2003 წელს, "ხევსურული სა-

გა" - 2016 წელს, “საწუთროს გზებზე”- კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა 2021 წელს. მისი ლექსები თარგმნილია ესპანურ, ჰოლანდიურ, იტალიურ, ინგლისურ, რუსულ, უკრაინულ, ბულგარულ, სომხურ, უნგრულ, უზბეკურ, აზრბაიჯანულ ენებზე; დაბეჭდილია სხვადასხვა ანთოლოგიებში; არის არაერთი საერთაშორისო პოეტური ფესტივალის და სემინარის მონაწილე, არაერთი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის და ოქროს მედლის მფლობელი, დავით აღმაშენებლის აკადემიის საპატიო პროფესორი! 2017 წელს არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, ხოლო ამ ეტაპზე გახლავთ საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.



საინტერესო შეხვედრა მწერალთა სახლში (28.12.2022 წ.) - ბატონ ბაღათერ არაბულთან და ღონისძიებაში მონაწილე პირებთან ერთად.
(ავტორი)

**ბატონი ბაღათერ არაბული არჩეულია "საქართველო კოლხეთი ფაზისის საერო-სამეცნიერო საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ (აკადემიკოსი) წევრად. წიგნის -**

**"გზა უფლისკენ" ავტორისეული ხედვით, როდესაც ვსაუბრობთ საქვეყნოდ ცნობილი პოეტის - ბატონ ბაღათერ არაბულის ლიტერატურულ შემოქმედებაზე, პირველ რიგში უნდა გავითავისოთ, რომ იგი გახლავთ პიროვნება, რომლის ნაწარმოებები ნათარგმნია მსოფლიოს 11 ქვეყნის ენაზე და ქართველ მკითხველთან ერთად ეცნობა უცხოელ მკითხველთა უდიდესი აუდიტორია, რის გამოც ქართული მწერლობის ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლებაში, მას უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი. შედეგად ამისა, იგი ქართული საზოგადოების მიერ ყოველთვის წარმოდგენილია - საამაყო და სახელოვანი ადამიანის სტატუსით.**

დიდი პატივისცემით წარმოგიდგენთ ბატონ ბაღათერ არაბულის რამოდენიმე ლექსს:

**იესოს დაბრუნება**

ზეცა გრგვინავს და მიწა ზანზარებს,
ელვით ეშვება მთებზე ავდარი;
მიდის იესო ისევ ნაზარეთს,
ჩვენთვის ჯვარცმული და კვლავ აღმდგარი...
დაბზარულია სივრცის კედლები
და სივრცის იქით მოჩანს სხვა ხედი,
შორს კი ნისლებში ელავს ბეთლემი,

როგორც სამყაროს გადასახედი...
გადაჰკრავს რიჟრაჟს ფერი იოდის,
ღამე დაიმსხვრა და დაიბზარა
და თვით იუდა ისკარიოტელს
თავის ღალატი თვითონვე ზარავს...
მიდის იესო და მრევლი მისდევს,
ციდან მოისმის გუგუნი ზარის,-
ისევ ბრუნდება ნატანჯი ქრისტე,
ო, გიხაროდენ, იერუსალიმ...
ზეცა გრგვინავს და მიწა ზანზარებს,
ელვით ეშვება მთებზე ავდარი;
მიდის იესო ისევ ნაზარეთს,
ჩვენთვის ჯვარცმული და კვლავ აღმდგარი...

**ცხოვრება**

არეულია ნათელში ბინდი,
ალერსში-შხამი,შხამში-ცდუნება,
დრო კი თავის გზით მიდის და მიდის,
საკუთარ თავში დასაბრუნებლად...
და სიყვარული, რომ გვწამდა გუშინ,
ჩვენგანვე მოკვდა და გაიაფდა,
შემოგვპარვია მალულად სულში
თვითონ იუდა და კაიაფა...

ლამის მოყვარე გავაკრათ ჯვარზე
ჩვენი გესლის და შურის ლურსმნებით,
დაუსრულებლად გრძელდება ასე,
ბრუნავს და ბრუნავს კვლავ კარუსელი...
არეულია ნათელში ბინდი,
ალერსში-შხამი,შხამში-ცდუნება,
დრო კი თავის გზით მიდის და მიდის,
საკუთარ თავში დასაბრუნებლად...

## ო, გ ა ყ ი დ უ ლ ო ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ვ, რ ა გ ე შ ვ ე ლ ე ბ ა ?!.

... უცხო ბურუსით
ი ბ უ რ ე ბ ა ირგვლივ მთა-ველი
და გვითრევს ყველას დაუნდობლად ცოდვის მორევი;
არის ღ ა ლ ა ტ ი,-
არის მტრობა გაუთავები,
სულწარწყმედილი გ ა მ ყ ი დ ვ ლ ე ბ ი ს, მუცლის
მონების...
ჩამომხობილა მთაწმინდაზე
ცა მეწამული
და მზის სხივებში წინაპართა
სისხლი მოწვეთავს;
დღეს ვიღას ახსოვს დაგლეჯილი დედულ- მამული
ანდა წუხილი გაწამებულ თანამოძმეთა...

ვხედავ ოდითგან საამაყოს,
ჩვენთვის ესოდენ,
საზღვრებს მორღვეულს და
ზნეობის სამანებს მოშლილს,-
ახალ “ გმირებად” გვაჩეჩებენ
ბესო- კესოებს,
ამ უზნეოთა პოდიუმზე,-
ულმობელ დროში...
ვხედავ ლიბერასტ მედროვეთა დამცინავ ღიმილს,-
ელგებეტელთა ერთმანეთთან
ვნებით ფერებას;
ყოველი მხრიდან თავს გვესევა
ათასი მ ღ ი ლ ი,
ო, გაყიდულო საქართველოვ,
რა გეშველება?!.
უფლის ტაძარში ჩვენზე ლოცვით სანთელი იწვის,
რომ აგვაშოროს გეენას და
მერმისს უარესს;
დღეს დარჩათ ერი სათარეშოდ
დიაცებს სიძვის,
ამ მოძალადე გეებსა და ტრანსსექსუალებს...
კრწანისის თავზე ცა საავდროდ
კვლავ იქუფრება,-
აქვთ ზარ-ზეიმი სოდომური,
თავს გასულ ხლისტებს;

მათ რომ შეეძლოთ
ანდა მივცეთ ამის უფლება,
ჯვარზე მეორედ გააკრავდნენ
ნ ა წ ა მ ე ბ  ქ რ ი ს ტ ე ს!..

## ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

ამ სამყაროში ჩვენ ერთმანეთს ვეძებდით ოდით,
გზებზე ეფინა მოყვავილე ფერი არეთა;
მე თქვენ მიყვარდით, არ შემეძლო, არ მყვარებოდით,
რადგან ჩემსავით სხვა ვერავინ შეგიყვარებდათ…

გამოვაღწიეთ რამდენ ტკივილს და ღალატს რამდენს,
ამ სიყვარულმა ერთგულების ნერგი იყარა;
მე თქვენ მიყვარხართ და არ ძალმიძს, რომ არ მიყვარდეთ,
რადგან თქვენსავით მეც ვერავინ ვერ შემიყვარა…

## გულნაზ ხარაიშვილი



დაიბადა 1950 წელს 5 მაისს, საჩხერის რაიონ სოფელ ხვანში.

პროფესიით ბიბლიოგრაფ და ჟურნალისტ ქალბატონს, აქვს კულტურისა და განათლების სფეროში გამოცდილების დიდი სტაჟი.

დაჯილდოებულია საკავშირო და ადგილობრივი სამთავრობო და არა სამთავრობო ხელმძღვანელებისგან, მიღებული აქვს იაკობ გოგებაშვილის მედალი, აღმზრდელობით დარგში მიღწეული წარმატებებისთვის. გულნაზ ხარაიშვილი ამჟამად ხელმძღვანელობს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიას. არის ჟურნალ „ათინათის" მთავარი რედაქტორი (პოეტი). გამოშვებული აქვს პოეტური და პროზაული ნაწარმოების კრებულები: 1- ფიქრები. 2- შენ მენატრები. 3- სულის არეში. 4- მზის ათინათი. 5 -მზის მკლავებში. 6- მდუღარე ცრემლი. 7- მკვლელობა საკუთარ სახლში. 8- ფიქრის ხეივანი. 9- დარდის პირამიდები. 10- რაა სიცოცხლე. 11- ღმერთ კაცი და თოლოა. 12- სულის ტაძარში.

გულნაზ ხარაიშვილი არის მწერალთა კავშირის წევრი (გამგეობის წევრი). მიღებული აქვს პრემიები: აკაკი წერეთლის, მარიკა ბარათაშვილის, ბეჟან ხარაიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ღვაწლმოსილის, გალაკტიონ ტაბიძის.

გულნაზ ხარაიშვილის პოეზიით დაინტერესებულმა პიროვნებამ, სოხუმის უნივერსიტეტის სრულმა მეცნიერმა დაწერა წიგნი ,,მადლშემოსილი" და „სამების სამრეკლოსდან", სადაც შეტანილია როგორც გულნაზის, ასევე მისი აწ გარდაცვლილი ძმის, ბეჟან ხარაიშვილის ლექსების კვლევა და ძმისშვილის გვანცა ხარაიშვილის პოეზიის აღიარება. ქალბატონ გულნაზის მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის, ,,ჯგუფ ზღვარის" ხელმძღვანელის სერგი ლომაძის გამოშვებული წიგნი ,,გზა მწვერვალისკენ", რომელიც ითარგმნა გერმანულ ენაზე.

ჰყავს ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი .

ძნელია, ასეთი დიდი პიროვნება წარმოაჩინო საკუთარი პოეზიით, მაგრამ მის პატივსაცემად დიდი მოკრძალებით შევქმენი ლექსი. შეფასება თქვენთვის მომინდია, ჩემო მკითხველო.

* * *

**(გულნაზ ხარაიშვილს)**



მწვერვალს იპყრობს - ქალთა
შორის,
ღვთაებრივად შობილი,
თვითნაბადი წმინდა სულით,
ძალზე კეთილშობილი.

თვისებებით მისაბაძი,
ჭეშმარიტი - დამცველი,
საოცარი მიდგომებით,
გულით -სულით ქართველი.

უზნეობას ებრძვის მარად,
იზიარებს აზრს წმინდას,
როცა ხედავს მიუღებელს,
აღარ ისმენს - ხმას სხვისას.

ლექსად ამბობს ყველა სათქმელს,
ბრწყინავს მისი სახელი,
თავს ევლება მთელ ქვეყანას,
სახე უჩანს ნათელი.

ამდიდრებს წიგნის სამყაროს,
გამოსცემს ნამდვილ საუნჯეს -
"ათინათი"-ს და ”ანთოლოგია"-ს
საჩუქრად უძღვნის რჩეულ კალმოსნებს.

ტოპმენეჯერის დიდი თვისებით,
გვერდში ჰყავს ბევრი კეთილ -მზრახველი,
"ჯუმბერ ლეჟავას აკადემიას"
უძღვება ქალი - ღირსი სახელით.

2022
**(ავტორი)**

მსურს წარმოგიდგინოთ ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებიდან მცირე ნაწილი:

**ამ წიგნებს ესმით**

*.*.*

მეც წავალ ისე როგორც უკვე წავიდნენ სხვები,
ნუ გეჩქარებათ, ჩემი წასვლა შეიგრძენთ კრძალვა,
ჩამომაცალეს ტოტები და მაინც არ ვხმები,
გამომიყენეთ ...დაგჭირდებით მომავალს ხვალაც.

ამ წიგნებს ესმით ჩემი ენა, ვსაუბრობ მათთან,
აქ არის მთელი გალაქტიკის ვარსკვლავთმრიცხველი,
თუ კარგს არ იტყვით ცუდი მაინც არასდროს არ თქვათ,
მკითხველს მოვუხმობ არ მჭირდება გადამკითხველი!

**= მიყვარს... ვუყვარვარ =**

:·:·:·:·:·:·:·:·:·:·:·:

მახსოვს ჰო, მახსოვს რწმენით მოვედი,
მამა გაბრიელ შევეხე საფლავს,
მადლშემოსილი უკან მოვბრუნდი,
ღვთით ასე მოხდა რწმენით და მართალა.
ამამეტყველე ლექსების ენით,
იჩეკებიან გონის ბუდეში,
მამა გაბრიელ ეს, ხდება შენით,
ლექსია ჩემი დარდის ნუგეში.
მას შემდეგ ვცხოვრობ რწმენის იმ სახლში,
სადაც სიმდიდრე მხოლოდ ლექსია,
ჩავიფუფქები გრძნობების ალში,
პატარძალივით როგორც წესია.
მიყვარს...ვუყვარვარ, ლექსს უფლის გზავნილს,
არ ვღალატობ და არც ის მღალატობს,
ამ დიდ სიმდიდრეს შენ მე მიგზავნი,
ამაზე მეტი რაღა ვინატრო.

გარდამეცვალნენ ძმები და შვილი,
ყველაზე ადრე მეუღლე, დედა,
ლექსია ჩემთვის შვილივით ტკბილი,
გულის ტკივილებს ლექსებით ვკებავ.
ლექსით ვიძინებ, ლექსით ვიღვიძებ,
და ლექსით ვხვდები დილის ალიონს,
ლექსების გრძნობით გული ძიგძიგებს,
ლექსებთან მინდა სული დავლიო!

**= არ დამემდურო =**

=+=+=+=+=+=

ჩემი სამყაროს სურნელს ვპატრონობ,
თავს დავტრიალობ გულს ვუნაწილებ,
არ დამემდურო წიგნის ავტორო,
რომ დროს არასდროს არ გინაწილებ.
შენი სამყარო ჩემსას არა ჰგავს,
შენსას მზის სითბოს მადლი აკლია,
ბარს და ახოში მე ვარდებს ვრგავ და...
ციცქნა კოკრებშიც ყველგან მადლია.

ისე ახლოა ჩემთვის ზეყანა,
ღამით ავდივარ ვათვალიერებ,
აქ ბოღმით ცხოვრობს მთელი ქვეყანა,
და აფასებენ მხოლოდ ძლიერებს.

მე ვტირი როცა სხვა იცრემლება,
სხვისი ღიმილი მაბედნიერებს,
შენ ჩემთან ყოფნა გაგიძნელდება,
რადგან არ ვეძებ მხოლოდ ძლიერებს.

წიგნის ავტორო, წერე და წერე,
გილოცავ კალამს, ძლიერს და მარჯვეს,
ღმერთო, სუსტებსაც ჯვარი დაწერე,
ბედის მწერლებმა დარდს მიაჯაჭვეს.

რა ჰქნას ნისლსს ტვირთავს, გონის მარაგში,
უცხოს და უთქმელს არ ეძებს სიტყვებს,
მისი ლექსია დარდის განგაში,
ჰოდა, დარდიანს ნუ დაიბრიყვებ.

კვლავ  ვიმეორებ მე გიქებ კალამს,
წერე და წერე შენ ნიჭიერო,
თუ გინდა სუსტებს, ნურც ეტყვი სალამს,
მე სუსტიც მინდა ვაბედნიერო.

*** ახალი წლის ნატვრა ***

* * * * * * * * * *

წელს, შობის დღეს ვინატრებდი,
დაგვიბრუნდეს სამაჩაბლო,
დამიმოყვრდეს თუ მყავს მტრები,
ყვავმა თავზე არ დამჩხავლოს.
აფხაზეთში ქართველების,
კვლავ განახლდეს სახლის ბუდე...
რთველის დროს კი კახელები,
ძმებს საშველად გამოუდგეს.
ვინატრებდი  შობას დილით,
დაიბანოს მზემ კვლავ პირი...
არ ვიტირო ცხრა აპრილით,
დაიბადოს ბევრი გმირი.
ვინატრებდი ისეთ ქართველს,
რომ ლუკმა არ დამაყვდროს,
სიყვარულის ღვინით დათვრეს,
მტერი არსად დამახვედროს.
ვინატრებდი დამიბრუნდეს,
ნდობა ჩემი ნატვრის თვალის,
ამოვიდეს რაც დავბუდნე,
ერთგულების ღვთის მარცვალი.

ხალხს ვუყვარდე როგორც დედა,
ერთად დგომით გული გულობს,
რომ ჩემს ამაგს ღმერთი ხედავს,
შვილებმა არ მიორგულონ.
ვინატრებდი შეცდომები,
აპატიოს ყველას ღმერთმა,
თითქმის ბევრს აქვს ეს ცოდვები,
რომ გახადეს ფული კერპად.
ვინატრებდი იმ სიყვარულს,
დედაშვილურს, გულწრფელს, წმინდას...
დედა რომ შლის სუფრას ზღაპრულს,
არ დარდობს და არის მშვიდად.
შობას თოვლიც მოსულიყოს,
ფიფქმა ბარდნოს იანვარში,
თებერვალში წასულიყოს,
მარტმა არ გამხვიოს შარში.
არ გაყიდოს მიწა ფულზე,
არც ნენემ და არც აჩიკომ,
მერცხლის გუნდმა გაზაფხულზე,
ბევრი ბარტყი გამოჩეკოს!

**წარმატებები ქალბატონ გულნაზის პირად და სამწერლო ასპარეზზე. უფლის წყალობა ჰქონოდეს მუდამ!**

**(ავტორი)**

## ეთერ ჭელიძე



სპეციალობით ფინანსისტ-ეკონომისტი, გახლავთ მაღალ-მთიანი სვანეთის მესტიის რაიონი სოფელ უშგულიდან. არის ოთხი პოეტური კრებულის და ალპებში დაღუპულ ლეგენდარული მთა-მსვლელის მიხეილ ხერგიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის ,,კაცი ლეგენდას“ ავტორი. ქალბატონი ეთერი არის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის და ფაზისის აკადემიის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მიღებული აქვს ჯილდო - თამარ მეფის ენდალმა, წლის რჩეული პოეტის წოდება. გახლავთ დეკანოზი ამირან ამირანაშვილის წიგნის „ჩემი წუთისოფელი“-ს რედაქტორი.

წარმოგიდგენთ ქალბატონ ეთერის ლექსებიდან მცირეს, რომლებიც ნათლად წარმოადგენენ მის შინაგან სამყაროს:

### დავდივარ და ვეფერები...

დავდივარ და ვეფერები ქარის ნაცემ ფოთლებს...
და ოცნებებ შემცივნებულს მზეს ვუკერავ სამოსს,
შემოდგომა დროის ჯვარცმამ ისე გადახოტრეს
ჩიტი ტოტზე მოკალათდეს, სულ ამაოდ ლამობს...

დედამიწა ფორიაქობს და არც იცის რა ქნას,
შეუთბილოს უბე რარიგ კეთილსა და ბოროტს,
აზვირთებულ დარდის გორას ვინმემ ხმალი დაჰკრას,
მისავალი მიეზღვასო ჭკვიანსა თუ გოროზს...

თორემ ლურჯი საუკუნე ნარინჯისფერ ზღაპარს
სულ ოქროსფერ წვიმის სირმით დაგიწნავს და გეტყვის,
მონაცრისფრო წვიმა ბადით შემოქარგულ ფატას,
ახლა ნეფე მოირგებსო საქორწილო ეტლით...

შენ არ შეგრჩა, ჰო, არ შეგრჩა გაოცების ძალა
მშვილდისარით მონაფხრეწი შუბლზე გაზის ძარღვი
და შენს მიღმა თუ რამ ხდება ოსტატურად მალავ,
რომ გამოჭრა სიყალბისგან სინამდვილის თარგი...

ოი ჩემო, ვერშემდგარო მართალ კაცის ყოფავ,
ბეჭზე მძიმედ მოგდებულო გაგლეჯილო ფესვო,
აგერ მუხის მტევნის ჯორკო ისე იფხანს კეფას,
ვერ შესმული ფიალითაც უნდ ამოგთქვა ლექსო!

**ველი...**

ვიხდენ ბედნიერის ღიმილს,
ვუძლებ საწუხარის მალვას,
ვმღერი, მეტირება, მაშინ
ნისლებს მზიან გულში ვმალავ...

ვითმენ უპოვარის დუმილს,
ვუსმენ სიყვარულის ბღავილს,
ველი, გადაივლის შუღლი...
მორჩა დრო, სიმართლის მალვის...
ველი, გაზაფხულის კვირტებს
ახლად აფეთქებულს ბაღში,
სანამ სულ წავხდებით, ვიდრე
ვიდრე თავს ამოვყოფთ ლაფში...
ვტკეპნი დაცალებულ ქუჩებს,
ვეძებ გადახვეწილ მახვშის!
ვუსმენ უცხო ენას უჩვევს,
გზები დამეკარგა სახლის!
ველი დედის ნანას ნამღერს,
ველი, ყაყაჩოსებრ ქალწულს,
ქალი ქორ-წიწილებს დასდევს,
მზერას აისხლიტავს ვაჟურს...
ველი ყარაჩოღელ ქართველს,
ამაყს, ქედმოუხრელს, ნამდვილს,
დედას, სანთელივით ნათელს,
კაცის დაფასებულ მანდილს!
ველი გარიჟრაჟის ველზე
ჯაჭვისპერანგიან მამულს,
ქართულ სულის მეციხოვნეს
მზეს, ერთობით შემორაგულს!

ვიხდენ ბედნიერის ღიმილს,
ვუძლებ საწუხარის მალვას,
ვუხმობ სამშობლოდან წასულს
ნისლებს, მზის გულში რომ მალავს...

05.02.2023

**ლალი სოხაძე**



დაიბადა 1967 წლის 18 ივნისს ქ. თბილისში. სწავლობდა ქ. რუს-თავის N18 და N15 საშუალო სკოლებში. მან მე-8 კლასიდან (1982 წ) სწავლა გააგრძელა რუსთავის ქიმიურ ტექნიკუმში - არაორგანული და მინერალური სასუქების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ (1986წ) მუშაობა დაიწყო რუსთავის ქიმიურ ქარხანაში ,,აზოტი,, - სოდა გამხსნელ საამქროში- ცვლის უფროსად. 1989 წელს გადავიდა N3 სამშენებლო სამართველოში აღმრიცხველად.

1990 წელს ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში-სამრეწველო სამოქალაქო მშენებლო-

ბის ფაკულტეტზე. 2004 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ფაკულტეტი.

2001 წელს მუშაობა დაიწყო ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად ასპინძის მუნიციპალიტეტის იდუმალის საჯარო სკოლაში. 2007 წლიდან იგი ამ სკოლის არჩეული დირექტორია. 2014 წელს დირექტორობის ვადის გასვლის შემდეგ, ჩააბარა შესაბამისი გამოცდები, რის შემდეგაც კვლავ არჩეული იქნა დირექტორად. 2014 წელს მასწავლებელთა სახლში პარალელურად ჩააბარა გამოცდები-პროექტი ,,ასწავლე საქართველოსათვის“, და მოიპოვა კონსულტანტ-მასწავლებლის სტატუსი. პარალელურად 2018 წლის ჩათვლით მუშაობდა მეორე ცვლაში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გორელოვკის N3 საჯარო სკოლაში ქიმიის კონსულტანტ-მასწავლებლად.

2016-2020 წელს, ასევე პარალელურად მუშაობდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ორლოვკის საჯარო სკოლაში - ქიმიის კონსულტანტ მასწავლებლად, ხოლო 2018-2020 წლებში ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად. 2019 წლიდან არის უფროსი მასწავლებელი და დღემდე ასწავლის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიას.

იგი დაოჯახებულია - ჰყავს 6 შვილი და 7 შვილიშვილი. მეუღლე-როლანდ აბულაძე არის უმაღლესი განათლებით და მუშაობს მათემატიკის მასწავლებელად იდუმალის საჯარო სკოლაში, ასევეა კონსულტანტ მასწავლებელი მათემატიკაში.

ქალბატონი ლალი გახლავთ, საქართველოს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი. არის თანაავტორი პროექტ "ლექსის აკვანი"-ს მე-8, მე-9 და მე-11 ტომებისა. მისი ლექსები დაბეჭდილია ჟუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის ჟურნალ „ათინათი"-ში და ანთოლოგიაში. იგი გატაცებულია პოეზიით. გამოქვეყნებული აქვს მრავალი საინტერესო ლექსი. მომზადებული აქვს ლექსების კრებული გამოსაცემად.

წარმოგიდგენთ მის რამოდენიმე ლექსს:

**სამშობლოს**

ჩემო სამშობლოვ, მეძახი ვხედავ
და ყურში მესმის შენი ბუბუნი!
ახლა მარტო ვარ ჩემს ტკივილებთან,
ვერვინ გაიგებს ჩემს ქვითინს, ვიცი...
მე, მინდა ვიყო კოლხი მედეა,
აღარ დავუშვა შეცდომები სიყვარულისთვის,
მე, გულით მინდა, დაგიბრუნოთ საწმისი
და გაგიქარვოთ მწუხარება, დარდი-საწყისი!
მე, უნდა ვიყო წყნეთელი გოგო,
ვაჟის სამოსი ჩავიცვა თანაც
და აკვნის რწევის სანაცვლოდ ისევ,
ქამარ-ხანჯალი ავისხა კვლავაც!

ყველა ტკივილი იძინებსო,
არ მითხრათ ახლა!
ჩემო სამშობლოვ, რა გიშველო,
ა რ ვ ი ც ი ა რ ა...

* * *

ჩემო თავო, რად მინდიხარ ეული,
სულ არ მინდა ვიყო გამორჩეული,
მაგრამ გული ისე მიცემს მალიმალ,
როცა ვფიქრობ, მე სამშობლოს ვალი მაქვს!
ისევ დარდი, ისევ მტერთა ბოგინი,
ქართულ ენის აღზევების ლოდინი,
როს იქნება, ქართველთ გენი გამრავლდეს?!
საქართველო, აღშენდეს და გალაღდეს!
ეხლა, გონი მოვიკრიბოთ ქართველნო,
ერთმანეთის ბრძოლა არვის ვაჩვენოთ,
ერთურთს გვერდში უნდა ვედგეთ უცილოდ,
მტერი კვლავ, რომ ისევ არ გავაცინოთ!

## მე, ნეკნი ვარ

მე, არ ვარ ცოლი... მე, ნეკნი ვარ შენი ნაწილი,
შენი დარდი ვარ, შენი სევდა, თან სიხარული,
შენი სხეულის ყველა უჯრედს ვიცნობ ფ ა რ უ ლ ი,
და შენი სულის გასაღებად ვარ მ ო ა რ უ ლ ი.

ვერ გამექცევი- მე ნეკნი ვარ შენი ნაწილი,
შენი დარდი ვარ, შენი სევდა, სიტყვის ადგილი,
ომს მოინდომებ დაგიხვდები, გაგიკვირდება,
ეს გაბრაზება რომ მოგკერძე რა რიგ გიხვდება.
სულ დამეძებდე, დღე და ღამე ჯავრად გიქციო,
არც გაბედო, რომ ეს სტრიქონი შორს გამიქციო.
ისე გაგკენწლო რომ რითმებში მარცვალს ითვლიდე,
მაპატიეო შავთვალებავ შორით მითვლიდე.
მეძებდე ყველგან, სურვილი გაქვს
კვლავ მაქციო, ისევ ფარულად?
ვერ გრძნობ, სიყვარულს
გაუმართავ შენთან მარულა !

**ლიანა ალადაშვილი**



დაიბადა 1957 წლის 14 აპრილს ქ. დედოფლისწყაროში. 1975 წელს დაამთავრა დედოფლისწყაროს საშუალო სკოლა.

1975-1977 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის საბიბლიოთეკო სას-წავლებელში. 1992 წელს სწავლა დაიწყო მედეა ფანიაშვილის სახე-

ლობის სამუსიკო პედაგოგიურ ინსტიტუტში ხალხური საკრავების სპეციალობაზე და 1996 წელს მიენიჭა პედაგოგის კვალიფიკაცია. 1979 წლიდან მუშაობდა ქ. დედოფლის-წყაროში თავდაპირველად ბიბლიოთეკაში და შემდგომ კულტურის სახლში სამხატვრო ხელმძღვანელის პოზიციაზე. სკოლებში ასწავლიდა ხალხურ სიმღერას და მუსიკალურ საკრავებზე დაკვრას.

ჰყავს ერთი ვაჟიშვილი - ვალერი ლეკაშვილი.

2022 წლიდან არის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიან საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი.

ქალბატონი ლიანა დაკავებულია პოეტური საქმიანობით, 2022 წელს გამოსცა ლექსების კრებული სახელწოდებით „ფიქრის მეწყერი“

ქალბატონ ლიანას პოეზიიდან წარმოგიდგენთ რამოდენიმე საინტერესო ლექსს და ვფიქრობ იგი საინტერესო გახდება მკითხველისათვის:

**არაგვო**

მდინარის დინებას გავცქერი,
ხანაც კი დაჭრილ გულს ვუყურებ,
ღირდა კი ცხოვრება მაშინაც,
როცა გულს ფიქრებით აპურებ.

არაგვო, ვაჰ გულს ვერ ჩასწვდები,
მიდიხარ ტალღების ღრიალით,
შეწითლდა ცრემლებით ღაწვები,
დარდი და ქარის ტრიალით.
შენ ისე სწრაფად მიდიხარ,
მოგდევ და ვეღარ გეწევი,
ვხედავ რომ აღარ გინდივარ,
დამღალავს ფიქრის მეწყერი.

**სამშობლო**

ერთია ჩვენი სამშობლო,
წმინდა სამოთხის კარი,
აქ, ხორნაბუჯის ციხე დგას,
ამას საუბრობს მტკვარიც.
ხელის გულივით ეტყობა
ენამთას ნასახლარი,
ისევ იხსენებს ნატყვიარს,
წარსული მთა და ბარი.
იდუმალებით მოცული,
მთა-ბარი არწივთ ბუდე,
სამარხებს ამოუცნობებს
რა საიდუმლო უდევთ.

მზე აწეულა ცის თაღზე,
დაჰყურებს არემარეს,
ესაუბრება წარსულზე,
სიჩუმით ღამის მთვარეს.

**მზია ელიაძე**



დაიბადა 1964 წლის 08 დეკემბერს ქ. დედოფლის-წყაროში. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, სწავლობდა: 1981-1984 წლებში - თბილისის ი. გოგებაშვილის სა-ხელობის სახელმწიფო პედაგო-გიურ სასწავლებელში; 1993-1995 წლებში - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტში, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტზე.

მუშაობს ქ. თბილისის 179-საჯარო სკოლაში -დაწყებითი სწავლების პედაგოგად. წლების განმავლობაში მუშაობდა 196-ე, 179-ე საბავშვო ბაგა-ბაღებში აღმზრდელად და მეთოდისტად; პარალელურად მუშაობდა სკოლაში პედა-

გოგად - დაწყებით კლასებში. იგი სამჯერ იყო წარდგენილი წლის საუკეთესო მასწავლებლად. დაჯილდოებულია ფულადი პრემიით, საჩუქრებით, სიგელებით, მადლობით. ავტორია 5000-მდე ლექსის; ასევე წერს პროზაულ ნაწარმოებებს, ზღაპრებს, მოთხრობებს, ჩანახატებს, გამოცანებს. ადგენს: რებუსებს, კროსვორდებს.

ქალბატონი მზია გახლავთ: საქართველოს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი და მინიჭებული აქვს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია - როგორც პედაგოგს. ასევე არის საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია "ქალდეა-საქართველო"-ს ნამდვილი წევრი. გახლავთ წიგნის ელექტრონული ვერსია "საბას" თანამშრომელი. წლებია ჩაშვებული აქვს პოეზიის ორი წიგნი სახელწოდებით: "სულის ამოძახილი" და "მზის და მთვარის, ვარსკვლავების სადარო, შენ ძირძველო და ნეტარო ანბანო".

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

წარმოგიდგენთ ქალბატონი მზიას ლექსებიდან რამოდენიმეს:

**ნისლთ ამოუვსავთ ხევ-ხუვები**

ნისლთ ამოუვსავთ ხევ-ხუვები,
თრთიან ხეთ ტოტებზე ფოთოლნი;
ცივ-ცივ, ახორკლილი ნამ-წვეთები სცვივა
ფოთოლთ წყვილ-წყვილ, ორ-ორი...
მზე ცად ძალას იკრებს,
ბეჩავი ვეღარას ახერხებს ყინვის წინ.
ჯანღი, ბურუს-ნისლი მედგარი
ფეხქვეშ გაწოლილა მიწის პირს.
მიწად ჩამოსულა ნეტარი-
ყინვის დედოფალიც, ფეხმარდი
თეთრი ყაბალახი, ნაბადით
ქარგავს მამულს ფიფქით-ნაფანტით!..
ნისლთ ამოუვსავთ ხევ-ხუვები
ჰა, გაშიშვლებულან ხეთ ტოტნიც.
ცვარი ხშირია და თანმდევი
ზამთარი, კუთვნილ ხნის მომთხოვნი!..

2020

## მთაწმინდაზე ჩაუმუხლავს მთვარეს

მთაწმინდაზე ჩაუმუხლავს მთვარეს
ნათელს აფენს მარადიულ გმირებს.
ფართო სახით კოცნის წინაპართ ძვლებს
წმინდა მამის-დავითის* სიწმინდეს!..
პოეტთ, მწერალთ, მხატვართ, მასწავლებელთ
ზეციური მამული ირჩიეს...
სიწმინდეა, ჩვენი სისპეტაკე
ყოველ ქართველს ჭდედ რომ გულზე ადევს!..
---თუ მამული არ იქნება უკეთ
რა აზრი აქვს მიწაზე სიცოცხლეს?!
იდუმალი მდუმარება სუფევს
თითქოს, წამიც გაჩერდაო უცებ!..
მთაწმინდაზე ჩაუმუხლავს მთვარეს
ეფერება მარადიულ გმირებს.
გმირ-ქართველებს, ვაჟკაცებს, ასულებს,
რომელთაც ერს ეპოქა შეგვიქმნეს!..

*მამა დავითი-13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთი, აქ; დავით გარეჯელი

07.05.2019წ.

* * *

ყვავილ-ყვავილ, კოკორ-კოკორ,
ბილიკ-ბილიკ, ფოთოლ-ფოთოლ,
ბალახ-ბალახ, ტყე-ტყე, გორ-გორ,
ფლატე-ფლატე, ხევ-ხევ, ხროვ-ხროვ
მოუჩითავთ ლურჯ-ლურჯთ ჯგრო-ჯგროდ
ველი მდელო იცით, როგორ!..
ია-იას, კოკობ-კოკობ,
ყოჩივარდას, მიწად ბოლქვ-ბოლქვ,
ენძელას კი ნაზ-ნაზ, სათნოს
უბნევია ნამი მძივად.
ალმას-ალმას, მისხალ-მისხალ
საოცნებო, წრფელი, წმინდა!..
ყვავილთ, ყანად ჩაკარგულებს
მოლივლივეთ, მოგიზგიზეთ,
ხევ-ხევ, ჩქერ-ჩქერ, ფლატე-ფლატე
ბალახთ ზღვაში ჩაკარგულებს.
მზით, თოვლს მდინარედ ნატირებს
უფრქვევია ნამი გულზე!..
თეთრ, ქათქათა ნაზ-ნაზ ღრუბელთ
იალ-ციალ მოლივლივეთ.
ღვთის პირნაბანს, წვეთ-წვეთ ნამცვრევს
ყველა კრძალვით იცხებს გულზე...
ყვავილთ, სამყაროს სიმშვენეს
უფრქვევია სათნო სახეს!..

17.05.2019წ.

## ხათუნა ელიაშვილი



დაიბადა 1964 წლის 8 აგვისტოს. გაიზარდა მცხეთის რა-ნი სოფ. მისაქციელში.

სკოლის დამთავრების შემდეგ მალევე შექმენა ოჯახი, ჰყავს მეუღლე, შვილები - ქალ-ვაჟი, სიძე და შვილიშვილი.

გახლავთ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიისა და მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველოს" ნამდვილი (აკადემიკოსი) წევრი; საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მას მინიჭებული აქვს ბეჟან ხარაიშვილისა და მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიები. მიღებული აქვს ჯილდო - თამარ მეფის ენდალმა.

აი როგორ წარმოგვიდგენს თავს ქალბატონი ხათუნა:

„ვარ განსხვავებული აზროვნებით, ჩემი შეხედულებები სამყროსა და ღმერთს ეკუთვნის, აქ უსასრულობაა. ამიტომ ჩემი პოეზიაც განსხვავებულია, ვარ ძიებაში და ვხედავ, ვხსნი ჩემთვის საინტერესო და მნიშვნელოვან სიტვას, აზრს, საგანს. ვფიქრობ, რომ რაც უკვე დრომოჭმულია უნდა მოვიშოროთ და ახლის ძიე-

ბისკენ მივმართოთ გონება. გამოვიყენოთ ღვთის სიტყვა, რომ ის პირველია და მნიშვნელოვანი! ვინც შეიცნობს სამყაროს, მისია და მასში იწყებს ყვავილობას. ეს ბუნების კანონიცაა.

წარმოგიდგენთ ქალბატონ ხათუნა ელიაშვილის ლექსებიდან მცირეს:

**გული ღმერთია!**

პირველსაწყისებს გულიდან გავშლით
და სიყვარულში შევავსებთ ზეცას.
სიტყვებით მარად ვპოულობთ ნამდვილს,
სულიერ მარცვალს ავტყორცნით ზეცას.

საწყისის ხედვით მიზანთან ვხვდებით,
ღირებულება ჩვენში ბევრია,
უკვდავი ნება სიყვარულს გზავნის,
ეს ერთადერთი სული ჩვენშია.

აღმოცენდება მიწის გულიდან,
აყვავილება დროის ხვედრია,
ჩვენში ნამდვილი, ის ერთადერთი,
ის ერთადერთი, გული ღმერთია!

**საქართველოს პატრიარქს!**

პირველთაგანი! სიტყვა, საგანი,
არის ღმერთი და ჩვენ მისთაგანი.
მისებრი სახით, ღმერთის მაგვანი,
მოვლინდა ჩვენთან ნათელთაგანი.
ცისკრის ვარსკვლავი ზეცათმპყრობელი,
ამაღლებს რწმენას ნათელმყოფელად.
დასაბამიდან მიწად შობილა
და გახდა სხივი ღმერთისმყოფელად!
და ერი ჩვენი საჭეთმპყრობელმან
სულიერ ძალთა ნებამყოფელობით
გზა დაგვიმწყემსა და დაგვილოცა
მუდამდღე ლოცვით გვხვდება მოძღვარი.
უფალთან დადის პირველოსანი,
სწორთაგანი და მახვილოსანი,
სიტყვა მგოსანი პატრიარქს ერგო
სხივით ფრთოსანი სამყაროც ენდო.
და ყოველივე, ყოველდღე გვერგო,
ჩვენ კი სინათლედ აღვიქვით ღმერთო!

**ზედა-ზნის მთებო!**

ზედაზნის მთებო, მთებო და გზებო,
შენს კალთებიდან მდუმარე ხმებო,
ღრმად მოაზროვნე მაღალო ხედო,
გარინდულ მგოსნის ციალთა ექოვ.
ზედაზნის მთებო ვმაღლდები შენში,
უკვდავებისთვის მეტყველი ვხდები,
ცნობიერების ხმა მავსებს შენი
მაღალი მთების მზეს შეედრები.
ზედაზნის მთებო, მთებო და გზებო
აზრების კონავ საზრისში ვტკბები,
თრობაა ჩემში შეგიგრძნე ფერში,
მოწყურებული შევედი შენში.
სიტყვაში გპოვე, ღრმა ცოდნის ველში,
მთის სიდიადე მაღლდება ღმერთით,
ზედა - ზნის მთებო მთებო და გზებო,
მოლურჯო ციალს ნამდვილი შერჩი!

## იზა ჭიკაიძე



საქართველოს ერთ-ერთ ლამაზ კუთხეში, კახეთის ისტორიულ სოფელ ველისციხეში დაიბადა და გაიზარდა. სპეციალობით ფილო-ლოგია. წლების განმავლობაში მიშაობდა მასწავლებლად, სკოლის დირექტორად, განათლების სამინის-ტროში - მეთოდისტად, უნივერსიტეტში - დოცენტის თანამდებობაზე, ხოლო ბოლო 25 წელი საქართველის პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის ადმინსტრაციებში იღვაწა - რედაქტორად, რეფერენტად და მრჩევლად.

ქალბატონი იზა ფილოლოგიის დოქტორია, საქართველის მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, მას ანა კალანდაძის სახელობის პრემია და ქართული კულტურის ამაგდარის წოდება მიენიჭა. არის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიის წევრი.

პოეტს დღემდე გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: "ვედრება" (1992), "გაზაფხული" (1998), "რაი არს ნეტარება" (2002), "მე დავიბადე ქრისტეშობისას" (2010), "ას ერგასი ლექსი" (2012), "ზამთრისპირა ლოც-

ვები“ (2021).

"მეც ქართველი ვარ" იზა ჭიკაიძის ლექსების მეშვიდე კრებულია. მასში საქართველოს გმირულ წარსულთან ერთად თანამედროვე ყოფაა გადმოცემული ამჟამინდელი ტკივილებითა და სიხარულით. წიგნში ყოვლისშემძლე უფლის, აგრეთვე, ადამიანთა სიცოცხლისა და სიყვარულის მარადიულობის საგალობელიც მადლიანად ხმიანობს.

დიდი პატივისცემით წარმოგიდგენთ ქალბატონ იზას ლექსებიდან მცირეს:

**განთიადი**

ცაზე სიხარული ამტეხია...
თავზე განთიადი დამტეხია...
წამომდგომია მზე,
დედაჩემის თვალით რომ მზერს,
მლოცავს და მანიშებს - ადექიო,
ციდან წვიმს სიხარულის ნატეხიო...
პეტრეს სინანულს და მეზვერის ღაღადს,
მეძავის ცრემლს მზე თვალებს სწმენდს...
ცაზე სიხარული ამტეხია...
თავზე განთიადი დამტეხია...

## დავაბიჯებ

დავაბიჯებ საქართველოს შარა-გზებზე,
სიყვარულს ვფენ ყოველ დილა გამთენიას,
მდაბლობის და საკეთილო საქმის გამო
ჩემს გეგმებში ჯერ სიკვდილი არ წერია!..

## მე ქართველი ვარ

მე ქართველი ვარ და პატრონი ღვთისმშობლის მიწის!..
ჩემი ფესვები ქართლოსიანთ წლების სწორია,
კავკასიელთა მოვერცხლილი სატევრის ცეცხლის
ისტორიებით ვამარცხებდი მუდამ გოლიათს...
ვაზით და თმებით მოტანილი ჯვრის სიდიადე
გადამეფერა სისხლმდინარე, ძოწისფერ ღვინოდ,
სვეტიცხოველი სიყვარულის ვნებით ირგებდა
ქრისტეს კვართიდან გამოჟონილ მადლსა და მირონს.
ღვთის ხორბალს როცა ფქვავდნენ ხოლმე მხეცის
პირები,
ილოკებოდნენ ბედისწერის ბრმა სურვილები...
იბადებოდნენ ქართველობის ღირსი შვილები,
მომავლის მცველი მოლამპრენი დღესაც გვჭირდებით!..
დღესაც გვეძალვის ზოგჯერ სისხლი ღალატისფერი,
ხან გულფიცხობით გაგვიჭირდა ლელოს გატანა,
ჩასაფრებულმა ბედისწერის უცხო ქარებმა
ავზნიან დღეთა ბილიკებზე ბევრჯერ გვატარა...

ჭირის დღესავით საძულველი სექტემბრის სისხლით
ბზიფსა და ლიახვს მეც ვადინე ცრემლის ღვარები,
კოდორს დავუწვი ნატყვიარი, შავი გვერდები,
ქვეყანავ ჩემო, ნეტავ საით მიექანები?!..
უშნო ხმაურზე ხშირად მტკივა ძველი ფესვები,
პატარა მიწის დიდ ბრძოლებში ზეიმებს ვითვლი,
ოცდამეერთე საუკუნის გონიერება
ისევ ქართველმა არ დამიხშოს მაყუჩის სისხლით!!
ისტორიათა და აზმათა გადასახედთან
თამარ დედოფლის სამეფოის გმირი წიგნიდან,
მუხლისთავებზე გულდაბჯენილ ქართველთა ლოცვებს
ვენუგეშები ღვთისმშობელის ქვეყნის წილიდან:
მეც ქართველი ვარ და მამულის საიავარდოდ
ესეც დიდგულას, ვებერთელა გული ჩამედგა,
სხვას ვერ გპირდები, გულს მოგიძღვნი, სიყვარულს
ღმერთო!
დაუ-ქვით-კირე საქართველოს ახალ საზღვრებად.

**წარმატებები ქალბატონ იზას შემოქმედებით და პირად ცხოვრებაში.**

**(ავტორი)**

# წიგნის ავტორისადმი მიძღვნილი ლექსები:

## - * შთაბეჭდილება *-

ეს წიგნი არა ხმაა ზეცის,
მიწას სცილდება ცაში საუბრობს,
წარსულს და აწმყოს შლის და თან კეცავს,
მას შეაფასებს ალბათ სხვა უფრო.

მე გადავშალე დავიწყე კითხვა,
რომ წაიკითხოთ თქვენც გირჩევთ ყველას,
ალბათ შეაქეს და ბევრიც ითქვა,
მეც შევიმეცნებ თან ნელა-ნელა.

ირიალობას ... თითქოს თან ხედავ,
შორს თვალი გარბის ცის დასალიერს...
წიგნშია ქართვლის, ადგილის დედა
და მეც სიწმინდის წყალი დავლიე.

მადლობა ავტორს ნაშრომისათვის,
ეს საუნჯეა განძია მართლაც...
ხოტბა- დიდება ამ წვდომისათვის,
იანვრის სუსხშიც ო, როგორ დათბა.

შემოვიარე ვანის ბუნება,
ვნახე ყუმერი და კორისწყალი,
ვერ გავუძელი თვალის ცდუნებას,
რა მდიდარია იქ მიწა-წყალი.

მნიშვნელოვანი ვნახე ტაძრები,
სინაგოგა და ვნახე ხარება,
ვერ შევაკავე სულის განცდები
და ვაიძულე რწმენის ტარება.

გულნაზ ხარაიშვილი ( ცისკარელი)

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპრო-
ფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

ლექსი მიეძღვნა ჩემს მორიგ წიგნს - „ჯვარიქედიდან დანახული ჩემი სამყარო“ (ავტორი).

**მწამს, ლაჟვარდებში...**

(ბ-ნ ელგუჯა ადეიშვილს)

იშვიათა დღეს ქვეყნად მადლი,
რაც უშუალოდ უფლისგან არის.
თქვენს ძვირფას კრებულს ვფურცლავ და ვხვდები,
ერთ-ერთი მადლი თქვენ ხომ ბრძანდებით.
ოჯახით თქვენით, -ერით და ბერით,
ვინც წიგნში არის ვინც მამულს შვენის.
ბავშვივით მილხინს თან მერიდება,
მათთან რომ არის ჩემი სურათიც.
მოკრძალებული ბიოგრაფიაც
იქვეა ისე კოხტად, ნატიფად...
არ შემიძლია შორს ვიყო თქვენგან,
ლექსად მადლობა რომ აღარ გითხრათ.
მწერალს! ქველმოქმედს! მოყვასს უბადლოს,
რომელსაც თითქმის ყველანი ვიცნობთ
მწამს, ლაჟვარდებში მამა-უფალმა,
დაბადებამდეც მირონი გიცხოთ.

2022

მზია აკობია-ძაძამია
პოეტი, მწერალი

* * *

სერის ღელეს მოყვებიან
კალმახი და წვერაო
და წყარომაც დაგანათლა
პოეტური ენაო.
ნეტავ ეს კუთხე მაჩვენა
და მერე ვნახოთ ლხენაო.
ყუმურის - ვანის ქვეყანის,
შვილები ჩვენ ვართ ყველაო,
ვოცნებობ რომ მაგ კუთხიდან,
დავძახოთ დელი - დელაო.

2022

ნატო მეფარიშვილი
მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი

საფუძველი: ჩემს (ავტორის) მიერ ფეისზე დადებული მდინარის ფოტო.

# ჩემი მოკრძალებული ლექსები და გამონათქვამები

## ჭეშმარიტება

რთულია, რომ დაივიწყო...
ღვთით მოვლენილი დიდი მეურვე,
ეშმა რადგან გძლევს სულთამხუთავი,
სიკეთის მადლი გვიან შეიგნე.
აღარ შეჩერდე... თავი დაძლიე,
თუ შეგწევს მისი უნარი,
ვერ შეძლებ? გვერდზე გადექი,
მართალს თავისი უთხარი.
დაგძლია ... ბოროტმა ძალამ?
სხვაგან გაგექცა ისარი?
უნდა გახსოვდეს მარადჟამს,
არ გამოგადგა მიზანი.
უმადლე ... მზრუნველ მეურვეს!
საქმე აკეთა ხვთისანი,
წრფელად აუნთე სანთელი,
სანამ არ არის გვიანი.

2022

**სიკეთის ქმნა!**

მადლობელი ვარ სწავლულო შენი,
გამომიწოდე დამხმარე ხელი,
გულით ისურვე გვერდში დადგომა,
უფალმა მარად გილოცოს  დღენი.
მეშვიდე წიგნის სულისჩამდგმელო,
კრებულს ექნება ღირსი  სახელი,
მალე იხილავს ნაშრომს მკითხველი
შენს მიზნებს  მუდამ- ჰქონდეს ნათელი.

2022

**განგაში !!**

ქალი საგორავზე დგება,
ეკარგებათ შვილებს დედა,
როგორც გინდა იმოქმედო,
სხვა სამყარო ვერ შედგება.
კაცი დარჩა უფუნქციო -
სახეცვლილი "ბაიკერი",
ჭკუა - გონება დაკარგა,
დაგვჭირდება "სნაიპერი",
უცხო რჯულზე გადართული,
ხალხი გახდა "ნაირფერი".

ტრადიციულ ვიწრო ქუჩებს,
ვანგრევინებთ - რეფორმისტებს,
შეესივნენ ყველა მხრიდან,
დაემსგავსნენ ნამდვილ "ხლისტებს",
იხარჯება ზღვა სახსრები,
არ უფრთხიან შავ - ბნელ რისკებს.

ქუჩების რეკონსტრუქციას
არ ახდენს - ვისაც ეხება,
მოზღვავებული ტრანსპორტით
გვესპობა თავისუფლება.

გზაგამტარებს და პონდუსებს,
აღიქვამენ უცხო სახედ,
თუ დიდხანს ასე გაგრძელდა
აღმოვჩნდებით ქალაქგარეთ.

გზის ნახევარს "ველო"-ს ვუთმობთ,
დანარჩენს კი მრბოლველ "ვინმეს",
გავიღვიძოთ გამოვფხიზლდეთ,
სანამ თავი, სადღაც ... გვიკრეს.

წაგვლეკა "მოტოსამყარომ"
მდიდრდება გადამთიელი,
საჭმლის მიტანით ემსახურება მავანს,
დიდი ნაწილი კვდება - მშიერი.

გამოგონილმა ინვესტიციამ,
დაღი დაასვა ნამდვილ ეროვნულს ...
ვკარგავთ სიმდიდრეს ვმარხავთ სიწმინდეს,
ახალ სამყაროს ვეტრფით - ხელოვნურს,
მიწა - წყალს გვართმევს გადამთიელი,
გულში ვიხუტებთ - მოხვეწილ ველურს.

ადგილობრივებს არ ჰყოფნის ფული,
ბიზნესს მიხედოს საწადელს,
უცხო ქვეყნიდან მოსულებს
მხოლოდ სიმდიდრე ადარდებს,
არ დაგიდევენ ეკოლოგიას,
მრავალ სენსა და ჭირსაც გადამდებს.
ძირძველზე აღარ ფიქრობენ,
შეექმნას გზები სიკეთის,
ულუკმაპუროდ მიტოვებულ ხალხს,
როგორ ეშველოს - აბა ვინ გვეტყვის ??

2021

**წიგნი "აისი"-ს მთ.რედაქტორს - ქ-ნ თამარ ფოფხაძეს**

თამარმა დროშა აღმართა,
ქალია სულით მაღალი,
მშვიდობის მოტრფიალეა,
დიდ წრეში ალალ- მართალი.
უნარს ფლობს ყველა შეიცნოს,
გვერდში დაუდგეს - ვისაც სჭირდება,
მტკიცედ აღიქვამს ურთიერთობებს,
თავსაც გასწირავს - თუ დასჭირდება.
ბედნიერია, დიდი თამრიკო,
მას გვერდში უდგას პირმშო - ვერიკო,
წარმატებული ქალი მართალი,
ბრწყინვალე არის მისი - ნატალი.

მოწინავე და ძლიერი - სანდო,
მომავალი ჰყავს ვაჟკაცი -სანდრო,
მხარს უმშვენებენ დედმამიშვილი -
კონსტანტინე და მარინა - მშვიდი.
სამყაროს ქმნიან შთამომავალი,
ნინო, ნიკუშა - ხატია გვანცა,
დიდება უფალს, რომ გავიხსენე,
ბრწყინვალე ხალხი, ცალკე არ დამრჩა.

2021

**გაჭირვება !!**

მოვედი და მოვიტანე,
განძი ტვინის ნაყოფი,
უფრო მეტი მინდოდა და
ფული არ მაქვს, სამყოფი.
გამოვხატე, გულისწყრომა,
წიგნი მსურდა ათასი,
ვერ შევძელი, ვერ დავბეჭდე,
იმედი მაქვს? - "არავის" !!
უფალს შევთხოვ, რომ დავძლიოთ,
ქარტეხილი სირთულის,
ცხოვრების გზა მომანიჭოს,
წინსვლისა და სტიმულის.

(ეძღვნება: წიგნი - "აისი"-ს გამოცემას)
2021

## რაღაცა

რაღაცა მიკვირს, რაღაცა არა
რაღაცა - გამიკვირდება,
უხერხულ ქცევას მოვერიდები -
სანამ არ გამიჭირდება.
რაღაცა მიყვარს, რაღაცა არა
რაღაცა შემიყვარდება,
უხერხულ ქცევას ვეღარ მივმართავ,
სანამ იგი არ მჭირდება.
რაღაცა მძულს და, რაღაცა არა
რაღაცა კი შემძულდება,
უხერხულ ქცევას არ გავაგრძელებ
სანამ ის - არ დამჭირდება.
რაღაცა მინდა, რაღაცა არა,
რაღაცა არ მომინდება,
უხერხულ თხოვნას ვერ გავაგრძელებ,
თუკი ვინმეს არ სჭირდება.
რაღაცას ვეძებ, რაღაცას არა,
ზოგჯერაც ძებნა არ მომინდება,
უხერხულ ძებნას არ გავაგრძელებ
რაკი არავის სჭირდება.
რაღაც მაწუხებს, რაღაცა არა,
რაღაცა კვლავ შემაწუხებს,
უხერხულ წუხილს არ გავაგრძელებ
თუკი ამ ქცევით ყველა წუხდება.

2019

**ჭკვა, უხმარ არს...**

ჭკვას, როცა მოვლა სჭირდება
მკურნალის მიმართოო იქნება,
რომ არ აკეთებ სიკეთეს
უნარ - ჩვევებიც კნინდება.
ჭკვას, ზოგჯერ უნდა ცვლილება
იფიქრე - ნუ გეწყინება,
მწვერვალებს მოდი შეეშვი
სამყარო მანდ არ იწყება.
ჭკვა, თუ გაქვს ბედნიერი ხარ
ეცადე გამოიყენო,
სხვებსაც შეხედო კარგია -
ზიანი არ მიაყენო.
ჭკვა, თუ არა გაქვს -ეძებე,
იქნება მალე იპოვო,
თუ ვერ ახერხებ შეძენას,
იტყვიან "ბეცი" იყოო.
ჭკვა, რომ გაქვს მიდგომაც გინდა,
ნუ აჩქარდები "ელანძე",
სიტყვებს მომდგარსა ენაზე,
ხშირად ნუ ფანტავ ყველაზე.
სხვისგან სწავლებამ ჯვარი დაგწეროს
იფიქრე უფლის მცნებაზე,
იქნებ აჯობოს ჭაობში ყოფნას
მეტი იფიქრო მორალზე.

2022

**დავიცვათ სიტყვა ქართული**
(გაგრძელება)

„ა პ ლ ი კ ა ც ი ა“ **მორგებას** ნიშნავს,
არ დაგაბნიოთ ფრთხილად იყავით
"მიდებაც" ჰქვია, ამ უცხო სიტყვას,
როცა მიხვდებით ... მაშინ მითხარით.
„ი ვ ე ნ თ ს“ ვუწოდებთ **ღონისძიებას**
არ გაგიკვირდეთ მართლაც მახეა,
აზროვნებიდან გადის ქართული
ნატიფი ენა სხვამ აგვახია.
“ქ ე ი თ ე რ ი ნ გ ი“ დავარქვით
**საკვებით მომარაგება**-ს,
პური და ღვინო... თუ ქართულია
რატომ ვაკეთებთ - სხვის აღმაფრენას.
„ფ უ რ შ ე ტ ი“ როცა დაერქვა
ამით შეცვალეს **ჩანგალი**,
ფეხზე დადგომით უნდა მიირთვათ
სტუმრის კუთვნილი მცირე საგზალი.
“ს მ ა ი ლ ს“ **ღიმილი** გიჯობდეს
შეხედულად და გრძნობითა,
არ გინდა სმაილის ხილვა
შენ ქართველი ხარ მოდგმითა.
„ვ ი ზ ი ტ ო რ ი“ თუ სტუმარს შეცვლიდა
ვეღარ ვირწმუნე კარგახანს,
არც **მნახველია** ურიგო, მაგრამ ...
ძალა ხშირად ხნავს აღმართსაც.

“ფ ე ი კ ი“ თურმე **ყალბია**
სად გაგონილა ტყვილი ამდენი,
"ფსევდო" სახელის მატარებელი
ვამხილოთ ცოდვის ყველა ჩამდენი.

“ი მ ი ჯ ი“ **სახე** გამხდარა
ფაქტი მაკვირვებს ძალიან,
სახე, ყოველთვის სახე მეგონა,
ცოდნას ვიმაღლებ ხვალიდან.

„ქ ა ს თ ი ნ გ ს“ **შერჩევა** აჯობებს
მერწმუნეთ ყველას აზრია,
თუ ვერ შევარჩევთ ღირსეულს
ბრალდება ჩვენზე ნაღდია.

„ს ტ ა ფ ი“ რომ რთულად აღიქმის
არ შემებრძოლოთ სწორი ვარ,
**თანამშრომლების** სახელით
ყველას დევგმირი ვგონივარ.

“ო ფ ც ი ა“ **არჩევანს** ნიშნავს
ყველამ ვერ იგრძნო - ეს თავის დროზე,
ოფციის ნაცვლად, არჩევანს ვიხმართ
ყველა გვეხილოს - თავის მინდორზე.

2023

**იმედის ძაფი !**

ძაფი თუ გაწყდა ურთიერთობის,
ვეღარ აღადგენს -მხარე ვერც-ერთი,
უნდა ეცადონ მის გაწყვეტამდე,
ფრთხლად რომ იყოს - თუნდაც ერთ-ერთი.
ცუდად მოქმედებს ცრუ გაფრთხილება,
უმალ იმსხვრევა ნდობის ეფექტი,
სახეზე არის ჭეშმარიტება,
ძაფის გაწყვეტა-მძიმე შედეგით.
ურთიერთობა მყარი საფუძვლით,
თუ არ შენდება განწირულია,
ვინც გინდა ფლობდეს ერთ დროს სადავეს -
ყოველი გარჯა აღმა ხნულია.
თუ გაწყდა ძაფი ურთიერთობის,
ვეღარ აღადგენს -მხარე ვერც-ერთი,
უნდა ეცადონ მის გაწყვეტამდე,
ფრთხლად მოიქცეს - თუნდაც ერთ-ერთი.

2022

**სიცოცხლე გვასწავლის!**

განვლილი დრო დაგვანახებს,
ზოგადად ურყევ ვნებასა,
სარწმუნო შეხედულებით,
ბევრი დაეძებს შვებასა.

ყველას შევიცნობთ ადრე თუ გვიან,
ბევრსაც დავარქმევთ მორგებულ სახელს,
ვერასდროს ვშველით უკვე გარდასულს,
ვეღარ მივაღწევთ ნებას საწადელს.
მეუღლეს მხოლოდ მაშინ შევიცნობთ,
როცა დადგება დღე განშორების,
ძმებსაც, კი... ნათლად მაშინ ვიხილავთ,
როცა იყოფა - კერა მშობლების.
შვილებს გავიცნობთ - როს მოვხუცდებით,
მეგობრებს კიდევ - ღრმა განსაცდელში,
გავითავისოთ ეს შეგონება,
გულსაც მიდგომა -სულ სურს უცვლელი.

"ასეთია თქმულება"

2022

*** * ***

ოაზისს ვარდი უყვავის,
საოცარია სურნელი,
ვინც ეს მშვენება იხილა,
მოწვევა ჰქონდეს ულევი...

თბილისი, პლატოზე მწერალთა ოაზისში
2022

* * *

როს ! მოევლინე სამყაროს,
სიკეთის კეთებისათვის,
უფალმა გლოცოს მუდმივად,
ამაღლებული სულისთვის.
დედამა გშობა შობითა,
მამამ აგღზარდა ნდობითა,
ჩაგბარდა სათნო მისია,
ჭეშმარიტი ხარ მოდგმითა.
სახელით მართლაც -როსი ხარ,
აქტიურ - კომპეტენტური,
იღბლიან - მხიარული და
თანამედროვე - მეფური.

2022

**შ ე ნ !!!**

განცდა, ხალასმა არ იცის,
დრო ყველაფრისთვის არ იცდის,
ვისაც სურს სიკეთე შექმნას,
ცოტას ყოველთვის დაიცდის...

"კაი ხანია"

* * *

{სალომე დუდუჩავას}

საამაყოს და ღირსეულს
უფალმა მისცა სიკეთე,
წმინდა მანდილი არგუნა
ძლიერ მომავალს იკეთებს.
ნიჭიერებით გზას იკვლევს,
ტოლებში გამორჩეული,
აღარ სჭირდება დამხმარე ძალა,
დიდებით არის წამოწეული.
მისი ვარსკვლავი  კაშკაშებს,
თანდათან უფრო ბრწყინდება,
სილამაზე აქვს ბრწყინვალე,
სიკეთე გადმოსდინდება.
მწვერვალებს იპყრობს გამორჩეულად,
ღირსებით ავსებს ქცევას მდედრულად,
ანთებულია როგორც კოცონი,
სილაღე დასდევს ყველგან მეგზურად.
საოცარია მისი სამყარო,
ანგელოზები მისთვის გალობენ,
ღმერთმა დალოცოს... გააძლიეროს,
კეთილშობილი ჩვენი სალომე.

2023

**ს ა ბ რ ა ლ ო  !!**

მძინვარებს სულის სიმდაბლე -
აღარ  ემჩნევა  სიკეთე,
უგნურება რომ ჯიუტობს,
უვიცი  - სოროს იკეთებს.
აღარ ჩანს დიდი იმედი,
საღი  გონება ღალატობს,
ეძებოს გამოსავალი -
იცის ბოროტი დარაჯობს...
საბრალომ  ნახოს ფიქრის დრო,
ეძებოს გზები  სავალი,
იქნებ შეიგნოს რა ხდება  -
იპოვოს  გამოსავალი.
მძინვარებს სულის სიმდაბლე -
მართლაც ვერ ხედავს   სიკეთეს,
უგნურობს ჯიუტი გახდა,
უღირსის ბუდეს  იკეთებს.

2019

**ესა - მესა !!**

ბევრჯერ დახლართე უბრობის სქემა,
გეგონა იყავ ცაში მართალი,
ხშირად გამხილეს, გზას რომ ცდებოდი...
მაინც ვერ ჰპოვე გამოსავალი.

2022

## დარი - გება

ნუ ცბიერობ! ტყვილს ნუ ამბობ,
ხშირად - ამაზე გვაქვს გათვლა,
არ შეარცხვინო მიდგომა,
არ გაგრიყოს - ახლო ხალხმა.
არ ეცადო! ტყვილს ნუ იტყვი -
თუნდაც წაგაქციოს დარდმა,
ნახე, არაფერს იძლევა -
სახელის დაცემის გარდა.
აღარ გინდა! ტყვილი - არ თქვა,
ბევრს არ მიაყენო დარტყმა,
იქნებ სხვა გზა აირჩიო,
სხვას ვერ ვხედავთ, დღეს - შენს გარდა.
დაიჯერე, ტყვილს რომ ამბობ!!
გაფრთხილებდნენ... მჯერა მყარად,
გამონახე სიმართლის გზა,
აუხსენი ყველას კარგად.
აღმა - დაღმა სიარული,
არასწორ გზას დაგამონებს,
მუდამ ჩრდილში დაგაყენებს,
ვერ დაიცავ ქცევის ნორმებს.

შეეცადე სიმართლის თქმას,
ფეხზე უნდა იდგე მყარად,
არ გამოვა ჩრდილში ყოფნა -
დარიგება ალბათ კმარა.

2000

*** * ***

ზოგჯერ მართალი ვყოფილვარ,
ზოგჯერ  სიმართლით ვიარე,
ხშირად  პირველი ვყოფილვარ,
ვერსად ვერ ვნახე სიმართლე.
არა სიმართლე აღარსად,
ვერ ნახავ ესეც იცოდეთ,
უფსკრული მეტად ბნელია,
ბარბაცით სანამ იცოცხლებ.
ხშირად მაგრები იცდიან,
ზოგჯერ ინგრევა სანგარი,
ბევრს სურვილი კლავს ბევრისა,
მაგრამ გაგება სად არი...

გამოძახილი ბორის ჩუბინიძის ფეისბუქ პოსტიდან.

2023

**რას გვიქადი დევის ქალო...**

შეაწუხეს ერთხელ გვიან,
უპასუხა ... "მძინავს ახლა",
რომ გაუგეს ცბიერობდა,
სურდა თავი კედელს "ეხლა".
იმედის თვალი რომ იყო,
ხელში ეჭირა ალამი,
როცა შეატყვეს ზღაპრებს ყვებოდა,
შეუწყდა თბილი სალამი.
ჰკითხეს მაშინ, რა უნდოდა,
რას ბორგავდა კიდით - კიდე,
მწვერვალებზე ასვლა სურდა ...
შიშვლად დარჩა - დევის "ნიკე".

2022

**ჭიტა !!**

პატარა ხარ აზროვნებით ...
აღნაგობით თითქოს დიდი,
ძალა შეგწევს სკმარისი ...
დაამსხვრიო მყარი ხიდი.

"არ-ახალი"

**რეალობა !!**

აი, რა არის მოყმის გოდება,
გახდა ცხოვრების ხიზანი,
ბევრი ეძება პატივმოყვარე,
ვერ დაასრულა მიზანი...

"კაი - ხანია"

**ბნელეთის გვრიტები**

ბნელეთის მოციქულებმა,
ზურგი აქციეს მიმდევრებს,
არ უნდოდათ რძე - კარაქი?
ლექსად ნათქვამი... იგემეს.
საგზურები მიაგებეს,
არ დასჭირდათ დიდი რბოლვა,
კომფორტს ელოდნენ ბნელეთში,
მაგრამ დახვდათ მგლების ხროვა.
წევრებს, ასო-ციაციის ,
არ მოაკლეს თანადგომა,
შედეგები ცუდი დადგა,
გაუჭირდათ ბნელში ჯდომა.

გვიან დარჩა მჯიღის ცემა,
არ ეშველა საქმეს წყეულს,
გამოფხიზლდნენ როგორც იქნა,
შველა უნდა გზააბნეულს...

"ახალია"

" **ჩაო**"

სავალ გზას როცა აირჩევ,
უნდა გათვალო შორიდან,
ურჩხულს თუ გადაეყრები,
თავს ვერ დაიხსნი ომიდან.
კარზე მომდგარსა განსაცდელს,
ვერ აიცილებ რაც გინდა,
გვიან განსჯაში დრო მიდის,
იმედის ძარღვი გავიდა.
ნუღარ იფიქრებ გამოსწორდება,
თანდათან უფრო ტყუის - ბოგინობს,
მოჩვენებების კასკადს გთავაზობს,
ცდილობს სიცრუის გემო მოირგოს.
ბოროტსა სძლია კეთილმა,
არსება მისი გრძელია,
ღმერთის წყალობით გაფრინდა
უღირსი, მართლაც სენია.

უფალი ხიფათს გაცილებს,
თუმც ისრუტავენ ძალითა,
ურწმუნო ძნელად გაქრება,
ჭირს ნუღარ შეცვლი ახლითა.
რაც მოხდა შენვე ირჩიე,
თავად დაბრმავდი არეში,
სიკეთეს თესდი გეგონა,
აღმოჩნდი უღირსთ მხარეში.
გუგულმა, გზა აირჩია,
არც ისე დიდი ნუგეშით,
ფრინველის წეს-ჩვეულებით,
იმრავლოს სხვათა ბუდეში...

"გზაში ნანახი- შვიდი გზის შეგონება"
2022

*** * ***

(კეთილი)

ვინც მოვიდეს გაიხაროს,
სიყვარულში დაიხარჯოს,
კეთილი გულით მოვლენილს,
ცხოვრებაში გაუმარჯოს.

სუფთა გულით შემოსული,
სანატრელად აღარ გვექცეს,
მუდამ სიხარული გვქონდეს,
ჭირი ლხინად  გადაგვექცეს.
კეთილს, ვუწილადებ დიდ სულს,
არ მწამს, ვეღარ ვიტან ორგულს,
გვერდში დავუდგები წმინდას,
გარჯას შევუფარდებ  - მიზანს.
ღირსეულთან ავიშენებ კერას,
ცხოვრებაში არ ვენდობი ყველას,
გულს გავუხსნი მხოლოდ კეთილმზრახველს,
გვერდს ავუვლი სათავისოდ მნახველს.

2023

*** * ***

მზის სადარი ხარ სრული - ბომონდი,
გაფრქვეული გაქვს სხივი - ბოლომდი,
ცისკენ მიიწევს, შენი - გოდოლი,
აღარ მაოცებს, ბევრს რომ - მოსწონდი.
მწვერვალზე დგახარ - ანგელოზურად,
ღირსებით ავსებ ყოფას - მდიდრულად,
ანთებული ხარ, ვითარც - კოცონი,
სიკეთე თან გსდევს ყველგან - მეგზურად.

2023

## ნაცნობი

ერთმა ცნობილმა არსებამ,
მოიწადინა განდგომა,
გვირაბში  ვეღარ შევიდა,
ხალხთან ისურვა დადგომა.
ეძება მხარის დამჭერი,
აღარ მიაგეს თანხმობა,
სულის  დახშობის მიზეზით,
მასამ შეცვალა განწყობა.
წრეში   უმალვე გაჩნდა განწყრომა,
არ მოელოდა თავად არსება,
ოხ!! ღმერთო ჩვენო - ვინ დგას ცოდვაში,
დახმარებოდა დროზე განგება.
მცდარი ქმედება დასანანია,
მას დიდი ქონდა ჩვევა  - უნარი,
ვის მოუსმინა - ვინ აიყოლა,
განსაცდელშია  თვით მეომარი.
იქნებ დღე დადგეს გაცისკროვნების,
უფალმა ხელი გამოუწოდოს,
გზა აირჩიოს ჭეშმარიტების,
ღმერთმა ზეციდან ლოცვით უშველოს...
რწმენამ შეავსოს გზის მაძებარი,
გამოსწორების ჰქონდეს გონება,
გაითავისოს ყველამ კუთვნილი,
რომ აღარ დარჩნენ ქცევის მონებად.

2022

## დ ე დ ა

იყო!
არის...
და იქნება !!!
არავის დაავიწყდება,
ამოუცნობი ქმნილება,
მის გამჩენს მუდამ დიდება.

სანამ გვყავს ფასი  არ ვიცით,
გარდაიცვლება? ბინდდება!!
ვერ შველი...  ვერ მოაბრუნებ,
განცდის უფსკრული დიდდება.

2022

## ღ ი რ ს ე უ ლ ს
(შ ე ნ -დ ო მ ი)

სიმართლეს ეტრფი,
შეუცდომლად სწორ გზას მიყვები,
გულწრფელობა გაქვს, ზომიერი -
ემოციები.
მოგჭარბებია სიკეთის მადლი,
გულს გტკენს ცბიერი,
შენ ხარ ერთგული, მისაღები -
ფეხბედნიერი !

წმინდად, წარმოთქვამ ყოველივეს,
რაც გულში გიდევს,
რწმენით აკეთებ საკეთებელს,
რომც არ გიღირდეს!
საოცრება ხარ სულიერად -
გამორჩეული,
თვალს ვერ გაცილებს, შემხვედრი - თუ
შემოჩვეული.
ცხოვრების მიზანს,
რთული გზებით უახლოვდები,
აღმაფრენა გაქვს მომავალში ...
თავად მიხვდები.

2022

**სამაგალითოს!!**

ჩემს თვალში ჩემპიონი ხარ !!!
არ დაგივიწყებ არასდროს,
მოთმინების გზას ავირჩევ -
განწყობაც აღარ მღალატობს.
ხოტბას გამოვთქვამ ჩემს ვანზე -
ვიცი "ტანდემიც" მდარაჯობს...

2022

* * *

კეთილი საქმის მკეთებელს !!
ხალხი უწოდებს მშენებელს,
უფალი აღარ დაუშვებს,
მისი აღმასვლა შენელდეს.
ვთესოთ, ვაკეთოთ სიკეთე,
არ დაველოდოთ შედეგებს,
ვინც ვერ აღიქვავს ირგვლივ ნათებას,
იგი აფრენას ვერ შეძლებს !!
ნუ აგვიყოლებს ბოროტი ძალა,
თავშეკავება წამითაც კმარა,
თავი ვარიდოთ უღირს მიდგომებს,
უარი ვაცხადოთ არა და არა !!!

2021

* * *

(ღირსი)

მიწაზე გართხმულ ვაზს ჰგავხარ,
ქალი ბროლივით მანდილოსანი,
თუ მოისურვებ ფეხზე წამოდგე,
ბევრი  იქნება შენი მგოსანი.

ელდის მომგვრელო, დამაბნეველო,
ყველა  გახადე შენი მლოცველი,
ლოდინმა უკვე დაღალა ხალხი,
წარმოადგინე ვინ  გყავს მფლობელი.

1967

* * *

( ჭეშმარიტება)

სიმდიდრეს ბევრი მეგობარი ჰყავს,
სიღარიბეს კი... არც - ნათესავი,
ყველას გვერგუნოს დიდი საუნჯე,
ნდობა არ დაგვრჩეს დასათესავი.
არ ჩავიხედოთ სხვის მიღწევებში,
ვიზრუნოთ - ვპოვოთ ამოსავალი,
ჩვენგან შექმნილი ბევრად მარგია,
იგია, მართლაც გამოსავალი.

2023

* * *

(ნათქვამია)

ნაჭუჭში ჯდომას თავისი დრო აქვს!
ვერ გამოვიდა?! – უკვე მკვდარია,
გონიერისთვის მუდამ მზე არის,
უმადურისთვის სულ ავდარია.
არ უფიქრია შუქი ეხილა
სჩანს ველარ შესძლო – დრო კი გალია,
ამაოდ დარჩა ურჩის ქმედება
სინდისის ქენჯნას – ხელი დარია.

2023

* * *

(ადრე და ამჟამად)

ციხეს აგებდნენ სოფელ საროსში,
წყურვილს იკლავდნენ წმინდა წყაროში,
დრო შეიცვალა, საპირისპიროდ,
უგნურება სჩანს მთელ სამყაროში.

2023

**მედროვე**

... კაცი, არ ვარგა - მედროვე,
აღარ გვყავს თანამედროვე,
თუ ივლი ჩქარი ნაბიჯით,
გვერდზე დარჩება მეკობრე.
კაცი, არ მოგვწონს მედროვე,
ყველას სურს თანამედროვე,
ფონს აქეთ უნდა ვიხილოთ
კაცი უგნური მედროვე.

2021

**რ ჩ ე უ ლ ს !!**

ბერმუხაარ ... ამბობენ თქვენზე,
ჭეშმარიტებას უდგახართ გვერდზე,
მუდმივად ფიქრობთ სამშობლოს ცაზე,
არასდროს გაცვლით სხვა ქვეყანაზე.

2022

* * *

(კითხვის პასუხი)

არა, არ გეტყვით უარსაო,
ზურგს ვერ შევაქცევთ - დასაო,
გვიჯობს მივირთვათ მოძღვნილი,
რადგან გვიგზავნის - "დობილი".
სალამს გიგზავნით შორიდან
მუდამ თქვენს გვერდით ვიქნებით,
თავს არ დავზოგავთ მოყვრისთვის
მტრის ხატს ვერ შევურიგდებით.

(ფატიმა ბესტაევას)
2022

* * *

არ ვარ წინააღმდეგი, ვინმესთან ღირსეულად დაპირისპირების, ვინაიდან ამ დროს ვლინდება ჭეშმარიტი სახეები. იგი გიადვილებს მომავალი ურთიერთობისა და წარმატების მიღწევის გზებს.

* * *

(გამონათქვამები)

რაც შევძელ გვერდში ვიდექი,
ვიყავ ცხოვრების მგზავრი,
ვამჩნევ არავის ვჭირდები,
ყოფას გაუდის ყავლი.
წუთისოფელში ვეცადე,
მეკეთებინა კეთილი,
გვიან ვიფიქრე ვერ გამიგებდნენ,
ბუნდოვნების გზას შეყრილნი.
აღარ მოხდების არასდროს,
მგელი ბუნაგში ჩავარდეს,
ცხვარი ვერ შესძლებს მგლის ყურში,
უკადრისი ხმა - დავანდეს.
აღარ მოხდება... არწივი,
ოდესმე დაბლა დავარდეს,
როგორც ზოგისთვის ცხოვრება,
მთლიანად ... გამოლამაზდეს.
არ გავცვლი მე ჩემს სამყაროს,
სხვისგან ბოძებულ რამეში...
არ მინდა თვალით ვიხილო,
დავრჩები წმინდა... მხარეში.

2021

**უგნურთა თარეში!!**

სამწუხაროდ, ზოგიერთი დასნეულებულია "უგნურობის" ღრმა სინდრომით. ამდენად, საცოდავია ის ადამიანი, ვინც ამ უნკურნებელი სენითაა შეპყრობილი.

დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი ასე გვეუბნება:

"ერთმა უგნურმა თაგუნამ, იუკადრისა თაგვობა, დასწყევლა თვისი გაჩენა, ბუნების იწყო მან გმობა" - ო !!

და ა.შ აგრძელებს თხრობას, თაგუნას უკუშედეგებით...

*** * ***

ბრმად, რომ მცნობდნენ... ვიდრე მხილველს,
ვაჯობებდი ყველა ფრინველს "...

2000

**ჩამქრალი სიცოცხლე**
{ნოდარ (ბარჯგი) ადეიშვილის ხსოვნას}

კეთილი სულის პატრონი,
ზრდილი ძლიერი - მთასავით,
ოცნება ჩამოეშალა,
უდროოდ გვითხრა - ნახვამდის.
ვერ გაუფრთხილდა სიცოცხლეს,
ვერ შეხვდა ოცდათხუთმეტ წელს,
არ დაელოდა ნანატრ მომავალს,
ვინც კარს შეუღებს - ხვალ და ზეგ.
ჭირს შეეყარა მოუშუშებელს,
შველა ვერ შესძლეს ვერაფრით,
ვერ იხსნეს მძიმე სენისგან,
იმედი გაწყდა ყველაფრის.
მშობლებს, ახლობლებს არჩია,
უგონოდ ძილი მარადის,
ცრემლი ადინა ირგვლივ უამრავს,
ვერ გაიღვიძებს იგი ვერაფრით.

18.03.2023 წ.

## ვალდებულება

(იბეჭდება წიგნი -
„ჭვარიქედიდან დანახული ჩემი სამყარო“)

ვიშოვე და გადავრიცხე,
მოვიშორე ვალები,
ზოგჯერ რამე, რომ გჭირდება
საქმეს, დაემალები?
ესა, ჩემთვის სიხარული,
მოლოდინი თაობის,
დიდი ხანი ველოდები,
ჩემი წიგნი გამოდის!

2022

## ლევან ლომაძეს

სიკეთის მატარებელი,
კაცი ძლიერი - ლომაძე,
ღვთით დალოცვილი გვეყოლოს,
ამაღლებული - მწვერვალზე.

მებრძოლი, სულით - ძლიერი,
თავდადებული ყველაზე,
შეუპოვარი - მამაცი,
უარს ამბობს იგი - "კარგის" ნგრევაზე.
გზა დაელოცოს ღირსეულ ვაჟკაცს,
ყოველთვის იყოს გამარჯვებული,
აღზევდეს მისი სამყარო,
მომავლით - გამაგრებული.

2022

**მხედარი**

სურამის ქედის დალაშქვრას - ლამობს,
ცხენზე მომჯდარი პატარა სანდრო,
„როშის" ბილიკებს ზვერავს ბებია,
რომ იგი იყოს მშვიდი და სანდო.
ფინალი გახდა მეტად ბრწყინვალე,
კმაყოფილებას ვერცერთი მალავს,
ცხენზე ჯირითი გადამდებია,
ვაჟკაცობისკენ უბიძგებს მავანს.

2022

* * *

**"დილის დალოცვა ახლობლებს ჩემგან"**

ღმერთო, დალოცე და გააძლიერე ჩემი უახლოესი ადამიანები და მათი ოჯახები. ყოველთვის მიეცეთ მათ მშვიდობიანი დილა, შუადღე, საღამო და ღამით წყნარი ძილი. აი, ეს ჩემი ლოცვა, უფალმა მოარგოთ მათ სისტემატიურად და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საღმრთო დღეებში.

ამინ !!!

* * *

(ადამიანური ბედნიერების კრახი)

ბედნიერება იმსხვრევა მაშინ,
თუ დაიკარგა გონება თავში,
ორთაგან, როცა დროზე არ ითქვა ...
"პატიება", რომ იყო შუაში,
უგნურობით და სიბეცით,
ურთიერთობა - იცვლება სხვაში.

რთულია, გამოასწორო ...
ვინც საქციელში ცუდს ვეღარ ამჩნევს,
დაბრმავებული მიყვება ბილიკს,
ცოდვით თავს უხრის ... საკუთარ გამჩენს.
იფიქრებ, ხვალ სხვა იქნება ...
თუმც, რჩევა არ ჭრის არასგზით,
დღეს იმედი გაქვს, მაგრამ რას ხედავ...
ურთიერთობა მიდის - მარაზმით.

2022

*** * ***

(ხოტბა ძლიერებას)

არწივთა ტანდემს ბრწყინვალეს,
ვერ სწვდება მტერი ვერაგი,
განგებით მიძღვნილ სიკეთეს,
აღარ სჭირდება ბელადი.
ფრინველთა მეფე - არწივი,
მუდმივად ცაში ნავარდობს,
მუსრსაც გაავლებს ყვავ - ყორნებს,
კუთვნილ სამყაროს სდარაჯობს.

2019

## რეალობა

დრო, ულმობელი
წარსულს ჩაბარდება,
ფიქრები ამაზრზენი
უმალვე დალაგდება.

2022

## გამოსწორება არსებას - ამას!!!

დავლაშქრე ირგვლივ სამყარო,
გავიცან დიდი - პატარა,
დიდება უფალს, რადგან აქამდე -
შეუფერხებლად, მტკიცედ მატარა.
მივიღე ხედვის დიდი უნარი,
ძალმიძს ყველაფრის ატანა,
დროულად ვხვდები ირგვლივ ვინცა მყავს,
მიადვილდება - თავის გატანა.
ხილვის გარეშე, ბოროტებას ვცნობ,
ახლოს ვუყურებ პატარა ხალხსა,
მოვერიდები ფეხზე დადგომას,
ხიფათს არ ვარგებ საკუთარ თავსა.

აღარ ვიფიქრებ სწავლა დავუწყო,
უმწეოებს და სულმდაბლებს,
განგება იტყვის როგორ ებრძოლონ,
დღემდე არსებულ - "ჩვევით" ამორძლებს.
არ უნდა შედგეს ბრბოს ეს ტანდემი,
დააზიანებს მრავალ წმინდა სულს,
უფალს შევთხოვოთ გზა დაუკეტოს
ბოროტებისგან დაბრმავებულ გულს.
იქნებ დროულად მივხედოთ მარაზმს,
რადგან არ მოაქვს დიდი სიკეთე,
აღიგვას შური და ბოროტება,
იქნებ მოგვშორდეს დიდი სიბეცე.

2022

* * *

დიდხანს ეძებდნენ, როგორც სჩანს - რეზერვს ...
რომ მიეღწიათ სასურველ შედეგს,
უცხოს სუფრასთან ყოფნის სურვილით...
ზურგი აქციეს - ჭეშმარიტ - ედემს .
ყველამ უნდა თქვას - მცირე სათქმელი,
რათა ვიხილოთ დროზე ნათელი,
უნდა გიღირდეს და გერგებოდეს,
თუ ამას უძღვის - უფლის სანთელი.

ვეღარ იქნება ზოგის მიღწევა,
რადგან არა აქვს სიმაღლე,
ხალხმა იაროს აღმასვლით -
ნუღარ ვიდარდებთ იმათზე...

2022

* * *

(მსგავსების ფონზე)

ძლიერია არწივი,
არც თუ ისე მარტივი,
ბრძოლის ველზე აშლილი,
ფრთები მუდამ - გაშლილი.
იცავს, მოდგმის თვისებას,
არ ღალატობს ღირსებას,
არ აქვს შიში - არავის,
მედეგია მარადის.
თუ, დასჭირდა იყენებს,
მოპოვებლ მიღწევებს,
მუდმივად ქმნის სიკეთეს,
ეტრფის ხშირად მისებრებს.

2021

* * *

(კითხვის პასუხი)

საქესთან სხვებიც დასმულა,
თუნდაც დღე - გინდაც ღამითა,
დახმარებიან ... მეგობრებს,
არ უნანანიათ წამითა.
მიზეზს, ვერ ახსნის ვერასდროს -
ოპერირება თვალისა !
ნუთუ, მზის ნათელს აჯობებს? –
შუქი კაშკშა მთვარისა ?
კაცს უარი ეთქვა კეთილ ნებაზე !
ხვეწნა - მუდარის დრო კი გავიდა
გამოიყენო საბაბად რაღაც ...
როცა მგზავრობა ზოგთან არგინდა?
თავის მართლების ფიცმა, ვიცოდეთ ...
აზრი დაკარგა დიდი ხანია,
ბევრს ნუ "გაწურავთ" მართალ ხალხს ასე,
შეინდეთ - დასანანია.

2022

* * *

(სინათლე)

არ გერგო, არ გაამართლა
გქონოდა ვინმეს იმედი,
ბედის უკუღმა ტრიალით,
შუა უდაბნომდე მიხვედი.
რთულია, მოულოდნელი
ბედის ბორბალის ტრიალი,
გინდა არ გინდა შეგხვდება,
უმსგავსო ყოფა - ტიალი .
ვეღარ მიხვდები ვერასდროს ...
ოცნებით - საით წახვიდე,
გაუგებრობით ვერ შეძლებ,
იმედის ხიდზე გახვიდე.
ზოგს, დაეკვება - რომ შეხვდა,
ამომავალი აისი,
თუკი განგებამ გაგწირა,
უფსკრულს გარგუნებს - დაისი.
გრიგალმა შემოგიტია!
არ გსურდა გეთქვა სიმართლე?
ნუ ემდურები ნურავის,
თავად დაკარგე - სინათლე.

გამოსწორდება? აღარც იფიქრო,
რადგან გეწვია სიბრმავე,
მდინარეს როცა ერთხელ გაივლი...
ვეღარ იხილავ - სხვა დროს იმავეს.

1977

*** * ***

არჩეული პროფილიდან,
ფოტო ხშირად იცვლება,
ახალ - ახალი კადრებით,
სულ სხვა სამყარო იშლება.
მიდი, სვლა არ შეაჩერო,
შეზღუდულო - ნათელო,
"მიღწევა" გაქვს ცხოვრებაში ,
"დონე" ხალხის - აღმზრდელო.

2022

* * *

სანთელივით დახვეწილი,
სიმართლისთვის მებრძოლი,
მიდგომა - აქვს არნახული,
სამყაროში შემყოლი.
გულმოწყალე იერიდან,
ნათლად ხედავ სიკეთეს,
იმედს გაძლევს, წმინდა არის,
ვერსად ნახავ უკეთეს.
ყველა კუთხით ღირსეული,
აფრქვევს ციურ ნათებას,
მოხდენილი საქციელით,
აძლიერებს - გაგებას.
აკვირდები და გაოცებს,
უკვე რაღა ქნა არ იცი,
დრო იწურება, ოცნება გიპყრობს...
ნათლად სჩანს, იგი მართლაც - არ იცდის.

2022

* * *

(იბადება... განაჩენი)

კმაყოფილებით, ივსები მაშინ,
რომ გხედავს მასა - გულით გაფასებს,
არ ეწევიან - ფარისევლობას,
მცირედი დონის სურვილით გავსებს.
რას ვიზამთ, ზოგჯერ ვერ ვამჩნევთ,
ირგვლივ არსებულ - დაბალ მთებს,
უნდა ვეცადოთ... ყველას ვანახოთ -
სუფთა სამყარო ითხოვს დარაბებს.
გვერდით, ნუ ვდგავართ - მიუღებელთან,
ნუღარ დავკარგავთ სანატრელ წუთებს,
საღი გონებით - ბრძნული მიდგომით,
თავად მივაღწევთ ღირსეულ ზღუდეს.
დაახვონ ... და თავად იგემონ,
სახეშეცვლილი თეთრი კოჭები,
ყოფით სამყარომ, სხვა გზა არგუნოთ -
შესაბამისი ჰყავდეთ მოძღვრები.

2000

* * *

(ელექსირი)

გადავხურე ოაზისი,
მოვასწარი მზის ჩასვლას,
ისე მომწონს ეს გარემო
არსად ვაპირებ წასვლას.
ოაზისი დაიხურა,
მაგრამ სხვა რამეც დარჩა,
მეგობრები- ახლობლები,
ამ დროს საძებნი გახდა.
დროზე უნდა დავივიწყოთ,
შემოჭრილი სიბეცე,
გავიღვიძოთ, გონს მოვიდეთ
და ვაკეთოთ სიკეთე.

2022

* * *

ციხე - ტაძარი ისე აშენდა,
არ შეუწირავთ თუნდაც ქათამი,
თუმცა ბევრისგან ხშირად ისმოდა,
არაფრისმთქმელი, ფშუტე ქაქანი...
მადლობა უფალს, კარგი შეიქმნა,
ხალხმა მიიღო სულის წამალი,
ძალა მიეცა - დიდს და პატარას,
მორწმუნემ ნახა გამოსავალი.

2000

* * *

(მკითხველი და გადამკითხველი)

მოყმე, რომელიც წიგნებს- გაზეთებს,
"ცოდნის" ტაძრისთვის იყენებს,
შეიძენს "მკითხველის" სახელს,
სამყაროს - ერთობ გამოიყენებს.

კაცი, რომელიც წიგნებს - ჟურნალებს...
ძილის მომგვრელად იყენებს,
"გადამკითხველის" სტატუსს მიიღებს ...
თუმც, იგი ცოდნით ვერ დაიკვეხებს.
რად გინდა წიგნი ისეთი,
კითხვა თუ აღარ გინდება,
ფურცლები ობს მოიკიდებს -
გადაყრაც გაგიჭირდება.

2013

*** * ***

პატიოსნება და სინდის - ნამუსი, თანდაყოლილია ადამიანში. ვისაც ის გააჩნია უდიდესი სიმდიდრის მფლობელია. მასთან ერთად - თავმოყვარე და ამაყია მისი შთამომავლობაც. პატიოსანი - ნათლად ხედავს, როგორ კარგავს ადამიანები ცხოველისაგან განმასხვავებელ თვისებებს, რაც ყველაზე საშიშია - მომაკვდინებელია. სინდის - ნამუსი, არ იშოვება - ვერ იყიდი, იგი უფალმა უნდა გიწყალოს. დაიწყებ შეძენას? ვერ მიაღწევ და მაინც უნამუსო დარჩები.

* * *

ნაძირალა, უნდა იყო სულით,
ბოროტება - რომ აკეთო გულით!
ვეღარასდროს, შეიცვლება სახე,
გარეწრობით მოდის - ყველა მახე.
არ მოხდება, არწივს მოტყდეს ფრთები,
გონებრივად შეზღუდულის ხელით,
ბოროტებას დირიჟორობს გიჟი,
წესს აუგებს, "წმინდა" ხალხი - დინჯი.

2005

**რთველი 2022**

"დირბულა" თბილისი - პლატო, ქოხი "ოაზისი".
დაგლოცოთ უფალმა.



ღირსმა სვას, ღირსმა დალიოს!!!
უთვალავს... შევხვდეთ ალიონს!!
უღირსს ღვინის სმა რად უნდა
ხილის წვენები დალიოს.

* * *



ესაა ჩვენი ყუმური -
"ჯვარიქედის მთა" გაშლილი,
დაბლა რომ იწყებ დაშვებას,
სამოთხე გხვდება ნამდვილი.

2022

* * *



შენ ხარ არწივი-
დიდი ამტანი,
გვერდში მდგომელი-
კაცის გამტანი,
ვერ მოისვენებ, სანამ გაარკვევ,
კიდევ სად არის სხვა დასაცავი.

2019

* * *

(უცნობი მებრძოლი)

ყველამ, იცოდა სად იყავ -
მთაში, ბარში, თუ ზეგანზე,
შენი სახელი ამაღლდა ქვეყნად ,
მტერს, არ უშვებდი თავის ნებაზე...
გმირულად შეხვდი ყველა სიძნელეს,
ვეღარ გაგტეხეს - ტყვია გესროლეს,
ზურგზე ჩექმებით გადაგიარეს,
ვეღარ ხედავდი ქართველ - მებრძოლებს...
თავზე გეხვია "უზომო" ძალა,
ვეღარ დაძლევდი ყოფილ ... მეზობლებს,
მაშინ გაგწირა - ომის ამტეხმა,
რომ შეინიღბა - მინდა გესმოდეს.
აღარ გამოჩნდა იმ დროს საფლავი,
შენს სამშობლოში გეპოვა ბინა,
ბევრჯერ!! რომ ნახონ -სად განისვენებ ,
კითხვა გაჩნდება "ნეტავი - ვინა" ? !

საზარელი 2008 წ.

* * *

(ჭეშმარიტება)

ხედავ, რას შვრება მოღვაწის კვალი,
რომ არ აშინებს თუნდაც გრიგალი,
ერთგულება აქვს სამყაროს - ხალხის,
ოცნება ფართე გამხდარა - რახნის.
ბრძოლას უცხადებს უმსგავსოებას,
აშენებს ბილიკს ეტრფის ზეობას,
შველას მიაგებს საღი გონება,
ვინმე... უღირსი არ ეცოდება.

2022

* * *

(დაბადების დღისადმი)

საოცარი სილამაზის,
ღვთაებრივად შობილი,
სანთელივით წმინდა სულის -
მეტად კეთილშობილი.
შეხედულად თვალწარმტაცი,
ჭეშმარიტი - მოდული,
ჯადოსნური იერსახის,
ბრწყინვალებით მოცული.

უაზრობას ებრძვის მარად,
დაატარებს აზრს წმინდას,
როცა ამჩნევს "მიუღებელს",
მიზანს სახავს - "თავისას".

11.12.2022

* * *

ლექსი როგორ მოგეწონათ?
ამას კი აქვს მნიშვნელობა ...
ვინც აღიქვამს, არ დამძრახავს
დღე -ღამე ჰქონდეს მშვიდობა.

2022

* * *

(აღმოჩენა)

დატვირთულია მუდმივად,
ერთგული ერთი - მაშველი,
ათას... შეზღუდვას აწესებს,
გზასაც ეძლევა - საშველი.

აკეთებს შეტყობინებებს,
მიმართულებებს- ასჯერ მეტს,
ხელს ნუ შეუშლით საქმეში,
რიდით შესცქერის - ფრაგმენტებს.

2023

*** * ***

(გამო - ვიფხიზლოთ)

არაკაცების დოღს მოვესწარით,
წარმომავლობა გვაქვს გასარკვევი,
არაქართული - გუნდის წევრები,
უცხო თესლს თესენ და ვერ ვერკვევით.
უბედურება ჩვენი ქვეყნისა,
სწორედ ეს არის, რაც ვერ ვიცანით,
ხეჩუას დიდი პრეტენზია აქვს,
წინ ვინ აღუდგა ერთი გვითხარით.
მომრავლდა ჯაყოც, სადავებს იპყრობს,
ჯიშ - ჯილაგს ეძებს, აქვს თვითმიზანი,
ამბობენ ნახირს, ზემოთ ჰყავს ხალხი,
ვისაც ხელეწიფს მართოს ხიზანი.
ვეღარც მამედა და არც აფსუა,
ვერ შესძლებს მართოს ძველი "ისანი",
დროებითია ეს მოძრაობა,
ერში იფეთქებს გენი- მიზანი.

გზა ჩავუხერგოთ - ყველა მოძულეს,
სუნთქვა შევუკრათ ღირსი ვინც არის,
არ დავიშუროთ სისხლი წვეთ -წვეთად,
ძალაც ვიხმაროთ, ბასრი - ისარიც.
მღრღნელების ხელში გაზრდილებს,
გზას, რომ იოლად გაუხსნი,
დროზე იფიქრე ქართულო გენო,
მტრებს როდის ჰქონდათ სინდის - ნამუსი?
გადამთიელებს სურთ დაგვარწმუნონ...
ჩვენს მიწას, ფლობდა მათი "ბაბუ" - სი,
უცხოტომელთა მართვის ქვეშ დავრჩეთ,
და მოგვევლინოს სულ სხვა სტატუსი.
ვინ აძლევს ამათ აღმავლობის გზას?
ქართველო ერო - რატომ გაჩუმდი !
ამდენ ღამურას რა ამოშანთავს,
დრო ხწრაფად მიდის, დროზე მობრუნდი!
სახეზე ხომ სჩანს - ვისთან, ვინ არის,
ვგევართ მიგდებულ წისქვილს - გამორთულს,
ყველა ურჯულოს სახეზე უჩანს,
რომ არ ჰგავს იგი ჩვენთვის მომართულს.
ვერ უნდა მივხვდეთ? უჯიშო მოდგმა,
შემოჭრილია, ჩვენს ნგრევას ელის,
რამ დაგვაბრმავა ქართველო ხალხო,
იმედი ნუ გვაქვს გადამთიელის.

2003

* * *

ტაში, მართლა ტაშიო,
დავეტიოთ კანშიო,
ევროპა, თუ... უარს გვეტყვის
ყველა წავალთ ვ ა ნ შ ი ო.

2022
რუსლან მიქაბერიძის მიერ 2000 წელს შექმნილი ლექსიდან ("ევროტაში") გამოძახილი.

**შინაური ყვავი...**
(კუთვნილებისამებრ)

რამ შეგაძულა "სისხლი და ხორცი",
რა ხდება ნეტავ? კითხვას გისვამენ!
სად აღმოცენდი არარაობავ,
ჩანს - შურის გენებს მართლა გისხამდნენ.

* * *

"კეთილშობილმა" რა დაგიშავა?
არ არის იგი მომტანი ავის!
გამოიღვიძე სოროსში ნუ ხარ,
კარგად იფიქრე - დრო დადგა ამის.

* * *

ბნელი ყოფილხარ წუთისფელში,
თავად ვინა ხარ ყველას გვითხარი,
გამჩენი ხედავს შენს უმეცრებას,
თვალით ნანახი მიტომ გითხარი.

2023

* * *

კაიკაცობის მანტიას,
ძნელად მოვირგებთ ვიცოდეთ ...
კაიკაცობა ძნელია,
ეს ყველამ უნდა ვიცოდეთ...
იმას, ვინც ისე ... ეცდება,
უფალო შენ შეიცოდე.

2023

* * *

(ყურადღებით)

არავის არ დაემონო,
ნურცა ნურავის იმონებ,
ეშმაკის  ფეხს თუ მიყვები -
სახელით ვეღარ იცხოვრებ.

შეიძინე  უნარ - ჩვევა,
ძნელი არაა იცოდე,
ქრისტეს გზაზე გაიარე,
ვაჟკაცი რომ ხარ...იცოდე!

2023

*** * ***

( ვახტანგ ჭაფოძეს)

კლიმატს ჰქმნი ძალზე ნოყიერს...
იგი, მუდმივად გამოგდის,
დაბადებულხარ ლამაზ დუცხუნში
ყუმურის წყალი ახლოს ჩამოგდის.
ნიჭიერება ღმერთმა გარგუნა
წარმატებები ისე არ მოდის,
გზას, კარგად ირკვევ ვლადიმერის - ძევ
ურთიერთობა მტკიცედ გამოგდის.
მივესალმები შენისთანა ხალხს
წარმატებები უფლისგან მოდის,
ღმერთმა გამაღლოს, გაგაძლიეროს,
მინდა დაგლოცო ვფიქრობ - გამომდის.
მაგალითი ხარ მოზარდ თაობის,
თუ არ ისწავლი ქება არ მოდის,
ყველა რწმუნდება დიდი აისი
მსხალთავაკესთან ახლოს ამოდის.

2023

* * *

**(გულისტკივილი)**

თავად, მე ვარ დასასჯელი,
ირგვლივ ვერ ვიცანი ხალხი,
მეგობრობა შევთავაზე,
ლამის მივაჩუქე თავი.
არ ვარ, მართლაც დასაზოგი,
დრო დავკარგე წინსავალი,
ვერ გაიზარდა ვერაფრით,
დაიმსგავსა მომავალი.
მიაღწია რაღაც დონეს,
დაუძლურდა ფეხი - თავი,
მარტო დარჩა რიყის ქვაზე,
სხვისთვის შეიძინა ნავი.
დღე და ღამე არ ეძინა,
არ დაზოგა ენერგია,
ვერ გათვალა სამომავლოდ,
ვისთვის იყო ელეგია.
სიმდიდრე ბევრი იშოვა,
ვერაფერში დაეტია,
ოქრო-ვერცხლის გაყოფისას
სათვალავი აერიათ.
მიატოვეს გაფრენის წინ...
ვერ აღიქვეს მისი - სხვისი,
ცუდი სანახავი იყო,
დაღრეჯილი სახე მისი.

რას ვჩქარობდი, რა მინდოდა,
დროზე მეცნო საცნობელი,
მაინც, დალოცოს  უფალმა,
ხალხი გულით ახლობელი.

2023

* * *

(ასეა ეს და ასეც იქნება)

ვფიქრობ, კეთილშობილი ვარ
ვსუნთქავ პირად გარემოში,
მიყვარს ხალხთან მეგობრობა
განვსხვავდები ბარე - ორში.
არ ვთხოვ, ვინმეს ჩემთვის რამეს
მერიდება შეწუხება,
ბედნიერად მაშინ ვთვლი თავს
ახლობლობა, თუ არ ქკნება.
აღელვებაც ვიცი მყისვე
ვერ ვატარებ სიტყვას ისე,
პასუხს ვაძლევ საკადრისად
მომხვდურს, არ ვპატიობ რისხვებს,
თუ ვერ ზომავს, თავს ვერ იჭერს
გზას ვანახებ უფსკრულისკენ,
ვეცდები გამოვასწორო
მივანიშნებ ურდულისკენ.

ზრდილს, ვაჟკაცსა და ზომიერსა
პატივსა ვცემ კიდით - კიდე,
თუ კვლავ შეცდა უგნურებით,
მივამაგრებ ღობის კიდეს.
არ მწანს, ფლიდი - ქვეშემძრომი
მიყვარს კაცი სუფთა გულის,
ბნელთან, არ მსურს დროს დაკარგვა
ვის სჭირდება "ხე - ორგული".

20.09.2023

**გილოცავთ**
(ქალთა დღეები - 3 და 8 მარტი )

ქალის დიდება ღმერთმა გიბოძათ,
იღწვით ატაროთ წმინდა მანდილი,
ბედნიერებას გისურვებთ ყველას,
სათაყვანო ხართ მართლაც - ნამდვილი.
სიცოცხლის წყარო თავად თქვენშია,
ათბობთ სამყაროს შთამომავლობით,
დედის - დედობა არ მოგეშალოთ,
გზა დაგელოცოთ დიდი ქალობით.
სიამაყე ხართ კაცთა მოდგმისა
მუდამ აშენებთ მაღალ მწვერვალებს,
ალამაზებთ და ამკობთ ქვეყანას,
გვინდა გხედავდეთ - ვით ცის ვარსკვლავებს.

2023

*** * ***

(ციური მნათობის გახსნა - ღირსება როდია...)

ვარსკვლავის გახსნა მოდა გამხდარა,
ყველას ერგუნა, ვინც ფხიზლად არის
ღირსი - უღირსი ვეღარ მოქმედებს -
თუნდაც არ იყოს  ვარსკვლავთსადარი.
ნებართვის მიმღებ - გამცემნი,
გაგვიხდნენ  ჭირის ამტანნი
ჭეშმარიტების უმძიმთ გარკვევა,
რადგან არ რჩებათ - ძალა გამტანი.
საშიშროება როცა შეიქმნა,
არ გამქრალიყო  მნათობის - კვალი,
ვერ დაელოდნენ მეორედ მოსვლას,
მალე შეიქმნა სულ სხვა ვარსკვლავი.
ამშვენებს იგი მცირე გარემოს,
ფართეა მისი სხივი სანახი,
შესცქერის ზეცას სიმართლით
არ გააჩნია - ქვეყნად დამძრახი.
მაღალი  ღმერთის  შიშს არ განიცდის
შორს უდგას ექო განგაშის,
უღირსის  ვარსკვლავს  ყველა შეამჩნევს,
გვინდა მებრძოლი  იყოს  მართალი,
ღირსების ჯილდო თუკი გერგება
ვერ აღიქმები - როგორც ჩამქრალი.



ღირსების ვარსკვლავი „ელ-ანსაგეთი"
19.09.2019

**ჩემი მხარის დასადარი**
**სხვა სამყარო არსად არის**

მიყვარს იმერეთის მხარე,
სამეგრელოს ზღვისპირი,
ჩემი ქვეყნის დაცვისათვის,
ღობედ მინდა - ქვითკირი.
გურიაში ასვლა მინდა,
დღემდე რისთვის ვიცდიდი,
ბახმარო გავაძლიერო,
მთისპირიდან ვივლიდი.
აჭარის მთებს მოვეფერო.
ვნახო ცხენის ჭიხვინი,
სვანეთის მწვერვალზე ვიყო,
მქონდეს ბედის  გვირგვინი.
შევიარო აფხაზეთში,
რიწას ვუთხრა ქვითინით,
გავიღვიძოთ, ფეხზე დავდგეთ,
მკვიდრნი არ ვართ - „სხვისი თქმით“.
რაჭა-ლეჩხუმს მოვეფერო,
დროს ვიპოვი - დიდი ხნით,
ხშირად ვნახავ ნიკორწმინდას,
ნაქერალას ბილიკით.

ქართლის მთა - ბარს ხოტბას ვასხამ,
გავაღვიძო - ცხინვალი,
სამაჩაბლოს აღსადგენად,
ბრძოლა ისევ წინ არის.
ქვემო ქართლს ვერვის დავუთმობ,
მხიბლავს მისი დიდება,
ოქრო-ვერცხლის სამშობლოა,
ქართველს - არ ავიწყდება.
ბევრსაც ვფიქრობ ჩვენს წარსულზე,
მფარველ უფალს დიდება,
დღემდე, რაც დავკარგეთ ძალით-
მალე ჩვენი იქნება.
მოვეფეროთ, ფშავ- ხევსურეთს,
თუშეთს, ხევს და მყინვარწვერს,
უკიდეგანოდ ლამაზ მთებს,
უთვალავ ძლიერ სიმდიდრეს.
დიდ სივრცეში მონავარდე -
ჯიხვებს, არჩვებს, არწივებს,
მათი ნახვა ზამთარ - ზაფხულ
ყველა მხილველს აკვირვებს.
მდიდარ კახეთს თაყვანი ვსცეთ,
პურ-ღვინოთი მძლეთა- მძლეს,
მის საოცარ სიმღერებს და,
უჭკნობ მრავალჟამიერს.

წყაროს - დედოფლის, ერთობ მიმზიდველს,
და თვალუწვდენელ მინდორ - ველს,
პურის ბეღელს - ქვეყნისათვის,
ბარაქიან ბაღებს - ზვრებს.
სამცხე-ჯავახეთს - ჩვენს ისტორიას,
უნდა დავუთმოთ გული ნამდვილი,
ქართული სულის ბრწყინვალე მოდგმას,
მიწა გადავცეთ მისი ნაწილი.
რა ვქნათ, რომ ბედუკუღმართმა დრომ,
ყოველთვის ხელი დაგვრია,
მაგრამ ვერასდროს - ვერაგმა მტერმა,
ვეღარ იხარა ჩვენზე ძალიან.
ვერ დაგვანგრიეს, ვერ ამოგვწყვიტეს,
თუმცა უნდოდათ ძალიან,
ვეღარ ასრულდა მტრების ოცნება,
რისი მოწმეა - ძველი ვარძია.
ქართველი ერი უძველესია,
დედამიწაზე არ ჰყავს ბადალი,
მსოფლიოს მისცა ცივილური გზა,
ბორბლის შექმნამ - ჰყო გამოსავალი.
მოდგმაა იგი "ქალდეველები"-ს,
გონიერ ხალხის შთამომავალი,
შექმნეს სამყაროს მძლე გასაღები,
გასარკვევია - კიდევ მრავალი.

ამ საუკუნის.

# საქართველოს პატრიარქი



საქართველოს პატრიარქი

ღმერთმა გვიბოძა მხსნელად ილია,
კურთხევა მისცა ერთობ დიდია,
ერის რწმენაში გაძლიერებით,
შეექმნა ზეცის წმინდა ხიდია.

როცა გამოჩნდა ცის კაბადონზე,
ზენიტში იყო ურწმუნოება,
მძლავრმა სამებამ, ჩვენს გასაკვირად,
მალე იხილა ნანატრი შვება,
ხალხი მოფხიზლდა, უმალ შეიგრძნო,
სულიერებას მხსნელი რომ ხვდება.

მშობელთა ვალი- მომავლის ყოლის,
თანდათან გახდა დიდი ოცნება,
სამი და მეტი ბავშვის მონათვლა
უწმინდესისგან ყოველთვის ხდება.
სტიმულს ღებულობს დემოგრაფია,
ხალხის რესურსი ქვეყანას რჩება.
ყველგან შეიქმნა უფლის სახლები-
ეკლესიები და მონასტრები,
აღსდგა სიძველის ბევრი ნიმუში
სალოცავი თუ დიდი ტაძრები.
რუსეთ - ოსეთის საზღვართან,
აშენდა დიდი კომპლექსი,
ტაძრები ანგელოზების
თორმეტს გასცდება! ...არ ვცდებით,
წმინდა მამების ლოცვებით -
სამყაროს შევქმნით მოგვებით.
...ჩვენს სამყაროს მოევლინა,
ვებერთელა კაცი ბრძენი,
შეასრულა უფლის თხოვნა
გამოიღო მხსნელი ხელი.
2019

# განსაკუთრებული დღე!

არწივთა გუნდი აფრინდა,
მომავლის გზები დადგინდა,
მიღწევა - წარმატებებში
ღმერთი გწყალობდეთ მაღლიდან.
ამინ !!!



ჩემს უდიდეს იმედს, რიგით მეორე მომავალს, დიდ სიხარულს, წარჩინებულ შვილიშვილს - სანდრო ადეიშვილს და უკლებლივ მის ყველა თანატოლს და მეგობარს ვულოცავ, სკოლის დასრულების (19.05.23წ) სამახსოვრო დღეს "ბოლო ზარს" !!!

ვუსურვებ მომავალი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე, წარმატებული ნაბიჯებით სვლას, უსასრულო ბედნიერებას, სიხარულს, უკიდეგანო მიღწევებს და გაბრწყინებულ მომავალს.

ღმერთის მფარველობა და წყალობა, მუდმივი მეგზური იყოს ამ ჩვენი ღირსეული და საამაყო მომავლისათვის.

უდიდესი მადლობა -
მათ აღმზრდელ მასწავლებლებს და სხვა პერსონალს.

(ავტორი)

## ს ა რ ჩ ე ვ ი:


- გულახდილობა ------------------- 10
- გზა უფლისკენ ------------------- 12
- ჭეშმარიტი ქრისტიანობა გვავალებს ------------------- 17
- ფსალმუნთა განმარტება (პუბლიკაცია) ------------------- 21
- სარწმუნოებრივი თემები პუბლიცისტური მასალები პატრიოტულ თემაზე ------------------- 42
- ქ-ნ დენიზა სუმბაძის ღია წერილი აშშ-ს პრეზიდენტისადმი (ავტორის პუბლიკაცია წიგნიდან) ------------------- 45
- წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა ------------------- 61
- რ ე ზ ი უ მ ე ------------------- 64
- პუბლიცისტური მასალიდან - ახალი წიგნის "გზა უფლისკენ", ავტორისეული ხედვა ------------------- 70
- ზ ე ო ბ ა ------------------- 72
- საქართველოს პატრიარქის ილია მეორის გამონათქვამები ------------------ 92
- ჩემი ახლობელი და საპატიო ადამიანები
- მამა ამირან ამირანაშვილი ------------------- 95
- გურამ გურამიშვილი ------------------- 109
- აკაკი საღირაშვილი ------------------- 113
- გურამ გუნავა ------------------- 117
- ორესტ (ზაურ) ბედია ------------------- 124
- ვალერი ვიბლიანი ------------------- 128
- ძმები (ვანო და ვლადიმერ) ჯაფარიძეები ------------------- 131
- გურამ კუპატაძე ------------------- 135
- იამზე რობაქიძე ------------------- 142
- ამირან გაფრინდაშვილი ------------------- 146
- ჩვენი მწერალთა სამყარო

- ბაღათერ არაბული ------------------- 150
- გულნაზ ხარაიშვილი ------------------- 157
- ეთერ ჭელიძე ------------------- 166
- ლალი სოხაძე ------------------- 169
- ლიანა ალადაშვილი ------------------- 173
- მზია ელიაძე ------------------- 176
- ხათუნა ელიაშვილი ------------------- 181
- იზა ჭიკაიძე ------------------- 185
- წიგნის ავტორისადმი მიძღვნილი ლექსები
- შთაბეჭდილება ------------------- 189
- მწამს, ლაჟვარდებში...
  (ბ-ნ ელგუჯა ადეიშვილს) ------------------- 191
- *** (სერის ღელეს მოყვებიან) ------------------ 192
- ჩემი მოკრძალებული ლექსები და გამონათქვამები
- ჭეშმარიტება ------------------- 193
- სიკეთის ქმნა! ------------------- 194
- განგაში !! ------------------- 194
- წიგნი „აისის“ მთ. რედაქტორს ------------------- 196
- გაჭირვება !! ------------------- 197
- რაღაცა ------------------- 198
- ჭკვა, უხმარ არს... ------------------- 199
- დავიცვათ სიტყვა ქართული (გაგრძელება) ------------------- 200
- იმედის ძაფი ! ------------------- 202
- სიცოცხლე გვასწავლის! ------------------- 202
- *** (ოაზისს ვარდი უყვავის) ------------------- 203
- *** (როს ! მოევლინე სამყაროს) ------------------- 204
- შენ !!! ------------------- 204
- *** (სალომე დუდუჩავას) ------------------- 205
- ს ა ბ რ ა ლ ო !! ------------------- 206
- ესა - მესა !! ------------------- 206
- დარი - გება ------------------- 207
- *** (ზოგჯერ მართალი ვყოფილვარ) ------------------- 208
- რას გვიქადი დევის ქალო... ------------------- 209

- ჭიტა !! ------------------ 209
- რეალობა !! ------------------ 210
- ბნელეთის გვრიტები ------------------ 210
- „ ჩაო“ ------------------ 211
- *** (კეთილი) ------------------ 212
- *** (მზის სადარი ხარ სრული - ბომონდი) ------------------ 213
- ნ ა ც ნ ო ბ ი ------------------ 214
- დედა ------------------ 215
- ღირსეულს (შენ-დომი) ------------------ 215
- სამაგალითოს!! ------------------ 216
- *** (კეთილი საქმის მკეთებელს !!) ------------------ 217
- *** (ღირსი) ------------------ 217
- *** (ჭეშმარიტება) ------------------ 218
- *** (ნათქვამია) ------------------ 219
- *** (ადრე და ამჟამად) ------------------ 219
- მედროვე ------------------ 220
- რ ჩ ე უ ლ ს !! ------------------ 220
- ***(კითხვის პასუხი) ------------------ 221
- *** (არ ვარ წინააღმდეგი…) ------------------ 221
- *** (გამონათქვამები) ------------------ 222
- უგნურთა თარეში ------------------ 223
- *** (ბრმად რომ მცნობდნენ) ------------------ 223
- ჩამქრალი სიცოცხლე ------------------ 224
- ვალდებულება ------------------ 225
- ლევან ლომაძეს ------------------ 225
- მხედარი ------------------ 226
- ***(დილის დალოცვა ახლობლებს ჩემგან) ------------------ 227
- *** (ადამიანური ბედნიერების კრახი) ------------------ 227
- ***(ხოტბა ძლიერებას) ------------------ 228
- რეალობა ------------------ 229
- გამოსწორება არსებას - ამას!!! ------------------ 229
- ***(დიდხანს ეძებდნენ…) ------------------ 230
- ***(მსგავსების ფონზე) ------------------ 231

- ***(კითხვის პასუხი) ------------------- 232
- ***(სინათლე) ------------------- 233
- ***(არჩეული პროფილიდან) ------------------- 234
- ***(სანთელივით დახვეწილი) ------------------- 235
- ***(იბადება... განაჩენი) ------------------- 236
- ***(ელექსირი) ------------------- 237
- ***(ციხე - ტაძარი ისე აშენდა) ------------------- 238
- ***(მკითხველი და გადამკითხველი) ------------------- 238
- ***(პატიოსნება და ....) ------------------- 239
- ***(ნაძირალა უნდა იყო სულით) ------------------- 240
- რთველი 2022 ------------------- 240
- ***(ესა ჩვენი ყუმური) ------------------- 241
- ***(შენ ხარ არწივი) ------------------- 241
- ***(უცნობი მებრძოლი) ------------------- 242
- ***(ჭეშმარიტება) ------------------- 243
- ***(დაბადების დღისადმი) ------------------- 243
- ***(ლექსი როგორ მოგეწონათ?) ------------------- 244
- ***(აღმოჩენა) ------------------- 244
- ***(გამო - ვიფხიზლოთ) ------------------- 245
- ***(ტაში, მართლა ტაშიო) ------------------- 247
- შინაური ყვავი ------------------- 247
- ***(კაიკაცობის მანტიას) ------------------- 248
- ***(ყურადღებით) ------------------- 248
- ***(ვახტანგ ჭაფოძეს) ------------------- 249
- ***(გულისტკივილი) ------------------- 250
- ***(ასეა ეს და ასეც იქნება) ------------------- 251
- გილოცავთ (ქალთა დღეები - 3 და 8 მარტი) ------------------- 252
- ***(ციური მნათობის გახსნა - ღირსება როდია) ------------------- 253
- ჩემი მხარის დასადარი სხვა სამყარო არსად არის ------------------- 254
- საქართველოს პატრიარქი ------------------- 257
- გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი   დ ღ ე ------------------- 259

# ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# „გზა უფლისკენ“

## Elguja Adeishvili

## „Gza Uplisken“


გამომცემლობის რედაქტორი - ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

რედაქტორი - ᲒᲣᲚᲜᲐᲖ ᲮᲐᲠᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მხატვარი - ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მხატვრული რედაქტორი - ᲡᲝᲤᲘᲙᲝ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ
- ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲑᲔᲑᲔᲨᲘᲫᲔ

ტექნიკური რედაქტორი - ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კონსულტანტი - ᲚᲣᲘᲖᲐ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კორექტორი - ᲜᲣᲜᲣ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

**თბილისი**
**2023**

გამომცემლობა „ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘ“, 2023



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 0186, Ა. ᲞᲝᲚᲘᲢᲙᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲡ №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



მაცხოვრის ხატი
ყუმურის წმ.გიორგის ეკლესიაში

ხარება — ერთ-ერთი საუფლო დღესასწაული (უძრავი) ქრისტიანულ ეკლესიაში. აღინიშნება 7 აპრილს (25 მარტს ძველი სტილით). ლუკას სახარების (1,28-35) მიხედვით, გაბრიელ მთავარანგელოზმა მარიამ ღვთისმშობელს ახარა, რომ იგი შობდა იესო ქრისტეს, ძეს ღვთისას.